

# ღიბერატურული გაზეთი

№11 (363) 7 - 20 ივნისი 2024

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თეთრი

ანდრო ბუაჩიძე

გიორგი კეკელიძე

## ბარეუბანი

## ციკლიდან — ძველი სიმღერები

### სიახლოვის სიმღერა


ეს უკვე გარეუბანი იყო, გარეუბნის ცხოვრება, როცა ჩვენ — მე, ჩემს უფროს დასთან და მამაჩემთან ერთად — შორს მივდიოდით; მივდიოდით შორს, კორპუსებს მიღმა, მივდიოდით ისე, თითქოს ქვეყნიერებას უნდა გავცლოდით და რომელიღაც უკაცრიელ წერტილში ვჩერდებოდით. იქ ქვალორღიანი გზის ქვეშ საკმაოდ ფართო არხის წყალი გაედინებოდა. მამა გაზეთისგან ქალაქის ნავს აკეთებდა, ჩაუშვებდა წყალში, ჩვენ კი გზის მეორე მხარეს ვიდექით და ველოდით, როდის გამოცურდებოდა მინის ქვეშ გაჭრილი არხის წყლის პატარა ტალღებზე მოქანავე ნავი. სულ მცირე დროს უნდა გაეწვლო, რომ ეს საოცრება დაგვენახა — ნავი უვნებლად მიცურავდა ტალღებზე, ბორძიკობდა, იხრებოდა და ისევ სწორდებოდა, მერე კი შორი მინდვრებისკენ მიდიოდა, წერტილივით პატარავდებოდა და ჩვენივე თვალთახედვიდან ქრებოდა.

ასე გაქრა ის დროც. გაქრა ის ლანდშაფტი, ის უკაცრიელი მასივი, რომელსაც რაღაც უცნაური მდინარის, ფოთლების თუ ჭაობის სუნი ასდიოდა, დაგვშორდა მამაც და ჩვენც დავშორდით იმ დროს, როგორც არხში გაშვებული ქალაქის ნავეები.

რა რთული ასატანია ადამიანი ახლოდან — როცა მისი ფიქრის ნაოჭები, მისი დარდის ნაოჭები, მისი სიხარულის ნაოჭები, მისი სუნთქვის ნაოჭები ჩანს. თუ ადამიანს ახლოდან გაუძელი, შორს ნახვალთ. შორს ნახვალთ, მაგრამ სადღაც მაინც დაგაშორებს ეს სიახლოვე. რა რთულია და გაუსაძლისია ადამიანი ახლოდან, მზე ახლოდან, ვარდი ახლოდან, თოვლი ახლოდან. მხოლოდ მთვარე და ძაღლია ახლოდან ახლო — ერთი — მგონია და მეორე — ვიცი.

II-III

IV



დასაწყისი პირველ გვერდზე

\*\*\*

სამოციანი წლები იწყებოდა, დიღმის მასივში რომ გადავდეთ. ორმოცდაათიანი წლების მიწურულს ოცდაჩვიდმეტში დახვეტილი უდანაშაულო ადამიანების გამო რუსეთის საბჭოთა იმპერიამ ბოლოში მოიხადა და ჩამორთმეული ბინების ნაცვლად (სადაც შინსახკომელები შესახლდნენ) რეპრესირებულთა ოჯახებს ეგრეთ წოდებული „ხრუშჩოვკები“, უბადრუკი თავშესაფრები მისცა.


ეს გარეუბნების ეპოქა იყო, ველური ბუნების ლანდშაფტში ინდუსტრიული პეიზაჟი იჭრებოდა. თბილისის გარშემო მასივების გაშენება დაიწყო. მასივებში ელექტროკვანძები, გარეგანათების ზონები, სავაჭრო წერტილები და გაურკვეველი დანიშნულების შენობები იკავებდა ცარიელ ფართობს. ამ რუხ შენობებშიც კვანძები და გაყვანილობები იყო მოქცეული, ყველგან ელექტროდენი გადიოდა, ამიტომ შენობების რკინის კარზე თავის ქალა ეხატა და წარწერა ჰქონდა: „სასიკვდილოა!“ ასეთ სასიკვდილოებს მასივის თითქმის მთელ ფართობზე წაანყდებოდა. ისინი ელექტროკვანძების სიახლოვეს წამოზიდულიყვნენ. ამ ახალ საცხოვრებელ სივრცეს, ახალ მშენებარე კვარტლებს, ყველა მხრიდან მოხაზულ თუ მონიშნულ მიწას ახალი სოციალური დანალექი შესეოდა. ესენი იყვნენ მოხეტიალე, მანანწალა ადამიანები, საშოვარზე გამოსულები თუ გასამრჯელოს მაძიებლები. მათგან ბევრი უსახლკარო თუ უპატრონო იყო. ახალი უბანი შენდებოდა და სამუშაოც ბევრნაირი მოიძებნებოდა: ხე-ტყის ჭრა, სამშენებლო მასალის ზიდვა, მიწისქვეშა გაყვანილობები, ქვაფენილის დაგება... სოციალურ დანალექს ქურდები, ჯიბგირები, ათასი ჯურის მარგინალები მოჰყვნენ. ისინი ამ გარემოში ირჯებოდნენ, მცირე გასამრჯელოსაც იღებდნენ და თან თავიანთ ბნელ საქმიანობასაც ეწეოდნენ. ტყის კორომებში ჩადგომულ ქვის მაგიდებზე სამხრობდნენ და სადილობდნენ, ღია ცისქვეშ ცხოვრობდნენ, შეიძლება სულაც პატარა კოლოფებით წამომართულ მშენებარე სახლების ოთახებში ათევდნენ ღამეს. ღია ცისქვეშ ცხოვრობდნენ, საბაყლოში ნაყიდ იაფფასიან ძეხვეულს და რუხ პურს არაყს აყოლებდნენ და ხარბად ეწეოდნენ მწარე უფილტრო სიგარეტ „პრიმას“.

მოსალამოვდა და დიღმის ველზე ჩრდილები წვებოდა, ჩვენ შინსაკენ მიმავალ გზას ვადექით. მე მთელი არსებით ვგრძნობდი ჰაერში განფენილ იდუმალებას, სიუცხოვეს და უდაბურებას, რომელიც აქაურობას უფრო მწუხრის საათებში ეტყობოდა. მამა, როგორც ყოველთვის, დუმდა, თავის საფიქრალში იყო ჩაფლული და თითქოს არ იმჩნევდა იმას, რომ ახალ გარემოში მოვხვდით, იმ გარეუბანში, რომელშიც საღამოს სინათლეები ინთებოდა და რაღაც აუხსნელი და გაუგებარის მოლოდინით გვაგვებდა. ეს უკვე ჩვენი საცხოვრებელი სივრცე იყო, აქ უნდა გვეცხოვრა, აქ და არა სხვაგან, აქ იყო ჩვენი სახლი, რომელიც ნაკლებად ჰგავდა იმ სახლს, იმხანადვე რომ მივატოვეთ ქალაქში და გარეუბანში გადავსახლდით. საღამო ამ ტრიალ და უკაცრიელ ადგილას ალბათ შიშსაც იწვევდა და ბადებდა რაღაც ძნელად გამოსათქმელ განცდას. აქ არ იყო ქუჩები და ეზოები, აქ იყო სივრცე, რომელშიც კი არ უნდა გვეცხოვრა, უბრალოდ, უნდა გეასება — შო, გვარსება. სრულ სიუცხოვეში ძნელია რამეს განიცადდე უცხოობის გარდა. სიუცხოვე გიშლის ხელს, თუნდაც ბუნებასთან უშუალოდ პირისპირ დარჩენილმა, იგრძნო და განიცადო ბევრი ისეთი რამ, რაც შენთვის სასურველია და ახლობელი. საღამოვდებოდა და ხეივანში ალგებზე უამრავი ყვავი იყო შემომსხდარი. ყვავები ყურთასმენის წამლებად ყრანტალებდნენ და შინდაბრუნებულები ვგრძნობდით, რომ ასე მთავრდებოდა დღე. ინთებოდა გაკაფული ტყეების თავზე მწუხრის ვარსკვლავი და ისადგურებდა ღამე.

\*\*\*

ეს იყო გარეუბნების, მასივების გაშენების ეპოქა. სამოციანი წლებში დიღმის ველზე ქალაქის განაპირა მხარე შენდებოდა. აქ იყო ტყეები და ბაღები, ძნელად წარმოიდგენდა კაცი, რომ თბილისის სიახლოვეს იმყოფებოდა. მე თავიდანვე დავინყე

ხეტიალი ამ უდაბურებაში, აქ ყველაფერი სხვანაირად ჩანდა, სხვა გარემო იყო, სხვა ლანდშაფტი, სხვა სოციალური კასტა ცხოვრობდა, ადამიანებიც ერთმანეთისგან განსხვავებულები იყვნენ. ისინი უკვე ამ გარემოს მკვიდრებად აღიქმებოდნენ, უკვე შინაურად გრძნობდნენ აქ თავს, რადგან გაურკვეველი ადგილებიდან ჩამოვიდნენ და აქვე პოვეს ნაცნაყოფი. ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულები, მაგრამ სულ მოკლე ხანში მოსახლეთა ისეთი ნაზავი მოგროვდა, რომ ძნელი გახდა მათ შორის განსხვავების შემჩნევა. ეს იყო მასივი, დიღმის ველზე გაშლილი მასივი, რომლის წიაღშიც ერთფეროვანი შენობებისა და ნაცრისფერი, ერთფეროვანი ყოფა და ანტურაჟი იკიდებდა ფეხს. მე დავაბიჯებდი მასივის ლაქაშებში, როგორც გზააბნეული მგზავრი და რაღაც უცნაური სუ-



რეილი მეზიდებოდა — ამ გაურკვეველი სივრცის სიღრმეში შემეღწია და შემეტყუო, სად ვიყავი.

\*\*\*

მამა დუმდა და თავის საფიქრალს მისცემოდა. ის ერთ წერტილს იყო მიჩრებული, რაც ცხადად მეტყველებდა იმაზე, რომ თავისი არსების შიგნით იყურებოდა და არა — გარეთ. გარეთ იყო რეალობა, რომელშიც მოლოდინად აღმოვჩნდით, იყო უბადრუკი ნივთები და საგნები, გამოცარიელებული პატარა ბინის კედლები და ფანჯრები, რომელიც მასივის უზარმაზარ და საშუალო სივრცეში ემიჯნებოდა. ჩვენ დროსა და სივრცეში ვმოგზაურობდით და იმ მერიდიანზე მოვხვდით, სადაც უკაცრიელი ლანდშაფტი იყო გაშლილი. შოდა, აი, საღამოთი სეირნობიდან შინდაბრუნებულებს დაღვრემილი დედა ყოფიერების ამ ახალ კუნძულზე სადილს გვახვედრებდა. ჩვენ უბნოდ შევექცეოდით, ანდა სეირნობის ფრაგმენტებს ვისხებოდით. დედა დაღვრემილი იყო, რადგან ვერ ეგუებოდა ამ ველურ ტყეებში მოქცეულ სახლს, ხშირი კორომებიდან მოფრენილ ვეება ფრინველებს, უძრავად რომ ისხდნენ ალვის ტანმსხვილ ხეებზე; კატებით სავსე ჯაგნარებს, აივანზე შემომსხდარ ციყვებს, მწუხრის ვარსკვლავს, რომელიც უიმედოდ დაჰყურებდა თავზე ყოველივე ამას და დუმდა. დედისთვის აქ ცხოვრება გადასახლება იყო, ასე იყო მამაჩემისთვისაც, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მამის წარმოდგენაში გადასახლება აქამდეც არსებობდა, მას ოცდაჩვიდმეტში დედაც გადაუსახლეს და ძმაც, მამამისი კი თბილისის რომელიღაც გარეუბანში გამოასალმეს სიცოცხლეს. დიღმის ბინა სწორედ იმ ბინის სანაცვლოდ მისცეს, მამის დაჭერის შემდეგ რომ ჩამოართვეს.

საღამოთი შინდაბრუნებულები ვგრძნობდით, რომ დაგტოვეთ საშუალო და უკაცრი-

ელი გარეუბანი, უკვე შინ ვიყავით და ეს შინ ყოფნა შვევისმომგვრელი იყო. გარედან გაურკვეველი ხმები აღწევდა — მშენებლების გადაძახილი, მთვრალეების ღრინაცელი, ცხოველების და ფრინველების ფრთხილი. მამას უბრალო ფირსაკრავი ჰქონდა და დედა ფირფიტას — ბეთჰოვენის მესხეთე (როცა ბედისწერა კარზე აკაკუნებს) ან მეშვიდე სიმფონიას, ანდა ჩაიკოვსკის „იტალიურ კაპრიჩოს“; ირწოდა ჩვენი პატარა ბინა, ირწოდა მელოდია, ირწოდნენ უმწეო სკამები, ირწოდა სამზარეულოში ფიცრის კარადა, ირწოდა ჭალი. ეს გაცვეთილი საგნები ძველი ბინიდან იყო წამოღებული და აქ ისინი ახალ სიცოცხლეს იძენდნენ. ადრე თუ შემოქმედებელი იყვნენ, ახლა უკვე ჩვენთან ერთად არსებობდნენ, ჩვენს ჭირს და ლხინს იზიარებდნენ, ჩვენი არსებობის შუქი ეცემოდათ.



ფირსაკრავიდან იღვრებოდა საოცარი მუსიკა და მუსიკის საფარველი ეფრენებოდა მთელ სახლს, ბინის ყველა კუთხეს და ნაწიბურს, შუქს და ჩრდილს.

\*\*\*

ან თუნდაც ზაფხულის ღამე — ვნებებით და ვიძინებდით. თავზე გვადგა ვარსკვლავებით მოჭდილი უშველებელი ცა. ალბათ იმ სიმბოლიდან ჩვენი კორპუსი პანანინა ჩანდა, წერტილივით პატარა და განურჩეველი. აქ, ამ წერტილში წყდებოდა ჩვენი ბედი, უფრო სწორად, უკვე გადანყვტილი იყო. უნდა გვეზრუნა, უნდა გვენია ჩვენი ჭაპანი, უნდა შევეფუბოდით ახალ შთაბეჭდილებებს, საიდანაც წარსული აღარ ჩანდა. ჩვენ ზემოთ აღარ ვიყურებოდით, ცის ტატნობს აღარ ვზერავდით, რადგან უზარმაზარ, გაშლილ სივრცეში ვიყავით მოქცეულნი, ცარგვალი კი სრულიად აღარ გვახსენებოდა. გვეძინა, მაგრამ მთელი არსებით ვგრძნობდით, რომ გარეთ, ველური ტყის ნაკაფში, რაღაც ტკარცალებდა, რაღაც იძვრებდა და ცხცახებდა, თითქოს დიდი ინდუსტრიული მანქანისგან მიყენებულ ტრაემას იშუშებდა დაჭრილი ბუნება, ვარსკვლავებით მოჭდილი ცა ანათებდა აწნებს, მოჭრილ დიდრონ ხეებს, ბუნების შემოძარცვულ ტანსაცმელს და მის ნარჩენებს. როცა სავსე მთვარე ბრწყინავდა, ბუნების ეს სურათი უფრო მკაფიოვდებოდა. აქაც დასახიჩრებული ბუნების ნარჩენები ეყარა და ელოდა გათენებას, რათა გაგრძელებულიყო ნედლეულის გადაშუშება. ისეთი სახე ჰქონდა ყველაფერს, თითქოს ვიღაცამ აანგრია და აღარ აპირებს დალაგებასო. მაგრამ ასე არ იყო. მწყობრად წამოზიდული რამდენიმე კორპუსი იმაზე მეტყველებდა, რომ საბოლოოდ აქაურობა თავის სახეს მიიღებდა.

ორი რამ დამამახსოვრდა: ვარსკვლავებით მოჭდილი უზარმაზარი ცა და მცკრის ნაპირი დიღმის ველობზე. მტკვრის

ნაპირი თითქოს მონუსხული იყო. ყველაფერს ჭაობის თუ დამპალი მცენარეების სუნი ასდიოდა. მეთევზეებს სხვადასხვა სიგრძის ანკესები ჰქონდათ წყალში ჩამოვებული. ისინი იდგნენ გახევებულები და ჩაჰყურებდნენ მტკვრის ტალღებს. ასე იდგნენ დილიდან საღამომდე, მერე კი კრეფდნენ თავიანთ ანკესებს და მიდიოდნენ შინსაკენ. მეთევზეების სიახლოვეს, ბუჩქნარებში ჩამალულ პატარა მდელოებზე, „საეჭვო ტიპები“ იკრიბებოდნენ, დაღამებამდე ისხდნენ, საქმეებს არჩევდნენ ან თამაშობდნენ და გვიანდა ტოვებდნენ ნაპირს.

\*\*\*

მამა ფილოსოფიურ ტრაქტატს წერდა. მამა დუმდა, თავის საფიქრალს იყო მიცემული — დუმდა, როცა ვინრო სამზარეულოში სიგარეტს ეწეოდა, დუმდა, როცა წერდა და თაბახის ფურცლებს ავსებდა საწოლზე წამოწოლილი. უფრო ხშირად სამზარეულოს მაგიდასთან იყო მიმჯდარი და წერდა და წერდა... ზოგჯერ შეყოვნდებოდა, მარცხენა ხელს თავზე რამდენჯერმე გადაისვამდა და წერას განაგრძობდა. გვერდით გერმანული მაგარყდიანი და სქელტანიანი ფილოსოფიური თხზულებები ეწყო პირდაპირ იატაკზე; მიწვებოდა, გადმოიღებდა და სულ ერთ აბზაცს ან ერთ ფრაზას მოძებნიდა რომელიმე უშველებელ ნიგნში, ამოკრეფდა, ამოიწერდა, ნიგნს ისევ გვერდით გადადებდა და წერას განაგრძობდა. ყოველივე ამას ძალიან სწრაფად აკეთებდა, ასევე სწრაფად ავსებდა თაბახის ფურცლებს. ვინრო სივრცეში, რომელიც ბუნების ნიაღში შემოჭრილ ინდუსტრიულ მანქანას ემიჯნებოდა, თავის კომფორტს ქმნიდა. ეს კომფორტი უცხო თვალისთვის უფრო დისკომფორტს და მხატვრულ უნესრიგობას ჰგავდა. ასე იყო უცხო თვალისთვის, მისთვის კი — პირიქით. მამა თითქოს აუქმებდა იმ ნივთიერსაგნობრივ სამყაროს არსებობას, რომლის დანიშნულებად ბინის კეთილმოწყობა მოიზრებოდა. ეს უბადრუკი, ნახმარი ნივთები და საგნები მთელ ბინაში იყო გაფანტული და შეიძლება ირგვლივ მათი ისე შემოწყობა, რომ სასურველი კომფორტი შეგექმნა. ასეც ხდებოდა. მამა ხშირად ადგილს მოინაცვლებდა და სხვაგან განაგრძობდა წერას ან კითხვას. ამ ტოტალური უნესრიგობიდან, რომელიც მის ცხოვრებაში დისონანსივით იყო შემოჭრილი, ის ქმნიდა წესრიგს თავის აზროვნებაში და ნაწერებში, თაბახის ფურცელიც ინაცვლებდა ადგილს, მასიური საფერფლეც ხან სად იდო და ხან სად, მხოლოდ იაფფასიანი ფირსაკრავი იდგა უძრავად და იქიდან კლასიკური მუსიკა იღვრებოდა.

რაღაც მომენტში, თუ დღე იყო, მამა სწრაფად წამოხტებოდა, ნივთების გროვას გადააბიჯებდა, სწრაფად ჩაიცვამდა და ლექციებზე მიიქაროდა; თუ უკვე საღამო იყო, ერთად ჩავდიოდით დინამოს ბაზაზე, სადაც ფეხბურთელები ვარჯიშობდნენ.

\*\*\*

ახლა, მრავალი წლის შემდეგ, საღამოს ანს ვდგავარ ჩვენი საწოლი ოთახის ფანჯარასთან, საიდანაც მოჩანს უკვე ჩამქრალი „დინამოს ბაზა“, იმის წინ შეფერთხილი და დაძველებული ალვის ხეების მწკრივი, უფრო შორს კი უშველებელი სივრცეა, იქიდან უწყვეტი ცხოვრების ჩაყრებული, მარადისობაში გაფანტული ხმები აღწევს. მამამ უკვე დიდიხანა დატოვა ეს ბინა და ეს ოთახი, ის აღარც სხვაგან არის და მახსენდება, როგორ მივდიოდით ერთად მასივის ახალი ბინიდან შორს, გარეუბანს იქით, ქვეყნიერების მიღმა და რომელიღაც უკაცრიელ წერტილში ვჩერდებოდით. მამა მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო. ქველორდანი გზის ქვეშ საკმაოდ ფართო არხის წყალი გაედინებოდა. მამა გაზეთისგან ქალაქის ნავს აკეთებდა, ჩაუშვებდა წყალში, ჩვენ კი, ბავშვები, გზის მეორე მხარეს ვიდექით და ველოდით, როდის გამოცურდებოდა მინის ქვეშ გაჭრილი არხის წყლის პატარა ტალღებზე მოქანავე ნავი. ნავიდნენ ის ნავები. გავიდა დრო. გავიდა მთელი ცხოვრება და ახლა მხოლოდ ამასლა ფიქრობ: ყოველივე ეს იყო, თუ არ იყო?!

\*\*\*

კორპუსის წინ პატარა სასადილო ააშენეს. ამ სასადილოში უბნის უპატრონო და უსახლკარო მუშები იყრიდნენ თავს. აივნის მხრიდან მინის კარს მიღმა ეს სასადი-

ლოც ჩანდა, ხშირი კორომიც და დიდი, გაშლილი სივრცეც. ეს შენობა უსაქმურების მუდმივადგოლსამყოფლად გადაიქცა. მთელი ამ უზნის კასტა აქ იკრიბებოდა და აქ ატარებდა თავის უაზრო ცხოვრების დიდ ნაწილს. ამ შენობაში, ცხადია, ცხვირიც არასდროს შემეყვია, მხოლოდ ღია აივანიდან და აივნის მხრიდან ვადევნებდი თვალს ერთსა და იმავე ნაცნობ სახეებს და ფიგურებს, რომლებიც ამ გარემოში ბრუნავდნენ, ზოგჯერ თვალთახედვიდან ქრებოდნენ, მერე კი ისევ ნამოტივტივდებოდნენ. შორიდანვე იგრძნობოდა, ამ პატარა ბაკხანალიურ ეპიცენტრში ზამთარ-ზაფხულ ღრიანცვილი სუფევდა, მაგრამ ოთხკედელში მოთარეშე ვენებები ხშირად გადმოდიოდა კალაპოტიდან და შემოგარეებს ღვარცოფივით ედებოდა. უკვე მაგარი მთვრალეები და შებორძიკებული გარეთ გამოდიოდნენ და ჩხუბობდნენ. ჯგუფური ჩხუბი ზოგჯერ დიდხანს გრძელდებოდა, ვილაცები გარბოდნენ, სხვები კი მოცელილებივით ეცემოდნენ. აქა-იქ შერჩენილი მოჩხუბრები ერთმანეთს დასდევდნენ, იოლად ენოდნენ და გამეტებით ურტყამდნენ უკვე ნაქცეულებს. ამ ველურ გარემოში მათ თითქოს თავიანთი სიმართლე ჰქონდათ, თავიანთი სიმართლე და აგრესია, ბოღმა და უიღბლობა, თავიანთი ხვედრი და სასჯელი. ყოველივე ამას ისინი მდარე ღვინოში კლავდნენ და მერე უგონოდ მთვრალეები ერთმანეთს უსწორებდნენ ან-გარიშს. ეს ადამიანები მძვინვარე ინდუსტრიულ მოდინებას შემოჰყვნიან ქვეყნის სხვადასხვა წერტილიდან და მასივში ერთ უგონო მასად იქცნენ. ეს მასა იძვროდა, ბრუნავდა და თავის წიაღში ირგვლივ გამეზებული კორპუსების ახალ მოსახლეებსაც ითრევდა.

მე და მამა სახლიდან ვუყურებდით ჩხუბს. მამა დუმდა, უყურებდა აივნიდან, როგორ ედევნებოდა ერთი მთვრალი სხვებს, უყურებდა, მაგრამ თითქოს ვერ ხედავდა, ის სხვა რამეზე ფიქრობდა, გარემოს არ აკვირდებოდა, თავის საფიქრალს იყო მიცემული. მერე, თითქოს გონება გაუნათდაო, სასწრაფოდ შებრუნდებოდა ოთახში და წერას განაგრძობდა.


\*\*\*

თოვდა, წვიმდა, გადათხრილ ნიადაგში წყალი გუბდებოდა, მერე ყინვებს რომ დაიჭრებოდა, ეს წყალი იყინებოდა, მაღალი ალვის ხეები ზოგჯერ მძვინვარე ქარისაგან ტყდებოდა და დიდხანს ეყარა. მშობლები ქალაქში იყვნენ, მსახურობდნენ, მე სიცხე მქონდა და ვინეკი, ქარის ზუზუნს ვუსმენდი. ჩემი უფროსი და სკოლიდან ჯერ არ დაბრუნებულყო. შორიდან ქარის ზუზუნთან ერთად მშენებლობის მონოტონური ხმა აღწევდა. ინდუსტრია თანდათან ეუფლებოდა ვეება ფართობს, მოსალამოვდებოდა და ქარი ისევ გამაყრუებლად ზუზუნებდა. დღის ბოლოს მუშები და სხვა ადგილობრივები ისევ „ზაბეგალოვკაში“ იკრიბებოდნენ, მერე ქარში ისევ გარეთ გამოეფინებოდნენ და ჩხუბობდნენ. გარეთ ქარი უსტვენდა, ხეების ფარღალა ანაქერცლებს და ფხვიერი მინის სვეტებს მოაფრიალებდა. მე ვხედავდი, როგორ შემოდიოდა ოთახში მწუხრი, როგორ ინთებოდა გარეთ აქა-იქ გაფანტული სინათლებები, როგორ წვებოდა მასივის ველზე, გამლილ ნაპრალებში ღამე.

\*\*\*

შვიდი წლის იყო მამა, როცა სოლოლაკში სკოლიდან გამოსული ნათესავის სახლისკენ კი არ წავიდა, მინისაკენ გაემართა. იცოდა, შინ უკვე აღარავინ ელოდა — აღარც მშობლები და აღარც ძმა. ისინი უკვე სხვაგან იყვნენ, ისინი გადასახლეს. ასე იყო — ოცდაჩვიდმეტ წელს ქრებოდნენ ადამიანები და მათ ადგილს წყნარი სიცარიელე იკავებდა. მამა ჩვეულებრივი ნაბიჯით მიდიოდა და ფიქრობდა, იქნებ ჩემები შინ დამხვდნენ და საყვედურიც კი დასცდეთ იმის გამო, რომ ამდენხანს არ გამოვჩნდი. კიროვის ქუჩას დაუყვავა, მერე მაჩაბელზე შეუხვია, შვიდ ნომერსაც მალე მიადგა და სადარბაზოში შევიდა. გაუკვირდა, აქ არაფერი არ შეცვლილიყო, საერთოდ არაფერი. ხომ შეიძლება, იოტისოდენად მაინც ეცვალა იერი აქაურობას, მაგრამ არა! ყველაფერი ძველებურად თვლებდა, ყველაფერს უწინდებური სიმშვიდის საბურველი ნაფარებოდა. სადარბაზოს შესასვლელს, იატაკს და კიბის მოაჯირს

შუადღის მშვიდი ნათელი ადგა. კიბეს აუყვავა, ფეხათრევი ავიდა და, როგორც იქნა, მიადგა ბინის კარს. ადრე ეზოდან რომ ამოიბრუნდა, კარს პირდაპირ შეაღებდა ხოლმე, შინ ყოველთვის სიმშვიდე სუფევდა, და-ძმაც, დიდი ბინის სხვადასხვა კუთხეში მიმჯდარი, ნაშუადღევს თავის ბავშვური სამყაროს ღრმა იდუმალეობაში რაღაცას დაეძებდა. ბავშვები თითქოს მთელი არსებით გრძნობდნენ სახლს, სახლის კედლებს და საღამოსკენ გადახრილ ოთახების ბინდებუნდში ჩვეულ არსებობას განაგრძობდნენ. დედა სამზარეულოში, ან შუაბანდში ტრიალებდა და ისიც ფანჯრებიდან შემოღწეული მწუხრის ნათელში იდგა. ეს სახლი იყო და ამ სახლს უზარმაზარი და უცხო სამყარო ემიჯნებოდა. ამ სახლში გარედან შემოჭრილი ხმები სხვა მნიშვნელობას იძენდა, სხვა ხავერდოვნებას ამჟღავნებ-



და. ეს დროის დინება იყო, რომელიც მთელ ბინაში გამუდმებით ბრუნავდა. დილა, ნაშუადღევ და საღამოხანი სხვადასხვაგვარ შუქ-ჩრდილებს აფენდა ჭერსა და იატაკზე. ახლა კი დროის ის დინება გაქრა, ის ადამიანებიც გაქრნენ, თითქოს თვითონაც გაქრა იმ ადამიანებთან ერთად, თითქოს სიზმრიდან რეალობაში დაბრუნდა, ბინის კარს მიადგა და შენიშნა, რომ ბინის კარი დალუქული იყო.

\*\*\*

პირველად ბაბუაჩემი გაქრა. მერე მას სხვები მიჰყვნენ — ბებია და ბიძა — თექვსმეტი წლის ბიჭი. ისინი აღარ იყვნენ იმ ბინაში, რომელსაც შვიდი-რვა წლის მამაჩემი მიადგა. ბინას ლუქი ედო. ცხოვრება ჩვეულებრივად გრძელდებოდა, მხოლოდ დალუქული სახლის კარი იყო უჩვეულო. ამ დალუქული ბინის კარს ყველა უფრთხოდა, როგორც ბეტონის კედლებით და რკინის კარით შემოზღუდულ, მიშველი ელექტროსადენების ქსელს, რომელსაც ეწერა: „სასიკვდილო“. ეს დალუქული ბინაც „სასიკვდილო“ იყო. ამიტომ არამცთუ არ უახლოვდებოდნენ, არცკი იყურებოდნენ მისკენ. და აი, ასეთ დროს მიადგა მას რვა წლის მამაჩემი. მან იგრძნო, რომ ამ ბინის შიგნით არა უბრალოდ სიცარიელე, არამედ შემზარავი არაბობა სუფევდა. სახლი, რომლის შიგნითაც აღარავინ ცხოვრობს, სახლი აღარ არის. აბა, რა არის? აღარაფერი აღარ არის. თენდება და სისხლამი დილის პირველი სხივები იჭრება ბინაში, მაგრამ ეს სინათლე მხოლოდ სიკვდილის მაუწყებელია, მეტი არაფრის. ნაშუადღევს ეზოდან შემოღწეული ბავშვების ჟრიალულსაც ისევ სიკვდილის შერგმნება მოაქვს, სხვა არაფერი! საღამოთი მწუხრი გროვდება და აკაციების ჩრდილებთან ერთად იღვრება ქვაფენილზე, ამ ბინაში საღამოსეული ერთი ჩქამიც კი არ აღწევს, აღდგან დარბებით ატივრული ფანჯრისა და ბნელი კედლებიც სიკვდილის სუნი არის გაჟღერებული. და აი, მხოლოდ ახლა, ახლა მოადგა სიცოცხლის მცირე ნატეხი „სასიკვდილოს“. მან ჯერ არ იცის, რა არის სიკვდილი, მაგრამ უკვე მთელი გულით და გონებით შეიგრძნობს სიკვდილს, მის სახის ლოვეს, მის აუხსნელ და გაუგებარ სუფევას, მის ირაციონალურ, ბრმა, არამატერი-

ალურ არსებობას. ის არ არის ხელშესახები, მაგრამ საგრძნობია ამ მდუმარებაში. უფრო მეტიც: ეს მდუმარებაა მისი თანმხლები. ამას გარშემომყოფებიც გრძნობენ, ოღონდ ვერ ბედავენ ამ დუმბილის დარღვევას. ამ დანაშაულებრივ დუმბილში ჩაფლული ქვეყნიერება. ამას გრძნობს მამა, რვა წლის ბიჭი და ტოვებს ბინის დალუქულ კარებს, ტოვებს, რადგან ქვეშეცნულად იცის, რომ ეს ფარული ლუქი ადევს ყველაფერს: ადამიანებს, საღამოებს, გარეუბნებს, ყველაზე მიუწვდომელ კუთხე-კუნჭულსაც კი. ამ ლუქისდამდებლის თვალისთვის მიუწვდომელი არაფერია.

\*\*\*

ნარმოვიდგენ — სატივროთო მანქანის ძარაზე სხედან უდანაშაულო პატიმრები. მათ შორის ბაბუაჩემიც. ისინი გამოიყვან-

ნეს საპატიმროდან და მიჰყავთ დასახვრეტად. უკვე შუალამა. ზამთარია. ცივი ქარი ქრის. პატიმრებმა არ იციან, სად მიჰყავთ. სატივროთო მანქანა ტოვებს ქალაქს და გაურკვეველ სივრცეში განაგრძობს გზას. სრულ წყვდიადში გარეგანათების შუქი გაილეკვს და გაქრება. მერე ისევ გადაუვლის პატიმრებს სახეებზე და იკარგება. ხმას არავინ იღებს, რადგან არავინ იცის, სად არიან, ანდა საით მიემართებიან. ლაპ-არაკს აზრი არა აქვს. ორი შეიარაღებული ზედამხედველიც ხმაგაკმენდილი ზის პატიმრებს შორის. ისინი თვალს არ აშორებენ ძარაზე მსხდომებს, ისეთი გამომეტყველება აქვთ, თითქოს რაღაცას მოელნიან მათგან, მაგრამ პატიმრების სრული განურჩევლობა თანდათან მათაც ეუფლებათ და უაზროდ სდუმან. მანქანა ერთ ადგილას სვლას აყოვნებს, მარჯვნივ შეუხვევს და უსწორმასწორო აღმართზე მილოლავს. მანქანა ჩერდება. ანთებული ფარების შუქზე პატიმრები ორმოებს თხრიან. ეს მათივე საფლავებია...

\*\*\*

ამ მშენებარე უდაბნოში, დიღმის ველობზე, ერთადერთი ოაზისი „დინამოს“ ფეხბურთელთა ბაზაა — გალავნით შემოფარგლული მწვანე მიწა და პატარა შენობა. ეს ბაზა მანამდე აშენდა, სანამ სივრცეში ინდუსტრიული პეიზაჟი გაიშალა. მე ფანჯრიდან გავცქერი — ზოგჯერ მინდორი ცარიელია და ზედ ჩრდილებია ჩამონოლილი. ზოგჯერ კი ფანჯრებამდე ფეხბურთელების გადაძახილი აღწევს, მინდორი ჩამავალი მზით არის განათებული და ყველგან უჩვეულო ჟრიალული. მინდორის და მთლიანად ფეხბურთის ბაზის მიღმა, მტკვარგალმა შორიდან, მატარებლების მონოტონური დგანდგარი სწვდება ყურთასმენას. ვაგონები ჯერ ნელა მიიწვევიან, მერე კი საკმაო მანძილის გავლის შემდეგ სვლას მოულოდნელად უჩქარებენ; შემოთ სახლებია, ნაცრისფერი კორპუსები, სადაც ჩამავალი მზის სინათლე ირეკლება ფანჯრებში. მე ამ ფანჯრებს გავყურებ და სევდა მერევა. ვიცი, რომ იქ სხვა მხარეა, სხვა ადამიანები ცხოვრობენ და დარდი მეძალება. ჩემთვის ეს შორეული მხარე მაინც საფეხბურთო მინდორის და, საერთოდ, იდუმალეობით მოცული, ფე-

ხბურთელთა ბაზის გაგრძელებაა. როცა ვარჯიში მთავრდება, ფეხბურთელები ნაქსოვ ბადურებში ყრიან შავკოპლებიან ბურთებს და ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ მიწოდოს. ასეთ დროს მეც მარტობის გრძნობა მეუფლება და რაღაცნაირი გულისწყვეტა მიპყრობს. ვგრძნობ, რომ ეს დღეც დამთავრდა და ფეხბურთელებმა დატოვეს მიწოდოს. მე არ მივდივარ შინ, გავყურებ შორ კორპუსებს, ფანჯრებში არეკლილ მზის სინათლეს და მინდა, რომ ჯერ არ ჩავიდე მზე. ეს უფრო მოგვიანებით ხდება, ადრე კი ბუნდოვანად მახსოვს, როგორ ვესწრებოდი მე და მამა ფეხბურთის ვარჯიშებს. მამინ ჯერ კიდევ არ იყო გალავნით შემოკავებული მიწოდოსი და დაბალ ტრიბუნებზე ვსხდებოდი. აქ საკმარისი ხალხი იყო შეკრებილი ფეხბურთის საყურებლად. ყველაფერი იმით იწყებოდა, რომ ფეხბურთელები ნრეში ათამამებდნენ ბურთს, მერე ორ ჯგუფად გაიყოფოდნენ, მინდვრის ნახევარზე ორ პატარა კარს ჩადგამდნენ და მთელი აზარტით თამაშობდნენ. ჩანდა, რომ მათი სახელოვე მაყურებლებზე ძლიერ და უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა, რადგან აქ ის განთქმული მოთამაშეები იყვნენ, რომელთა სახელების სხენებაზე მთელი სტადიონი გუფუნებდა. აი, აქვე, ერთი ხელის განვდენაზე შენ ხედავდი მათ სახეებს, მათ მოხდენილ მოძრაობებს და მღელვარება გეუფლებოდა. ფეხბურთელების საყურებლად ან შიდა ტერიტორიაზე შევდიოდი, ან, თუ შესასვლელი ჭიშკარი ჩაკეტილი იყო, გარეთ, გალავანთან ქვევს ვანყობოდი, ზედ შევდგებოდი და ზემოდან ვუთვალავდებოდი ყველაფერს, რაც იქ ხდებოდა; ფეხბურთელები ზოგჯერ სირბილში იჯობებოდნენ ერთმანეთს, ზოგჯერ კუთხურიდან ანოდებდნენ ბურთს, ხშირად მორიგეობით კარში ურტყამდნენ, მეტწილად კი, როგორც უკვე ვთქვი, ორად იყვნენ გაყოფილები და მთელი მონდომებით თამაშობდნენ. ისინი იცინოდნენ, ხუმრობდნენ, ერთმანეთს ედევნებოდნენ და ბურთის წართმევის ცდილობდნენ, ყოველივე ამას საერთო ჟრიალული ახლდა. მათ შემყურეს მავინყდებოდა, რომ უდაბნოში ვცხოვრობდი. აქ მძაფრი სიცოცხლე ფეთქავდა, აქ მართლა ოაზისი იყო. ჩვენი პატარა სასტუმრო ოთახიდან, სადაც უამრავი წიგნი ეწყო, პიდაპირი აქვე იმაცვლებდი ადგილს. ნახევრად ბნელი ოთახიდან ჩამავალი მზის სინათლეზე გამოვდიოდი და ვხედავდი, როგორ მთავრდებოდა დღე. ეს ფეხბურთელები და მინდვრის ავანსცენა ჩემს ცნობიერებაში შემოჭრილი რეალობა იყო, რომლის გარეშეც უკვე ვეღარ წარმოვდივარ ცხოვრება. ფეხბურთელები და მწვანე მინდორი თითქოს სიცოცხლეს აღვიძებდნენ ამ უკაცრიელ სივრცეში. დიღმის ველობი არ იყო მათი ადგილი, მათ თავიანთი კუთვნილი სივრცე ჰქონდათ და იქ სულ სხვა ხალხის სუფევდა. „დინამოს“ ბაზა იყო სხვა კუნძული თუ ნახევარკუნძული სულ, რომელსაც ქალაქიდან მოსული ადამიანებიც ესწრაფოდნენ. აქ ამ ტოტალიტარულ, ჩაკეტილ სამყაროში და ამ სამყაროს გარეუბანში, უკაცრიელ მასივში არსებობდა მინის მცირე ნაგლეჯი, სადაც მთელ იმპერიაში ცნობილი ადამიანები — არაჩვეულებრივი ფეხბურთელები იყრიდნენ თავს, მაგრამ ჩემთვის, ამავე დროს, ისინი მაინც ამ ვეება სიცარიელეში იყვნენ ჩანერილები, ისინი ჩემს მარტობაში ისე შემოდიოდნენ, როგორც ამავე მიდამოში გამოვლილი პეიზაჟი, გათენებები და შეღამებები. ყველაფერი ერთიანი იყო და ამ ყოველივეს „დინამოს“ ბაზა იკრებდა თავის გარშემო. საღამოს უკვე დაცარიელებული მინდვრის თავზე ღამურები დაფარფატებდნენ, მერე კი მინდვრის სახელოვეს, ერთ მაღალ ხეზე, ბუკიოტი შემოჯდებოდა და მთელი ღამე მისი ყრუ გმინვა გაისმოდა. მოგვიანებით უკვე სათადარიგო ფეხბურთელთა ოფიციალური მატჩებიც აქ იმართებოდა. სკოლიდან შინ დაბრუნებული საძინებელი ოთახის ფანჯრიდან ვიყურებოდი და ალვის ხეების მიღმა მწვანე მინდორზე მოძარგ ფერად მაისურებს ვხედავდი. მსაჯის სასტენის ხმაც ისმოდა და მაყურებელთა ნერვიული ფუსფუსიც — აშკარა იყო — „დუბლების“ ოფიციალური მატჩი იმართებოდა. მე სასწრაფოდ ვტოვებდი ბინას და მივიჩქაროდი მატჩზე დასასწრებად.



### გიორგი კეკელიძე

#### დარდის სიმღერა

ასეც თენდება: ხან მზის ნაცვლად, სული ამოგვდის — დღე ცარიელი სხეულისთვის უფრო ახლოა. და შენაჩვევი გულრგილობით ვზევრავთ ამოდენს, გადახვეწილი სიხარულის სამოსახლოებს. პირში სიჩუმე დავიგუბებ და მალე დალპა, დუმილი წვეთავს და დუმილი გვწამლავს ნელ-ნელა და გვიან ვიგებთ მორიგ ფიქრად და მორიგ დარდად, რომ ჩვენს ჩირაღდნებს თურმე ცეცხლიც შემოებნელათ. რომ ქარიშხალი მოგვანყურეს და აქანდაზით ჩუმად მოგავეს ოცნებების ნაცნობი ცირკი — რადგან ცხოვრება უკულმართად წვრთნიდა ანდაზებს: ქარი დავთესეთ და პასუხად ცხელ მზეებს ვიმკით.

#### მონატრების სიმღერა

ვზივარ. სურვილის შევექცევი ნაცნობ ნარჩენებს, უგემურია ნარჩენების დაღლილი სიტკბო და სანამ წასულს, მშვიდი წყევლით კვლავ შემაჩვენებ, გწერ წერილს, მაგრამ შენგან პასუხს არასდროს ვითხოვ. ვზივარ. მონმეა მოგზაურთა შემწე არაკი, რომ ისევ ვზივარ, უმიზეზო მანუხებს სიცხე, თოვლი ნათხოვარ კაბასავით აცვია ქალაქს, ქარი უწენავს და ქალაქი ხანდახან ირცხვენს. სადამდე წვდება სიყვარულის დანული თოკი? უფრთხის თუ არა მთებს და ხევებს, ზღვათა მანძილებს — გწერ, გეკითხები, მოგზაურთა მოშურნე დრო კი, ამოდ ცდილობს სხვა ძაფები ქსოვოს საძილედ. უფრთხის თუ არა სხვისი მზერის უეცარ დანას, სხვისი სიტყვების სამართებელს, თოკი, რომელიც, მე წამოვიღე, მზე ამოდის კვლავ საიდანაც, მზე — საგულეში ველარასდროს დაუდგომელი. თოვს, სიყვარულის თოკზეც დადო, ცივა და მალე, დაღლილი ფიქრი უცაბედად უჩქარებს ნაბიჯს და გწერ; ნეტავი თოკის შენი, მეორე ბოლო, ისევ გიჭირავს თუ ქუჩაში ბოძს გამოაბი.

#### შოპის სიმღერა

შენ შეგიძლია დაინახო ღმერთი ცაში, თუ მინაზე დაინახავ ჭიანჭველას, ძალს და ადამიანს. სხვანაირად შეუძლებელია ღმერთის დანახვა. სხვანაირი ღმერთი არ არსებობს. მაგრამ საქმეც ეგ არის, რომ ძნელია დაინახო ჭიანჭველა, როცა სამსახურში გაგვიანდება, ძნელია დაინახო ძაღლი, როცა პაემანზე გაგვიანდება, ძნელია დაინახო ადამიანი, როცა სხვა ადამიანთან გაგვიანდება. ამიტომაც ვერასდროს ვხედავთ. დღეს შობაა. ჩვენთან შობაც გვიან დგება. დღეს შობაა. და შობადღე სულ მშვიდია, ქარი — ღრუბლიან ზეცის სანიშნე, ამინდს ფრთხილი სევდით ფურცლავს.

მე ვზივარ აივანზე და მინდა ღმერთი დავინახო, მაგრამ ვხედავ წითელ მატარებელს, რომელიც ზანტად მიდის და მატარებელს შეგნებულად აგვიანდება. აქ, ამ ქვეყანაში და სამყაროში ყველაფერი გვიანია. შემოდგომაც კი გვიანი მახსოვს — მზე ხეთა ჩრდილებს გუბებში როცა ახრჩობდა და გუბები ივსებოდნენ ყვითელი სისხლით. იდგა ნოემბერი. ფოსტალიონი მოდიოდა გვიან. მამაჩემიც მოდიოდა გვიან. შუქი მოდიოდა გვიან. ჩვენ ვწვებოდით გვიან და მე სკოლაში ვაგვიანებდი. ზარი ირეკებოდა გვიან. სიყვარულში ვუტყდებოდი გვიან, რადგან სიძულვილში მიტყდებოდა გვიან. ყველაფერი გვიან იყო და გვიან არის. მხოლოდ კურდღელი დგება ადრე, ისიც იმიტომ, რომ მწვეარი არ დაენიოს.

#### ახალი წლის სიმღერა

სხვა საქართველო სად იქნება, ალბათ არსაით — ეს არის ჩვენი მისამართი მიუგნებელი, ვზივართ მძინარე ვაგონებში და ფიქრს გვპარსავენ დუმილის ავი სამართებლით და უგნებელი ეს არის ჩვენი მისამართი და ანერია: ნალკა. კრწანისი. წინამური. წნორი. წინაკა. წასვლა. წავკისი. წასვლა. წყევლა. და რაც მწერია, სუყველა მწერი ჩვენი გვამის წრფეს დაენაფა. ყველა ალაყაფს, ცხვირწინ ცივი ხველით მიხურულს, ლექსებს ვანერდით და ლექსები გვეგონა შევლა და ვერ ვისწავლეთ სიხარული, რადგან სიხარულს, ახლავს სიტყვები სხვა ენიდან — უცხოა ენა. აქ ომი უდრის მეზობელი მოხუცის სიცხეს, რომელიც ვიცით და გაუფლის — გულგრილად ვამბობთ, და ყოველ დილას უწყინარი ღიმილით ვინყებთ და ვგვით ფიზიკური შემართებით მძინარე ვაგონს. და მოდის წუთი და ეს წუთი წუთს არ გადროვებს — შენ დარდებს, სუროდ გადაკეანძულს — ველარ შეისხლავ — ხედავ? ამ სისხლის სამართალიც უსამართლოა და დაქცევამდე უცებ თოვლად თეთრდება სისხლი. და ვამბობთ, გვიყვარს ქალწულივით თოვლის მოფენა და გვეშინია იმ ზამთრების — თუ გადაივლის? — რომელთაც უწევთ ჩვენი სისხლის ფიფქად მოთმენა როგორც ჩვენ გვინევს ზაფხულობით მოთმენა ყინვის. კი, მოთმენაა საქართველო, მოთმენას ვებდავთ ამ წუთზე მოკლე სიცოცხლეში და ბინდი გვინდობს და ლამაზია ეს ქვეყანა — გავაზზე მეტად, და ვიცი, კიდევ უფრო მეტად ლამაზი გვინდა.

#### სიმღერა გალის შიყვარებას

მე გწერ წერილებს და ბრმა მზერას ვიგონებ სითბოდ, მზერას — წერილებს ბარათებად გზად რომ აცვია — შენ შეგიძლია ამოიცნო და ნაიკითხო ჩემი ფიქრების საშინელი კალიგრაფია. ხან ისე ჩუმად, უსხეულოდ საღამოვდება — წლების უკნიდან შენი ფეხის ფრთხილი ხმა ისმის,

და შენ ნაბიჯებს ღამით ვაცმევ შენს უცხო სხეულს — დიდი ხანია შევისწავლე ხელობა სიზმრის. თუმც რა აზრი აქვს დილით ავდგე, დავლიო ყავა, სარკეში მზერა გავისწორო, მერე საყელო, თუ მესიზმრე და ცხადის ფილმად ეს აღარ გავა — წყალს სიზმრის ნაცვლად ეგებ თავი სჯობს გავაყოლო. შენ ცხოვრობ სოფლის სიახლოვეს, სხვა ქარებს იტევ, იცვლი სამოსებს — დღის და ღამის — ძველ სავარძელზე.

ხან დღე მოკლე გაქვს და სიფხიზლის მოძენილ სვიტერს სხვა ფერის ძაფით — ლამფის შუქით ქსოვ და აგრძელებ. არცერთმა ვიცით, როდის ვნახავთ ერთმანეთს, რადგან ვერ გავთვლით, დღე და ღამე როდის შემოგვერღვევა — როცა ორივე აღმოვჩნდებით იმ ბალის კართან, რომელსაც ალბათ არ ერქმევა საბავშვო ბალი, ანდა რა იცი, შეიძლება ასეც ერქმევა.

#### ლოდინის სიმღერა

არ არსებობს იმაზე უფრო საშინელი, ანგელოზივით გულუბრყვილო ლოდინი, მიტოვებული ძაღლი რომ ელის პატრონს-მეთქი — უნდა დამენერა, მაგრამ პატრონი წაშლილი სიტყვაა იმ ადამიანის ლექსიკონში და გაუგებარი. დგას ძაღლი და ჰგონია, რომ ადამიანი გავიდა იქვე და ორ საათში დაბრუნდება. თვალს აყოლებს გამვლელებს და უკვირს, რატომ არ არის ეს ის კაცი ანდა ქალი, ვისაც იცნობდა. დავწერდი ასეთ მეტაფორებს, ზედაპირულებს: ადამიანი, ვინც დატოვა საკუთარი ძაღლი, მასთან ერთად საკუთარი ადამიანობა დატოვა და ვინც წავიდა და აღარ დაბრუნდება, საკუთარი ადამიანობიდან წავიდა-მეთქი, მაგრამ სასაცილოა. რადგან სასაცილოა ის, ვინც „ადამიანი“ საქებარ სიტყვად მოიგონა. ძაღლებს არ აქვთ პასუხი საკუთარ შეცდომებზე, ადამიანებს აქვთ —

ერთის პასუხი და მეორეს უპასუხო იგივე მიზეზითაა — ძაღლებიც და ადამიანებიც სულ მართლები არიან, ოღონდ ძაღლებმა არ იციან რას აშავებენ, თუ აშავებენ და ადამიანებმა — შესანიშნავად. ამიტომაც არის ორივე სულ მართალი. ამიტომაც არის სამართალი სხვადასხვა და მხოლოდ სიტყვით გაუზომელი. ადამიანს, ვინც წუხელ საკუთარი ძაღლი ქუჩაში დატოვა,

სიზმრები აღარ ესიზმრება — ამის მერე არ შეიძლება იძინებდე და სიზმარს უძლებდე. „რა იცი, როგორ უჭირდა, რომ ტოვებდა?“ — ამბობს სავლე და სავლე ამბობს — „ეგებ დაუღრღნა ყველაფერი? პაპამისის დატოვებული ტახტი, მამიდამისის დატოვებული ხელჩანთა?“

ამიტომაც, ეს ლექსი ეძღვნება ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია გაუყოს, არ შეუძლია დათმოს და მოითმინოს, ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია თვალეები დახუჭოს იმაზე, რომ უჭირს და საკუთარი პური გაუყოს. არ შეუძლია თვალი დახუჭოს იმაზე, რომ დაგლეჯილი ნივთი ნახა. არ შეუძლია თვალი დახუჭოს იმაზე, რომ ყეფა აღვიძებს. თვალი დახუჭოს და სიზმრები ველარ ნახოს.





თორნიკე ნაროზაული

არხოტისკენ გავეჭრი  
გზანვრის თოვლიანს  
და მდინარეს შევერევი სენიანს —  
მე ამლაში გაყინულს მიპოვინან,  
შენ პარიზში გიპოვინან ცრემლიანს.

არაკანონიერი აღსარება

მაპატიე, დედა, რომ კვლავ დავინწყე მონევა,  
რომ ვერ შევეგუე ჩემს ჯანმრთელ ორგანიზმს.  
მაპატიე, მამა, რომ ასე ძლიერ დავგემგავსე,  
რომ ვერ შევძელი  
ნერვებისთვის სიმშვიდე მესწავლებინა.  
მაპატიე, პაპა, რომ  
მხოლოდ ლექსებით გელაპარაკებოდი,  
რომ შენი ბოლო ამოსუნთქვა  
მხოლოდ სიზმარში მოვისმინე.  
მაპატიე, ბებო, რომ მივატოვე სოფლის სახლი,  
რომ ვერ ვუვლი შენს მოხუც ძველებსა და  
ბავშვურ ეგოიზმს.

მაპატიე, ძმაცაცებო, რომ  
ყველა ტკივილში თქვენს ზურგთან ვიდექი,  
რომ სიხარულში გამუდმებით გეკარგებოდით.  
მაპატიე, ხევსურეთო, რომ  
შენგან დიდი ხნის წინ გადამასახლეს,  
რომ ვერ დავბრუნდი, ვერ ავცურე დინების აღმა.  
მაპატიე, საქართველო, რომ  
არ მიყვარხარ ისეთი, როგორცა ხარ,  
რომ უფრო მეტი მინდა შენგან,  
უფრო ჭკვიანი მინდა, იყო, უფრო ძლიერი.  
მაპატიე, ჩემო მკითხველო, რომ  
ასეთი ნაჯღაბებით გესაუბრები,  
რომ ნამდვილ ლექსებს  
მხოლოდ საკუთარ თავს ვუკითხავ.  
მაპატიე, სიყვარულო, რომ  
არ შემიძლია შენი ყველა ოცნების ახდენა,  
რომ მხოლოდ ერთი კაბის ყიდვა მოვახერხე  
ნლების მანძილზე.  
მაპატიე, ჩემო თავო, რომ ასე სასტიკად გექცეოდი,  
რომ ყველას ტკივილს მხრებზე გკიდებდი,  
რომ ბავშვობა არ დაგაცადა.

მაპატიე, ღმერთო, მაპატიე, რომ  
ასე ძლიერად მწამდი,  
რომ გამუდმებით გადიდებდი,  
შენ კი მხოლოდ სიყვარულს მთხოვდი.

პასტორალი

ტურები ყმუიან.  
ვკითხულობ ბაძალას.  
ნელა ცრის. ნისლია. ვეძახი მაძახურას.  
არ არის შუქი და ხალხიც არ არი.  
მარტო ვართ ამ სახლში —  
მე, ფატი მამიდა და ძველი მარანი.  
სადღაც წრიალებენ გზებზე მანქანები.  
სადღაც ქაქანებენ საჯდომქანქარები.  
აქ კი სოფელია. ტურები ყმუიან.  
ჰერეთის ველებზე კვდება ოფელია  
და გოგი ყრუია.  
პიტნის ჩაია და შალის წინდებია.  
სმა და ნიკოტინი აღარ მინდებია.  
ვარ ჩემთვის, ვლოცულობ.  
ვკითხულობ ბაძალას.  
ხანდახან მოცლილი ვეძახი მაძახურას.  
ის კი, როგორც წესი, მპასუხობს აროდეს.  
უკვე აღარ ვიცი მწყინდეს?... მიხაროდეს?...  
იმდენად მარტო ვარ და გადატვირთული  
ამ მცირე ცხოვრების ამხელა სირთულით,  
რომ მინდა შემლილთა ფერხულში ჩავეება,  
ჩემს ნაცვლად ცხოვრობდეს ჩემი უკვდავება  
და იყოს შენს გვერდით ყველგან და ყოველთვის  
სიცოცხლის წამსა თუ სიკვდილის მომენტში.

არსოტიონი მოყმა

აყვავდნენ შენი კერტები,  
აყვავდნენ ალუბლები...  
„ჩამოვალ, შენით შევთვრები  
და შენთან საუბრებით.

შევთვრები შენი თმებით და  
შენი ღიმილის მთვარით“, —  
გწერ ხევსურეთის მთებიდან,  
ჟიპიტაურით მთვრალი.

„შენ აღბათ გაგიკვირდება,  
აქ კვლავ ვუსხედვართ ბუხრებს  
და თოვლი აქვითკირდება  
ბებერი მგლების მუხლებს.

ნისლმა სავალი დაბინდა,  
გზები ზვავის ქვეშ მოყვნენ.  
ვზივარ ასაის ნაპირთან  
არხოტიონი მოყმე.

არეული აქვს დავთარი  
წარსულს, მომავალს, აწმყოს...  
ისე თოვს თითქოს ზამთარი  
ბალალაიკას აწყობს.

ჩამოვალ გზების არ ქონა  
ვერ შეაშინებს შევარდენს,  
და თუ გზად ზვავმა ჩამქოლა,  
მაინც მოვალნევე შენამდე!

შევთვრები შენი თმებით და  
შენი ღიმილის მთვარით“, —  
გწერ ხევსურეთის მთებიდან  
ჟიპიტაურით მთვრალი.

\*\*\*  
მწვანე კვამლის ფარდა ფარავს კორპუსებს და  
ნაძვანარებს...  
თითქოს მჟავე ღვინო ვიყო და მეღვინე მაძმარებს...

თვით ლოთები აღარ მსვამენ, ვინ დაეძებს თამადას...  
ჯერ იყო და, დამამჟავეს, მერე ვალიც დამადეს...

რომ ვერც ქვევრად გამოვდექი,  
ვერც ღვთაებრივ ზედაშედ...  
ვერც პოეტად ვივარგე და მით უმეტეს — მეტაშედ...

მეფეთ მეფეს ვერ მივართვი ერისთავთა თავები...  
მიველ, ვნახე ყრუ ადგილი, მაგრამ ვერც იქ დავები...

ვნახე ქალი მზისსადარი, ქალი ვნების სათავე...  
ვერც მის ტრფიალს გავქექცი, ვერც მივანდე სადავე...

სამწუხაროდ, სანუხარი ღმერთი ახლოს ვიხსენე...  
ვერც წარსულით წვა ვისწავლე,  
ვერც ვიხსენე სიხსენე...

ამ საქმიდან, როგორც ვხედავ, არაფერი გამოდის...  
თავს ისე ვგრძნობ,  
როგორც მტვერი ცარიელი კამოდის...

ნეტავ ვინმე მოვიდოდეს, თუნდაც მტერის ასაღებად...  
გამფანტავდეს თეატრებად, მოედინებად, ბაღებად...

მიმოფანტულს ქართა შორის იქნებ დროც კი მეხელთა  
და ბეთლემში მოვფენოდი იეშუას ფეხებთან.

\*\*\*  
სულში შემოდის შფოთი,  
რალაც საშინელს ითხოვს,  
მოდის, უბრალოდ მოდი  
და არაფერი მკითხო.

ფეიქრობ, მიხვდები თავად —  
(მკერდზე დამადე თავი)  
უშენობით ვარ ავად,  
სხვა... არა მიშავს...  
რავი...

სავლეს ღოცვა

ღმერთო, რაც ჩემში ჩათესე, ის აღმოცენდეს, დაე,  
მე მინდა ჰაერს ვსუნთქავდე, შენს ამონასუნთქ ჰაერს.

სალამობით, უდაბნოს ცის ქვეშ ფეხებთან გეჯდდე...  
არ მსურს, ტრამალის მგელივით  
დაკარგულ ბატკანს ვგლეჯდე.

მინდა ხის სახლის სიმშვიდე და  
ზღვის ტალღების ვნება,  
არც ის მსურს, ავი ძალღვივით ოფისის სკამზე ვება,

ჩემს პერანგს ჰქონდეს საყელო, თან,  
მით უმეტეს თეთრი —  
ვისთვის ოცნების საქმეა, ვისთვის — სასტიკი ხვედრი.

ხეებთან მეტი საერთო მაქვს, ვიდრე ვიტრინებთან...  
ძალა მაქვს, დედა ვუტირო, ვინც დედას მიტირებდა.

მაგრამ დედათა ტირილმა  
გულს ვით მოჰგვაროს შვება?  
გულს რაც არ უნდა ევედრო, მაინც თავისას შვება,

თავისას გრძნობს და თავისთავს აზიანებს და რაზავს,  
გულს ვერ შეასმევ სინრფელის და  
თვალთმაქცობის ნაზავს.

სწორედ ამიტომ, რაც ჩემში ჩაიფიქრე და ჩადე,  
მინდა შიგნიდან ის ვიყო, გარედან რომც არ ვჩანდე.

მინდა ხის სახლის გარშემო — კვიპაროსების რკალი...  
სახლის წინ წყაროს წკრილში ბავშვს აძინებდეს ქალი.

ულრანი ტყიდან მოსული მათ წინ რომ დავიღვენთო...  
მხოლოდ ეს მინდა, თუ ესეც ბევრი არ არის, ღმერთო.

მეაზოვე ელია

ნანვიმარი მთანმინდა. სველი ინსპირაცია.  
დილის ექვსი საათი. თვალს ახელენ სახლები.  
დგას ფანჯრის წინ ანტენა — ბელურების რაცია,  
კარალიოკების და კაქტუსების თანხლებით.

იზმორება მანქანა, პირობითად „პაბედა“,  
უსინათლო ლამპიონს ეტმასნება ადესა...  
შენ რომ ქალი გიყვარდა, რა უეცრად დაბერდა,  
თითქოს ქარმა მის შავ თმებს ბამბა გადაათესა.

იფხიზლებენ მძიმე ძილს კედლის დეკორაციები,  
მალე მეეზოვენიც გამოფიქვანდებიან,  
შენ რომ ქალი გიყვარდა, მის ეზოსთან კატები  
ყოველ გამთენიისას მტრედებივით სხდებიან.

მოდის ცოცხემართული მეეზოვე ელია,  
ისე ჩაფიქრებულა თითქოს ადგენს შარიათს,  
შენ რომ ქალი გიყვარდა, იმის მეზობელია,  
შენ რომ ქალი გიყვარდა, წუხელ დაუკრძალიათ.

ნანვიმარი თბილისი. არქაული გრაცია.  
უკანასკნელ მზის ჩასვლას საკმაო ხანს ელოდე,  
გინდა მალე დასრულდეს შენი ემიგრაცია  
და ზეციურ სამშობლოს გაუერთმნიშვნელოვდე.

ცაზე ღრუბლის ფთილები თითქოს მაქმანებია...  
მონატრებული სოფლის სურნელი სდის ჰორიზონტს,  
შენ რომ ქალი გიყვარდა, იმ ქალს სხვა ჰყვარებია,  
ამბობს სიტყვის მასალად და სასხვათაშორისოდ,  
მეეზოვე ელია.

ნანვიმარი მთანმინდა.  
დილის ექვსი საათი.  
გზები ცარიელია.

NOTRE DAME DE PARIS

გამუდმებით ბედთან მოასპარეზე  
ჩაფერფლილი კოცონივით ვანათებ,  
შენ ნახვედი — აირჩიე პარიზი.  
მე მთანმინდის მთვარეს  
ვერ ვულალატე.

შენ აგინვავს მხრებს ბოდლერის ამბორი  
და გიშვილებს ღვთისმშობელი პარიზის,  
მე დამიცავს განდევნილი თაბორი,  
ფიქრს ამიმღვრევს ექო ტატოს ქარიზმის.

მოვიყუდე ლუდის კათხას ქაფიანს  
და ოცნებებს ნიჩბებივით მოვუსმევ,  
შენ მოუსმენ ვინმე Lara Fabian-ს,  
მე თეონა ქუმსიაშვილს მოვუსმენ.

დასასრული

\*\*\*

მრავალი წლის შემდეგ, სალამოხანს, ვდგავარ ჩვენი საძინებელი ოთახის ფანჯარასთან, საიდანაც მოჩანს უკვე ჩამქრალი „დინამოს“ ბაზა, იმის წინ შეფერთხილი და დაძველებული ალვის ხეების რიგი, უფრო შორს კი უშველებელი სივრცეა. იქიდან უწყვეტი ცხოვრების ჩაყრუებული, მარად-ისობაში გაფანტული ხმები აღწევს.

მამამ უკვე დიდხანია დატოვა ეს ბინა და ეს ოთახი. ის აღარც სხვაგან არის და მახსენდება, როგორ ვესწრებოდი „დინამოს“ ფეხბურთელების ვარჯიშებს და თამაშებს, ეს თითქოს ჩვენი ცხოვრებისეული რიტუალი იყო, რომელიც ახალ გარემოში მყოფებს გვიზიდავდა და მოწყვნილობისგან გვათავისუფლებდა. ამ ახალ გარემოში რაღაც საყრდენს ვეძებდით, რაც სულიერად ახლობელი და ნაცნობი იქნებოდა. ვიპოვეთ და შევეთვისეთ კიდეც. მას მერე საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ფეხბურთელების თაობები შეიცვალა, ხეების რიგიც შეთხელდა. დაძველებული ალვები მოჭრეს. „დინამოს“ ბაზაც შეიცვალა და მიწდორი, რომელიც ჩვენი ფანჯრიდან ჩანდა, გააუქმეს. დრო ყველაფერს სახეს უცვლის და აქაც ხელშეუხებელი არაფერი დარჩენილა. თითქოს სიცოცხლე დაიშრიტა, ფეხბურთელები მუდმივი თვალსაზრისიდან გაქრნენ და წაიღეს ჩემი მარტოობაც და ნალღველიც. მიწდორის გადაღმა მხარეს მალაღმა კორპუსებმა შორეული ხედი გადაფარა — მტკვარგალმა დაბალი სახლები ფანჯრებში აღარ ირეკლება ჩამავალი მზე, აღარც დასავლეთისკენ დაძრული მატარებლების ხმა აღწევს. ადრე მატარებლების ხმა გვიან ღამითაც ჩამესმოდა ძილში, გამოღვიძებულს განგაშის გრძობა მეუფლებოდა, რადგან მამა ჯერ არ იყო შინ დაბრუნებული. მანამდე ველოდი, ვიდრე სადარბაზოში მისი ფეხისხმას არ გავიგონებდი, მერე კი იღებოდა კარი, ბრუნდებოდა მამა და მეც ძილს ვეძლეოდი.

\*\*\*

„დინამოს“ ბაზა რომ გადაასხვავდეს, ერთხელ ასეთი სიზმარი ვნახე. ფეხბურთელები მწვანე მიწდორზე დარბოდნენ, სათადარიგო შემადგენლობების ოფიციალური მატჩი ტარდებოდა. მე ვითომ ჩემი ფანჯრიდან ვუცქერდი თამაშს. ალვის ხეების მიღმა ვერაფერი, მოძრავი მაისურები ელავდა. მიწდორი დავსწრებოდი მატჩს, მაგრამ რაღაც მიშლიდა ხელს. მერე ქვემოთ ჩავედი და პერიმეტრს მივუახლოვდი. მიწდორის მიღმა გავიხედე და შევნიშნე, მტკვარგალმა ნაძალადევის ფანჯრებში ჩამავალი მზე ირეკლებოდა. დიდი დრო გავიდა, მაგრამ თითქოს ყველაფერი ისევე იყო. გალავნის მიღმა გადავიხედე: ფეხბურთელები რაღაცნაირად დაძაბულები თამაშობდნენ. ქარი უბერავდა და მათსურებს უცნაურად უფრიალებდა. მერე თანდათან ზემოთ აიწიეს, ზემოთ და ზემოთ, ჰაერში იწვედნენ და სივრცეში უჩინარდებოდნენ. მერე ყველანი გაქრნენ და მიწდორზე ბინდი ჩამოწვა.

\*\*\*

მამა წერდა, ფილოსოფოსის პორტრეტს ხატავდა. ასეთ დროს მოუსვენრობა იტანდა, რომელიც შტრიხს ეძებდა და ვერ პოულობდა. ნამოდგებოდა, ოთახებში იწყებდა სიარულს, თითქოს ეს ადგილმონაცვლეობა მიაგნებინებდა იმ ერთ ნიშანს, რომელსაც ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა. ეს ნიშანი არ ჩანდა, მერე კი, მიაგნებდა თუ არა, სახე გაუნათებოდა და უფრო უღრმავდებოდა ნაწერს, მაგრამ სკამს აღარ ეკარებოდა და, მკლავებით მაგიდას დაყრდნობილი, განაგრძობდა წერას. ჩანდა, რომ აზრი უკვე შეუფერხებლად მიედინებოდა, მაგრამ ახლა სხვა დაბრკოლება იჩენდა თავს. ახლა უკვე სიტყვას ეძებდა, ზუსტ სიტყვას, რადგან რომელიმე მოვლენის თუ რეალის პლასტიკურ სახეს ქმნიდა და მისი სიმკვეთრე თუ რელიეფურობა იყო აუცილებელი. დრო არ უნდა დაკარგულიყო. აზრის ფლერად კამერტონს სახე არ უნდა ეცვალა. პორტრეტს ერთი მონახაზის ჩარჩო უნდა მოერგო. მამა ზოგჯერ ბინას ტოვებდა და გარეთ გადიოდა, თითქოს სადღაც სხვაგან ეძებდა შესატყვის აზრს თუ ფრაზას. სწრაფად ჩაირბენდა სადარბაზოს კიბეს და მიდიოდა შორს, საავადმყოფოებისაკენ, ქარხანა „მიონისკენ“,



დასალიერისკენ, იქით, საითაც ცარიელი სივრცე იყო გაშლილი და მტკვრისპირა შიშველი ლოდები მოჩანდა. მამა ისე მისწრაფოდა იმსიორეს, თითქოს სადღაც ეგულეობდა წერტილი, სადაც თავისი ნააზრევის გასაღებს მიაგნებდა. მე მგონი, ის უბრალოდ მიდიოდა, მისწრაფოდა და ტოვებდა იმ ადგილსამყოფელს, სადაც მისი ინსპირაციის რადიოტალღებს რაღაც ელოებოდა; მიიბოდა, მიიჩქაროდა, თითქოს რაღაცისგან თავისუფლდებოდა, მერე კი დაღლილი ბრუნდებოდა უკან, მშვიდად განაგრძობდა წერას და ჩანდა, რომ მიაგნო იმ გამოსახულებას, რომელიც მანამდე ბუნდოვნად ჰქონდა წარმოდგენილი.

\*\*\*

ბუთიკა განგსტერივით დადიოდა. ასეთი მანერა ჰქონდა სიარულის. ჩემი კარის მეზობელი იყო. თავიდანვე გაშორდა ეზოს, კორპუსის შემოგარეებს და უბანში გავიდა. მამამ ჯერ კიდევ არ გაეშენებინათ მასივის იქით სავადმყოფოები, იქვე, ხეივანის ბოლოს ერთი გზაჯვარედინივით ადგილი იყო და სხვა ბიჭებთან ერთად იქ იდგა ხოლმე, იქ იყო „ბირჟა“. მერე უკვე მთელ უბანში მოძრაობდა, ხან სად მოვკრავდი თვალს და ხან სად. ბუთიკა განგსტერივით დადიოდა, ყველა ცნობდა და პატივს სცემდა, ადრეულ ასაკში ილიმებოდა, მერე კი სახეზე პირქუში იერი დაელო და უნდობლობასთან ერთად სიცივესაც ამჟღავნებდა.

დიღმის მასივში უკვე მრავალსართულიანი სახლებიც ააშენეს და ხშირად ამ სახლებს შორის გამოჩნდებოდა. ისე კი, მოგვიანებით მისი „რეზიდენცია“ ახლად აშენებულ კინოთეატრში იყო — ფოიეში იჯდა, გაურკვეველი გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ მაინც ფხიზლად ზეურავდა გარემოს. იქვე შეიძლებოდა მისი ნახვა, ვისაც მასთან საქმე ჰქონდა, იქ აკითხავდა. ბუ-



თიკა მოძრაობდა მთელ მასივში, უბნის სხვადასხვა წერტილში საქმეები ირჩეოდა, ამიტომაც მისი ნახვა ყველგან შეიძლებოდა. დიღმის ხეივანი და კინო „თბილისი“ მოვლენათა ეპიცენტრი იყო. საქმის გარჩევის შემდეგ იქ იყრიდა თავს უმრავლესობა და ამიტომ ჯგუფური ჩხუბებიც იქ ხდებოდა. ჩხუბი უეცრად აიწყოდა და მერე საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა. ბუთიკა თავდაპირველად ჩხუბში არ ერთვებოდა, მერე კი, რაღაც მომენტში ადგილიდან წყდებოდა და მოჩხუბრების გროვამი შეჭრილი ვილაცას ნიხლს ჩაახლდა. ჩხუბის შეწყვეტისთანავე ბუთიკა ხეივანის სიღრმისკენ მიდიოდა და რამდენიმე კაცი უკან მიჰყვებოდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა და ახლა ამ ამბავს უნდა შერიგებოდნენ.

ბუთიკა სალამოხით ხეივანში ჩამოვივლიდა — შავი პერანგი ეცვა და ჯინსის შარვალსაც მოხდენილად ჰქონდა შემოტყეცილი. განგსტერივით მიაბიჯებდა და გარემოს ისე ზეურავდა, რომ უმნიშვნელო წვრილმანიც არ გამოჩნდებოდა.

ერთხელ ხეივანში შემინიშნა და თავისთან მიმიხმო, აქ ნულარ გაჩერდები, შინ წადი, ცოტა ხანში უეჭველად ვილაც დაიჭრებაო, მითხრა. მე მჯეროდა მისი და იქაურობა დავეტოვე.

მასივში მწუხრი წვებოდა და მალალ ხეებში ნათურები ციმციმებდა.

ბუთიკა მშვიდად დააბიჯებდა უბანში, მაგრამ მის ირგვლივ სიმშვიდე არასოდეს შემინიშნავს. ნაცნობები გარშემო უტრიალებდნენ და რაღაცნაირი ჩუმი მღელვარებით უბამდნენ მხარს. ის ყოველთვის ყუარდების შუაგულში ექცეოდა. უბნულეს ყოველთვის საქმიანი სახეები ჰქონდათ, ისინი ერთად იკრიბებოდნენ ან წყვილად დააბიჯებდნენ. თოვდა, წვიმდა, გადათხრილ ნიადაგში წყალი გუბდებოდა, მათ კი თითქოს რაღაც საერთო საბაბი ჰქონდათ,

რომ ერთად მოგროვილიყვნენ. ბუთიკა ყველას ერთმანეთთან აკავშირებდა, მისკენ ისწრაფოდნენ, ანდა მას აქცევდნენ ზურგს და ტოვებდნენ. ზოგჯერ მარტო დადიოდა ნაგვიანევად სიბნელეში. სიარულის მანერა ისევე ისეთი ჰქონდა და მისი მალალი აჩრდილი ტყდებოდა ქვაფენილზე. ეს კაცი მუდმივად ინარჩუნებდა სიღინჯეს და ნარბშეუხრელობას. მღელვარების ნუთებშიც კი ნერვი არ უტოკავდა, თითქოს ყველაფერი ესმოდა და ყველაფერს ხედავდა. ის ან „თბილისის“ ფოიეში იჯდა და შორს, სივრცეში იყურებოდა, ანდა მიდი-მოდიოდა. მისი გზასავალი მასივის ტერიტორია იყო. ასეთი მძიმე განგსტერიული ნაბიჯით მოსიარულე დამამახსოვრდა... მერე ბუთიკამაც ნაადრევად დატოვა მასივიც და გარესამყაროც.

\*\*\*

გაზაფხულის დადგომისთანავე დიღმის ფართო ველობზე ლაჟვარდიდან თითქოს ოქრო მოწვეთავდა. ჰაერი მომწუსხველი ბანგით იყო გაჯერებული. ძალიან ვრცელ და ღრმა სიშორიდან აღწევდა ტალღოვანი ცვლილებები. ყოველივე ეს აქ უფრო საგონებელი იყო, ვიდრე აქაურობას მოშორებულ ქალაქის ქუჩებში. უკვე მხოლოდ მოყრანტალე ყვავები არ იყვნენ შემომსხდარი ძალიან მალალ ალვის ხეებზე, სხვა ეგ ზოტიკური ფრინველებიც ჩანდნენ. აივნის წინ ნაძვის კენწეროზე უცნაური ჭრელი ჩიტა იჯდა და საკვირველ ხმას გამოსცემდა. ღამით მკაფიო მთვარის ფონზე ნახევრად ამოყვანილი კორპუსის კედელი და ამწეების სილუეტი იკვეთებოდა, თითქოს ყველაფერი იცვლიდა ადგილს და შეფერილობას. ეს არამარტო დღისით, არამედ ღამითაც იგრძნობოდა. რაღაც იძვროდა და ფაჩუნობდა გარესამყაროში, რაღაც აქამდე მიძინებული იღვიძებდა და ძალას იკრებდა — ყველაფერი გათენებას ელოდა. გათენდებოდა და ისევე გამოიკვეთებოდა ინდუსტრიული პეიზაჟი — მშენებარე კორპუსები უბადრუკი რკინა-ბეტონის აღჭურვილობით და მისივე კონტრასტული შტრიხი: ცინცხალი პირველქმნილი ბუნების ფერადოვნება. გაზაფხულზე ღია სივრცეში გაღვრილი სინათლე ყოველივე ამას სხვაგვარი სიმძაფრით აჩენდა: მართლაც თითქოს ოქრო მოწვეთავდა გამჭვივალე ლაჟვარდიდან.

ნაშუადღევს სოფელ დიღმისაკენ მივეშურებოდი. იქ ჩემს მეგობარს პატარა ნაკვეთი ჰქონდა. ეს ნამდვილი ოაზისი თუ წირვანა იყო. ბადრის მსხმოიარე ხეები, სიმინდი, ვაზი და სხვაც მრავალი რამე გაეშენებინა, ყურძენს წურავდა, ღვინოს აყენებდა, არაყს ხდიდა და, საერთოდ, მინის ამ პატარა ნაგულეზე მთელ მეურნეობას მართავდა. ეზოში მიმოფანტული ხეების რბილი ჩრდილები იყო ჩაფენილი.

ქედს რომ გადავივლიდი, დიღმის სასაფლაოს ვუცქევდი გვერდს და ნაკვეთისკენ მივივლიდი. აქეთ უკვე უშველებელი ფართობზე ვრცელი სოფელი იყო გაშლილი. სოფლის კლდეში ვინრო გზა გადიოდა და ჩაყოლებზე ჭიშკრები ენაცვლებოდა ერთმანეთს. ერთ-ერთი ჭიშკრის კარს შევალე და ბადრიც იქვე მხედებოდა. ღვინის სარდაფში ჩადიოდა, მეც ჩაყვებოდი და რამდენიმე ხანს იქ ვტრიალებდით. ბადრი ღვინოს არჩევდა და აჭაშნიკებდა. მერე ტალავერქვეშ პატარა სუფრა იშლებოდა და გაზაფხულის კრიალა დღეს ნელა მოანევდა სალამო. მზის აღმაცერი სხივები ტალავერს ეცემოდა, მერე კი ბალახზე წვებოდა. ჩამავალი სინათლის ნაფლეთები ყველგან ეყარა — სახლის კედლებზე, სუფრაზე, ხეებსა და ღვინის სარდაფში ჩაკიდულ კიბეზე. ზოგჯერ ვდუმდით, სალამო კი თითქოს თვითონ ამბობდა სათქმელს — ინურებოდა და თავის მენამულ სითხეს ალაგ-ალაგ ღვრიდა. მე არ მტოვებდა იმის განცდა, რომ ხმაურისანი ქვეყნიერების ყველაზე უფრო მყუდრო წერტილში ვიყავი მოხვედრილი. უკიდურესად პატრიარქალურ გარემოში არ იყო ისეთი რამ, რაც ამ ბუნებისეული სივრცის, ამ კარ-მიდამოს ნაწილად არ აღიქმებოდა. ამავ დროს ეს ნივთები და საგნები — საღვინე დოქები და სხვა თიხის ნაკეთობანი, ფოცხი და ბარი, ფანჯიანი გასაღებების ასხმულა და ალუმინის დაჟანგებული „განძეულობანი“ ეზოში დაუდევრად იყო მიმოყრილი, ეს კი უფრო ამძაფრებდა ბუნებრიობის განცდას. სალამო მოანევდა და ყველაფერი ფერად ბინდში იძირებოდა.

შორიდან ძალღებობის ყველა მოსმობა, ან მამლების გადაყვება, ადამიანის ხმა კი — არსაიდან.

მე ვგრძნობდი ღვინის გემოს, რომელიც ამ გარემოცვლილ ბუნების ნაწილი იყო, ამ ჩამავალი მზით მოვარაყებულ ლანდშაფტის ნაწილი. ნიავს მოჰქონდა მინის სურნელი და ამკარად ჩანდა, რომ მინა იღვიძებდა. ნიადაგის ღრმა ფენებში რაღაც იძვროდა და იცვლებოდა. იქნებ ეს მტკივნეული ცვლილება იყო, მაგრამ გარედან საამისო არაფერი ეტყობოდა, პირიქით, თითქოს ყველაფერი უმტკივნეულოდ ხდებოდა. საღამოს ბლანტი ფერები თანდათან უფრო მუქდებოდა, საგნები უფრო მეტ შეუვალობას და სიმკვრივეს იძენდნენ. ეზოში უკვე სხვა სული ტრიალებდა, შორიდან მომდინარე ღამის ბნელმეტყველება იკიდებდა ფეხს. ვტოვებდი ჩემი მეგობრის ნაკვეთს და ვბრუნდებოდი შინ, იქ, სადაც ინდუსტრიის მძვინვარება კლავდა ბუნებას. ჯერ სოფლის ვინრო გზას გავივლიდი, მერე კი უკვე სასაფლაოსთვის უნდა მექცია გვერდი. ბნელი სასაფლაოდან ძაღლების ყეფა ისმოდა. როგორც ჩანს, ძაღლების ხროვა სასაფლაოზე დაძრწოდა. ყოველთვის ისეთი განცდა მქონდა, რომ ამ ბლანტ წყვილიაღში, სასაფლაოს მხარეს ადამიანები იყვნენ შეგროვილები. ასე მეგონა, ისინი გზაზე მიმავალს მხედავდნენ, თითქოს მიმზერდნენ, თითქოს სურდათ, რომ შემხმინებოდნენ და თვალს მაყოლებდნენ. თითქოს მათ არ უნდოდათ იქ ყოფნა, სადაც იყვნენ და ჩემკენ მოიწვევდნენ. ვცდილობდი, რაც შეიძლება მალე გავცლოდი იქაურობას. მართლაც, ნაბიჯს ვუჩქარებდი და უკვე ქედზე თავდადმა ვეპანებოდი. აქედან მასივი მოჩანდა, განათებული მასივი თავისი კვარტლებით და კორპუსებით, თავისი ბნელი კუთხე-კუნჭულებით და ბედნავსი ადამიანებით, თავისი უპატრონო ძაღლებითა და მტკვრის უკაცრიელი სანაპიროთი, მებადურებით და მძლოლებით, ქარიანი დღეებით და შეფეროებული ალვის ხეებით.

\*\*\*

90-იანი წლების დასაწყისში მამა საავადმყოფოში იწვა. ეს იმ საავადმყოფოთაგანი იყო, დიღმის ტრამბლივით გაშლილ ველოზე რომ გააშენეს. აქ მტკვრის სანაპიროზე ჭაობები თუ გუბურებიც ბლომად იყო. ბაყაყების ყიყინი ისმოდა. სასწრაფო რომ მოვიდა, მამას საკაცით ჩაყვანა შესთავაზეს ექიმებმა, რადგან მალალი წნევა ჰქონდა, მან კი უარი თქვა, ილღიაში წიგნი ამოიჩარა და კიბეზე დაეშვა. იმავე დღეს პალატაში მიუჩინეს ადგილი. მეც იქ ვიყავი და მთელი დღე ასე მიიწურა.

მამა საავადმყოფოში იწვა, ერთი წიგნი ჰქონდა წაღებული. დროდადრო გადმოიღებდა და სხვადასხვა მონაკვეთებს კითხულობდა. მერე გარინდებული იწვა და ფიქრობდა. ლაპარაკით თითქმის არ ლაპარაკობდა. ზამთარი იყო, გარეთ ქარი ქროდა. მე მეტწილად დერეფანში ვიდექი, იქ ავადმყოფები ირეოდნენ, ზოგჯერ დერეფნის ერთ კუთხეში ჩასხდებოდნენ და დომინოს თამაშობდნენ. ფანჯრიდან ჩანდა, მალალი ნაძვები როგორ ირკალებოდა ქარში, ქარი უსტვენდა და ზუზუნებდა. მძიმე დრო იყო. საღამოებით საავადმყოფოდან გავდიოდი და ვხედავდი, შემოსასვლელში და მისაღებში როგორ ირეოდა ხალხი. ვილაცებს შემოსვლა უნდოდათ და არ უშვებდნენ. მთელს საავადმყოფოში თითქოს რაღაც ბნელი აჩრდილი დააბიჯებდა.

მე გარეთ გავდიოდი, მომქონდა, რაც მოსატანი იყო. მერე ფეხით ვბრუნდებოდი უკან. მახსენებოდა ადრეული წლები, როცა ამავე ადგილებში დავეხეტებოდი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე. აქ ერთ მხარეს თვალუწვდენელი სივრცეები იშლებოდა და ფართო ველ-მინდვრები, მეორე მხარეს კი დიღმის ტყე-პარკი ჩანდა. პარკში უამრავი კუთხე-კუნჭული იყო და აქ ჯერ კიდევ სუნთქავდა ველური ბუნება, თუმცა ამ ბუნების ნიშატი თანდათან ქრებოდა. უცნაურად მეჩვენებოდა, რომ სამოციანი წლებში მასივში გადმოვედით საცხოვრებლად და ახლა ჯანშერყული მამაჩემი აქვე სახლის სიახლოვეს საავადმყოფოში იწვა. სწორედ აქეთ მოვდიოდი პირველ ხანებში მე და მამაჩემი ჩემს უფროს დასთან ერთად. მამა ქალაქის ნავეს აკეთებდა, არხში უშვებდა და ჩვენ კი გავცქეროდით, როგორ იკარგებოდა თვალთახედვიდან ეს ქალაქის ნავეები. მამის საავადმყოფოები

ჯერ კიდევ არ იყო გაშენებული და ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ სივრცეში მოგვიწევდა მომავალში ყოფნა და ჩვენი დარდი და საფიქრალი აქ განეფინებოდა. მოვდიოდი და ვფიქრობდი იმაზე, რომ ადამიანმა წინასწარ არ იცის და იქნებ არც უნდა იცოდეს, რა ბედი ეწევა. მე მივდიოდი საავადმყოფოში, მამაჩემი მომელოდა და ახლა მთავარი ეს მოლოდინი იყო. არ ვჩქარობდი, რადგან ახლა ის ხდებოდა, რაც უნდა მომხდარიყო. ყოველ დროში იმ გზას ვაივლის ადამიანი, რომელიც აუცილებლად გასავლელია. შეიძლება ეს ზოგჯერ ბენვის ხიდზე გავლაც არის.

ისევე 90-იანი წლები. მამა უკვე ფეხზე იდგა და ჩვენ ერთად ვეშურებოდით გარეუბნიდან ქალაქში, მერე კი უკან ვბრუნდებოდით. მეტროთი ვმოდრავდით, სხვა ტრანსპორტი არ არსებობდა. უკან მობრუნებულები, დიდუბიდან წამოსულები ხიდზე გადავიდოდით და გამზირის ქვაფენილს მივყვებოდით. აქ სრული წყვილია სუფევდა. იმხანად ჯიხურები აკრიფეს და ქუჩის გარეხედი შეიცვალა, მანამდე კი იმავე ჯიხურებთან სანთლები პარპალებდა და ღია ცის ქვეშ მაგიდებს ჩამუქებული სილუეტები უსხდნენ. როცა მარტო ვბრუნდებოდი და ამ მაგიდებთან მიხდებოდა გავლა, რომელიმე სილუეტი მეხმინებოდა და სუფრასთან მიწევდა. ძველი ნაცნობები იყვნენ და წყვილიაღშიც კი არ უჭირდათ ასევე ნაცნობი სახეების შეცნობა, თანაც ჩამქრალი და ჩაბნელებული ბინებიდან გამოსული მოულოდნელ შეხვედრებს მიესწრაფოდნენ. ყველას თავისი სათქმელი და სანუხარი ჰქონდა და ამ ჩაბნელებულ სუფრებზე ურთიერთგაზიარების სურვილი ისადაგურებდა. ნავიდა ის დროც.

\*\*\*

მტკვარი ყოველთვის სწრაფად მიედინებოდა, აბორგებულ, ატალახებულ ზვირთებს მოაგორებდა. დიდუბიდან მომავალი ზედ შუა ხიდზე ვჩერდებოდი და ზემოდან დავყურებდი მდინარეს. თუ მთვარიანი ღამე იყო, ტალღებს ოდნავი ნათელი გადაჰკრავდა. ეს მკრთალი სინათლე მეტ სიმავეს აძლევდა მოძრავ ზედაპირს. მტკვარი რატომღაც არ აღიქმებოდა დიღმის ნაწილად, ის ემოჯნებოდა ვრცელ ველ-მინდვრებს და ტრამალისებურ დაბლობს, რომელზეც კარგა ხნის წინ ოთხკუთხედი კორპუსები აშენდა. მდინარის სანაპირო დიღმის მხარეს დამრეკი და მიუდგომელი იყო. ალბათ ესეც იწვევდა მასივების მტკვრისადმი გულგრილობას. მებადურებიც ადრევე აიკრიფნენ აქედან. მეც მხოლოდ ხიდიდან დავცქეროდი მტკვრის ტალღებს, მდინარისკენ კი გული არ მიმიწევდა. ოღონდ ეგ იყო: მტკვრის მდინარეებს ვგრძნობდი, ვგრძნობდი დროს, რომელიც მტკვართან ერთად მოედინებოდა. როცა მამა წერდა, დროც მოედინებოდა, როგორც მტკვრის უსწრაფესი ტალღები.

\*\*\*

და აი, ახლა, მრავალი წლის შემდეგ საღამოხანს ვდგავარ ჩვენი საწოლი ოთახის ფანჯარასთან, საიდანაც მოჩანს უკვე ჩამქრალი „დინამოს ბაზა“, იმის წინ შეფერთხილი და დაძველებული ალვის ხეების მწკრივი, უფრო შორს კი მტკვრის გაღმა უშველებელი სივრცეა. ამ სახლებში უკვე სინათლები ინთება, შორიდან უწყვეტი ცხოვრების ჩაყრუებული, მარადისობაში გაფანტული ხმები აღწევს. მამამ უკვე დიდხანია დატოვა ეს ბინა და ეს ოთახი. ის აღარც სხვაგან არის. შუალამისას გამოღვიძებული აღარც მე მოველი სადარბაზოდან მის ფეხისხმას და მახსენდება, როგორ მივდიოდი ერთად მე, ჩემი უფროსი და, მამაჩემი მასივის ახალი ბინიდან შორს, გარეუბანს იქით, ქვეყნიერების მიღმა და რომელიღაც უკაცრიელ წერტილში ვჩერდებოდით. მამა მამის ძალიან ახალგაზრდა იყო. ქვალორდიანი გზის ქვეშ ფართო არხის წყალი გაედინებოდა. მამა გაზეთისაგან ქალაქის ნავს აკეთებდა, ჩაუშვებდა წყალში, ჩვენ კი გზის მეორე მხარეს ვიდექით და ველოდით, როდის გამოცურდებოდა მინის ქვეშ გაჭრილი არხის წყლის პატარა ტალღებზე მოქანავე ნავი. ნავი იდნენ ის ნავეები. გავიდა დრო. და ახლა მხოლოდ ამასლა ვფიქრობ: რა სწრაფად გაქრა ყველაფერი, გაქრა და ნავიდა. დარჩა მხოლოდ ფანჯრის ჩარჩო, რომლიდანაც უკვე სულ სხვაგვარი ლანდშაფტი მოჩანს მარადისობის ფონზე.

ამირან ფაჩუაშვილი

პირისხივის დილემა



ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე ქალაქში, ერთსა და იმავე უბანში, ერთსა და იმავე ქუჩაზე, ერთსა და იმავე კორპუსში, ერთსა და იმავე სადარბაზოში, ერთსა და იმავე დაუინებით სთხოვდნენ მკურნალებს ნღების განმავლობაში კეთილმეზობლურად. თითქმის ერთსა და იმავე დროს თითქმის ერთი და იგივე დიაგნოზი დაუსვეს: ლევანს ხორხის სიმსივნე აღმოაჩნდა, ლაშას — პროსტატის. მეოთხე სტადიისა ჰქონდა ორივეს და რამდენიმე თვე მოუთვალეს ორივეს ექიმებმა, თუმცა იქვე მრავალფეროვანი და ძვირადღირებული მკურნალობის შესაძლებლობაზეც ესაუბრნენ თითოეულ მათგანს.

ლევანმა ბოლომდე ბრძოლა გადამწყვიტა, რაც ჰქონდა, თითქმის ყველაფერი გაყიდა, ვალები დაიღო, უცხოეთში წავიდა და იქ იმკურნალა. ყველაფერი სცადა: რადიოთერაპია, ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ისრაელიდან ჩამოტანილი წამლები, ექიმბაშების მიერ დამზადებული მალამოები და ასე შემდეგ.

ვინც გუბუნება, რომ სიცოცხლეზე ძვირფასი რაიმე არსებობს, ის უზრალოდ გატყუებს. საარჩევნო ხმის უფლება, სიტყვის თავისუფლება, უზრალოდ თავისუფლება, ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი რაღაცებია, მაგრამ სიცოცხლეზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი არაფერია, ოღონდ საკუთარ სიცოცხლეზე არა, საყვარელი ადამიანის სიცოცხლეზე. სიცოცხლის გარეშე ხომ არც არჩევანი არსებობს, უფლება და არც თავისუფლება, — უთხრა ერთხელ ლევანმა ლაშას.

ყველაფრის მიუხედავად, ლევანის მდგომარეობა სწრაფად დამძიმდა. მის ორგანიზმზე ათასგვარი ზემოქმედებამ სრულად გამოფიტა, გახდა, თმა გასცივიდა, კანის ფერი შეეცვალა, თვალები და ლოყები ჩაუცივიდა და ისედაც საკმაოდ ასაკოვანი ღრმად მოხუცებულს დაემსგავსა. ბევრჯერ გახდა ჰოსპიტალიზაცია საჭირო და საბოლოოდ კლინიკაში ტანჯვით გარდაიცვალა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში.

ფილების გულქვა პერსონალის გარემოცვაში, ნაჯიჯგნი და ნანვალები.

ლაშამ ჩათვალა, რომ ბრძოლას დიდი აზრი არ ჰქონდა და ოჯახის წევრებს, რომლებიც დაუინებით სთხოვდნენ მკურნალობის დანაყებას, უარი განუცხადა. მხოლოდ პალიატიურ ზრუნვას და ტკივილის გაყუჩებას დასთანხმდა. არც დასხივებულა, არც გადასხმები გაუკეთებია, არც აბები უსვამს, არც ულოცია და არც შამანებთან უვლნა.

ბრძოლას ყოველთვის არ აქვს აზრი. ბრძოლა ღირს მაშინ, როდესაც გაქვს გამარჯვების შანსი. თუ იცი, რომ დამარცხებისთვის ხარ განწირული, მაშინ აზრი აქვს არა ბრძოლას, არამედ გადარჩენას, რადგანაც სინამდვილეში ბრძოლის აზრიც გადაარჩენაა საბოლოო ჯამში, — უთხრა ერთხელ ლაშამ ლევანს.

ტკივილებმა ძალიან რომ შეანუხა, ექიმს მიმართა და იმან მორფი დაუნიშნა. ნარკოტიკის ფონზე პაციენტი კიდევ უფრო სწრაფად დამძიმდა, ტკივილის გაყუჩებისთვის საჭირო დოზამ იმატა და ერთ დილითაც სუნთქვაგაჩერებული ნახა მზრუნველმა მეუღლემ საკუთარ საწოლში.

ისე მოხდა, რომ ერთ დღეს გარდაიცვალა ორივე და მათი დაკრძალვის დღეც დავემთხვა.

ერთმანეთის პირდაპირ მდებარე ორივე ბინის კარი ღია იყო. ლევანი ორ საათზე გაასვენეს, ლაშა — სამზე. ბევრმა ადამიანმა გააცნობა როგორც ერთი, ისე — მეორე. მეზობლებმა კი ერთი თვალმისაცემი რამ შენიშნეს: ლევანს, რომელმაც ბევრი იბრძოლა, ნატანჯი, შემინებული და დამწუხრებული სახე ჰქონდა, ხოლო ლაშას, რომელმაც შეგნებულად თქვა უარი ბრძოლაზე — მშვიდი, კმაყოფილი და გაღიმებული.

ლევანის ოჯახის წევრები მალე გამოასახლეს ბინიდან, რომელშიც ცხოვრობდნენ, ლაშას სურათი კი დიდხანს ეკიდა მის მიერ საკუთარი შთამომავლებისთვის დატოვებულ ბინაში.





მაია მინდელი

\*\*\* და მაინც, ქალი... კარგი ქალი ძალიან მაშინებს, რადგან ის სულს ითხოვს... ჩარლზ ბუკოვსკი

ამ თოკით საზღვაო მარყუჟს გამოგვკრავ, საიმედოს, გამძლეს... შენ რომ იჯექი, იმ სკამზე შევდგები. შენ რომ კოცნიდი, იმ თითებით მყარად შევბამ ქალის საკიდ კაუჭს. რამდენჯერმე დავქაჩავ, რომ დავრწმუნდე — გაუძლებს და, მერე ყულფში თავივით გავუყური შენს სიტყვებს — „სულს მოგცემ!“

და ჩამოვხრჩობ, რომ ეს სიტყვები აღარ გქონდეს. რომ ისინი ველარასოდეს გამიმეორო... ვინ გვაპატიებს ასეთ დასასრულს? ვინ გვაპატიებს, სიტყვების მოკვლა რომ შემადლებინე?!

ის წყალი

ამ წყალს საშიში მოქცევა აქვს — თქვეს და ნავიდნენ. მის ფსკერზე ჩასვლა ოცნებაა — თქვეს და ნავიდნენ. ამ წყალში ბევრი არის დინება — თქვეს და ნავიდნენ. ამ წყალში ცურვა გავიჭირდება — თქვეს და ნავიდნენ. ამ წყლის დაღვევა არ შეიძლება — თქვეს და ნავიდნენ. ვინც პირს დაიბანს, ის შეიშლება — თქვეს და ნავიდნენ. მიცვალებულთა გვამებს ხშირად რიყავს ეს წყალი — ასე ამბობდნენ. სანამ ამ წყალში შევცურავდით, კარგად ვიყავით — ასე ამბობდნენ. ბარათიანი ბოთლებით აქვს სავსე თვალები — ასე ამბობდნენ. ამ წყალს სული აქვს ლურჯ ქალთევზა-ამორძალების — ასე ამბობდნენ. ამ წყალს ვერასდროს ვერ დავადებთ ბორკილს, ანჯამებს — ასე ამბობდნენ. ეს ოკეანე წყალს გრძნეულის სისხლით აზავებს — ასე ამბობდნენ. მშვიდია, მაგრამ ხან ველური ყინით ავდება — თქვეს და ნავიდნენ. მსხვერპლი ცრემლად სდის და მარილად უკრისტალდება — თქვეს და ნავიდნენ. ეს ოკეანე უსაზღვრო-უპორობოტოა — თქვეს და ნავიდნენ. თუკი დაშრება, უბადრუკი, შავი ორმოა — თქვეს და ნავიდნენ. ... დიდხანს მიყურა ნაპირიდან, მზევრა შორიდან ერთმა მათგანმა და ტალღებთან ახლოს მოვიდა. მაცქერდებოდა ბნელ წიაღში და დღის მინურულს ტანსაცმლიანად შემოვიდა, დიდხანს იცურა. მერე ამხაპა, მომაგროვა, ფსკერში ჩამხედა, ჩემს ტალღებშივე დახრჩობისგან გადასარჩენად — თან ნამიყვანა...

დავაცაადე. ვენდე. მივუშვი. და ახლა ვლელავ მის პატარა აკვარიუმში... (რადგანაც, მიყვარს).

დედას შევეშინდი

დედას შევეშინდი! შიშის მდინარემ ჩამომატარა და შევეშინდი. იმ მდინარისთვის ყველამ აგროვა წყალი: მამამ, ბებომ, ბიძამ, მეზობლებმა... ბოლოს მოდიდა და ისე ძალიან შევეშინდი დედას, რომ ლორთქო ძუძუებში ხსენი შეუტოკდა, მერე შეუდებდა და დაგუბებულ ყვირილში ჩაუმაგრდა. იავნანას სწავლა ვერ მოასწრო დედამ. ჩემი თავი რომ მიუტანა, იმ მდინარის გაცურვისას დაკარგა ხმა, იავნანაც დაკარგა. ნეტა, როგორ მიმღერებდა დედა? ალბათ, ახლა ზის მარტო რომელიმე სხვა მდინარის პირას და სიმღერას ცდილობს. პირს ალებს, მაგრამ იავნანას ნაცვლად ჩადედეული ხსენი გადმოსდის პირიდან. ხსენი მდინარეში იქცევა და მიაქვს მდინარეს. ნულარ გეშინია, დედა! მე არ მეშინიხარ. მხოლოდ მამას შევეშინდი. მაპატიე, რომ იმ მდინარის ვარ — მამის, ბებოს, მეზობლის... შიშის მდინარის. მაპატიე, რომ შეგაშინე და სირცხვილის მდინარეს გამაყოლე, დედა. იქ, სადაც ის მდინარე მიმიყვანს, დაბურული ტყე იქნება და ყველა ხეზე აფიშები იქნება გაკრული შენი ხსენით დაწერილი ასოებით — „სირცხვილის მდინარის ბავშვი“. და დიდი ხნის მერე, როცა იმ ხეებიდან ერთ-ერთთან უცხო დეიდა შემხვდება, მომეფერება, თავზე ხელს გადაამისვამს და მეტყვის — „დიდი გოგო გაიზარდე!“ მაშინ კიდევ ერთხელ გამოვყვები შიშის მდინარეს, ნაპირზე მოგძებნი სხვა დედებს შორის — ნატყენძუძუებიანს, ყელში ხსენის ლაბგაჩხერის და გეტყვი: — დედა, მოვედი, რომ იავნანა გასწავლო. „დააიძინე, გეენაცვაალე...“ — ასე იწყება იავნანა, დედიკო!

ხანძარი

ეს ძველი ცეცხლის ნარჩენებია, დიდი ხანია, დასჩემებიათ მზეში ყვავილის მცხუნვარება — ცაში განგაში. იმ ძველი ცეცხლის ნარჩენებია, რომ შერჩენიათ შორეულ ველზე ბაცი კერები, გაყინულები, როგორც ციცქნა მწერი — ქარვაში.

ახლა კი ვინვი, მაგრამ არ ვიცი, ვინ გადააყრის ჩემს ნარჩენს ქვიშას, ვინ გადაირჩენს გაუმთბარ ხელებს, როგორ ჭურჭელში მოაგროვებს ამ ცხელ მუგუზალს? ვისი სარკიდან ველვარებ მუქად, ვის ძილში ან ვის ღვიძილში მძინავს ან რად ტრიალებს ჩემს ციფერბლატზე ცეცხლის ისარი ახლა უკულმა?!

ერთხელ გამცემენ ჩემი თაკარა, დარდამომწველი ალის ენები, ერთი დუმილის ცივად გადასხმა ჩამიქრობს ფიქრის მწვავ ნაღვერდალს და ჩემი ცეცხლის დიაფრაგმიდან ამოსულ ხვატსაც არ დანებდება, რაც მეკუთვნოდა, მაგრამ მაინც უნდა დამენვა.

ეს უხსოვარი ცეცხლის კევრია, სადაც რუხ ქვებში ჯერაც მღერიან ცეცხლის სიმღერას მარადი ფიჭვის ნელა ნაზარდი ხსოვნის წიწვები. გამაყრუებელ კვდომის ტკაცუნით რაც გადნა, მაგრამ მაინც ჩემია, იმასთან ერთად, ჩემივე ცეცხლით, როგორ გავიგო — ვნვავ თუ ვინვები?

შემოდგომის მისეული დღე

დროს რა გამოლევს, სიცარიელეს?! ბრა, ყავა, ნიგნი — ყველა თავისთვის... შენ რომ დატოვე, იმ ცარიელი მუსიკის ნოტებს უკრავს კლავიში.

მუშმალას ხეზე სველი ჭილყვავი... ყავა, მუსიკა, ნიგნი, კედლები... მე?! — სართულებად გაუტიხრავი შენობასავით ვცარიელდები.

სამენი

ავად ვარ, ვირუსი... ჩემ შვილს დაასწრო მოსვლა... ნამლები, ფორთოხლები და ფუნთუშა მომიტანა — შაქრიანი სარკალით, სურნელოვანი. შფოთავს, მაგრამ, მგონი, უხარია კიდევ, ჩემთვის ფუნთუშის მოტანის საშუალება რომ მიეცა. ჩამოვსხედით ოთხნი — მე, დედა, მისი ახალგაზრდობა და ჩემი ბავშვობა. ფუნთუშა ოთხად გავჭერი და მეოთხედი შევჭამე. მიყურებდა თავისი ახალგაზრდობის დასტურს, საბუთს, მონმეს... უყურებდა პატარა მაიას, რომელიც ფუნთუშას ჭამდა. მალე წავიდა, ჩუმად წავიდა. შემოვბრუნდი და დიდხანს ვისხედით მაგიდასთან, სამნი...

გზის პოლოს

როდესაც ეს გზა დასრულდება სადმე — დღის ბოლოს ან შეფხიზლებულ განთიადის მზიან წინკართან, მსურს, ყველას ლანდმა გამიხსენოს, წინ ჩამიქროლოს — ვინც კი მიყვარდა. იმ უსინათლო ალიონებს ვუძღვნი მადლობას (გამოლწეულებს წყვდიადიდან ხელისციცებით), ფიქრის სათქმელად გადაქცევა რომ არ მადროვეს — ემბრიონები შერჩათ ლექსების. ყველა ტკივილი, ჩემზე მძიმე, ჩემზე ნამდვილი — ნლობით ნაზარდი ლალატის და ეჭვის თესლიდან, უსურვაზივით მოხვეული, ტანში ჩაზრდილი — კბილით მეჭირა. გზის დასასრულში, ერთის გარდა, გაქრება ყველა — ამ გზის მონმე თუ თანამგზავრი. იმ ერთს ზარნიშად ამოვიკვეთავ... ვისაც ვენდე — ცაში საფრენად ამიყვანა და... ხელი გამიშვა.

მზარეული ანგელოზი

დიდი ხანია, ველარ შევიგრძნობ მისი ბუმბულის მუშკის არომატს, ვფიქრობდი, ალბათ ვცოდე მე თვითონ, ასე უსიტყვოდ რომ მიმატოვა. აქ იყო, სანამ თავად ენება (მოვიგონე თუ მართლა არსებობს?), ბოლოს ნავანყდი სიზმრის კედელთან ჩემს საიმედო მფარველ ანგელოზს. ვერ მივეკარე იმ ლანდს, სიზმრეულს, ტანს რომ უფლეთდა ჯერაც ვერაგად... ის კი ინვა და სუნთქვამილეულს ქვეშ დამტვრეული ფრთები ელაგა. ედარდობ — მას როგორ მისწვდა ეროსი — ფრთამშვენიერს და ტანსიფრიფანას, ან, სიყვარულით ცალმხრივ შელოცვილ მფარველ ანგელოზს ვინ დაიფარავს?!

პატარა გოგონა დედა გახდა

პატარა გოგონა დედა გახდა... თითქოს სხვის სიზმარში თვითონ ახდა. სამყაროს ბავშვმა — ბავშვი არუქა... ყველა ცისარტყელა ერთად გაქრა, ყველა ჩირალდანი ერთად ჩაქრა — თოჯინებს არაფერი არ უთხრა...

პატარა გოგონა ქალი გახდა: ისწავლა ცრემლების ჩაცმა-გახდა, სათქმელის დუმილით მოლოზვა. უცებ დაგებულ გზაზე დადგა, უცებ მოვარდნილ წყალში ჩადგა, წყალს მშრალი დარღები მოჰქონდა.



სხეული სინანულზე გაასხვისა,  
გული ჩააჩუმა — არავისი,  
სარკმელი სამუდამოდ დაგმანა.  
კისკის სევდის ფარდა მიაფარა,  
ისწავლა, როგორ ეთქვა „კი“ და „არა“,  
ხელეებს მოთმინება ასწავლა.

ჯერაც უცოდველი — ქალი გახდა...  
ყველა ოცნებიდან ისე გაქრა,  
თითქოს წინა ზაფხულს მონავარდე  
მერცხალი შინ აღარ დაბრუნდა.  
რაც თავისი იყო — არ გადახდა,  
დედაში — პატარა გოგო ჩაქრა,  
პატარას ჩაქრობას რა უნდა?!

კალთაზე ჯერ შვილი დაინვინა,  
გვერდით თოჯინები მიუწვინა —  
სიმართლე გაანდო მორჩილებს.  
„როდის გახდებით ამხელეები?..“  
ბავშვის ვარდისფერი საფეხებით  
თვალეები აუხვია თოჯინებს.

**ახალი სიზმარი**

ვილაცის ცხოვრება გამოვადე,  
როგორი სასტიკი ორპირია!  
გემო გავუსინჯე ბევრჯერ ნაგემს  
და ჩაკბეჩილები მომტირიან  
მისი შფოთვები და ნაქურდალი —  
წინა ცხოვრებიდან ლურჯი ქვები,  
შიშში ხელი რომ გავუყარე —  
იმ ხელკავისათვის დავისჯები,  
ლოდინის თოკიდან ჩამოვხსენი,  
დავუცინე ყველა რია-რია.  
მისი სულის ტიტრის გამოკლებით  
სხვა არც არაფერი მინანია.  
როგორ ამოვყავი იმ თავსხმაში  
თავი — ვერაფრით რომ გავიგონე —  
მელნადქცეულ თვალებს ვუმალავდი  
ქალაქის ფიქრების საპირწონედ.  
სხვა სახლში დავბრუნდი — ხვალეს მე-სთან,  
კარის იქით სახლი აღარ დამხვდა,  
ზღურბლით ინყებოდა, მთავრდებოდა —  
უჩემოდ იმ ჩემ სახლს რაც გადახდა.  
დავრჩი ღია ცისქვეშ, გაზაფხული  
დამუწუნებულ პირში ჩავეჩურთე...  
მის ორპირში ახლა სხვა დაბმულა,  
ათამაშებს ჩემი შუშის ნუთებს.  
ზღურბლთან ზურმუხტებით განწყობილი  
გდია ფეხსანმენდი — მწვანე ჩვარი,  
ვინმე, ვინც ჩემს დარდში ნამყოფია,  
მოვა, მომახარებს — „მოგისწარი!“  
ამ სიჩუმეს კაუჭს ის გამოსდებს,  
ესვრის ზღურბლის იქით დამბალ სივრცეს,  
ჩემი თმენის დამფრთხალ ნიაბორებს  
სივრცის ქარაფებზე შემოჰკიდებს.  
მე კი მეძინება ზურმუხტებზე,  
სიზმრის უსიზმრობას რომ ვუშველო.  
სანამ ახალ ძილს შევიბრუნებდე,  
მოდ, გამაღვიძე, ღვთისმშობელო!

**ახლაც ასეა**

ახლაც ასეა... — ვერ მოვარიგე  
გულთან ჯანყისთვის აყრილი ფიქრი.  
ბევრი ხმაური ახსოვთ თარიღებს,  
ბევრი დუმილიც — თითქოს და თითქმის.  
რამდენი თვალი ჩაუწყდა ნაქსოვს  
მრუმე დღეების შენაქსოვიდან,  
მარადიულად რაც ღირს და ფასობს —  
გვიან კი არა, სულ არ მოვიდა.  
დღემ მოიქავა ზმორვით გვერდები...  
ახსოვს? —

გზებს ერთად როგორ ვირჩევდით...  
და ეხვეოდა ნავი ვნებების  
სურვილის ტალღებს დაღლილ ნიჩბებით.  
ვერ გავაყუჩე აურზაურის  
ხმა — გამოსული გრძნობის ნისლიდან.  
ფიქრმა რამდენი იმოგზაურა  
და ბოლოს მაინც მასთან მივიდა.  
წვიმისას მხოლოდ წვიმით ვფიქრობდი,  
თოვლსლა ვამჩნევდი მხოლოდ თოვისას.  
ტკივილს ხიჭვივით დიდხანს ვიდრობდი  
ლამეგამოვლილ სიმარტოვიდან.  
რამდენ გაზაფხულს ფიცით შევპირდით,  
რომ გადავრჩებოთ... ზამთარნავედრებ  
უფსკრულის თავზე გაბმულ ბენვის ხიდს  
ჩაფრენილები აქანავებენ  
მოგონებები... მაგრამ დასასრულს  
ყოვლისმყლაპველი ჰქონია ხახა,  
ეს მერამდენედ... სულზე ალაგმულ  
ნაფიქრს ვაგროვებ, ვიღებ და ვმარხავ.  
ახლაც ასეა — გაქრა. ნავიდა.  
თუმც გაიყოლეს ხსოვნის ჰუნებმა —  
დარჩა ხმაურად მისგან, კარივით,  
იმ ბოლო ლექსის გაჯახუნება...

\*\*\*  
მნიფე ღამეა.  
დეკემბერი.  
თოვლის წინაღვე.  
მონყენილ კედლებს ნახატები გულში ჩაუკრავთ.  
შენს სიზმრებს ვინერ —  
მაგ გასაშრობ დარდებს დილამდე.  
ოთახში ფრინავს უძილობა — თეთრი ღამურა.  
ვერ შევიცვალეთ, ისევე ვირგებთ ნაცნობ კაემანს,  
თოვლს ველოდებით, სინმინდით რომ გადაგვარჩინოს.  
სანამ ზამთარი ღრუბლის მწვერებს თოვლზე დაგეშავს,  
ასეთი ცხადი, ასე ცივი, ასე საჩინო,  
მანამ ჩემამდე იძინებენ მოგონებები  
და მთვარის ზადით ჭერში ვიჭერ სევდის ჭრიჭინებს.  
ეს ღამეები — გათოშილი ზამთრის ვნებები,  
თვალს არ ხუჭავენ, მეძინება და ვერ ვიძინებ.  
ნამოვა თოვლი —

სულთათანა მიმკრთალ დეკემბრის,  
ფიფქის ფრანების დაუთვლელი თეთრი ამალა,  
ცის საჩუქარის შეუცვლელი არის შემცვლელი —  
გადაპენტილი უღონობით, ჭერი, ჩამქრალი.  
და ახლა ისე ერთადა ვართ,  
ისე მარტო ვართ...  
რა შემზარავი სხეული აქვს ზამთარს უთოვლოდ.  
როდესაც მოთოვს, სახელები — ვინც მიგვატოვა,  
ფიფქის ფრანებზე წაწერილი უნდა ვიპოვნოთ.  
მნიფე ღამეა.  
დეკემბერი.  
თოვლის წინაღვე.  
თეთრი ღამურა —  
უძილობა — ჭერში,  
დილამდე.

**რაც ჩემგან დარჩა**

რაც ჩემგან დარჩა — ფიქრის ნაფხვენი —  
სულ ორი მუჭა ფერფლია შენთვის,  
თბილ ქვეყნებამდე გადასაფრენი  
ნაგლეჯი ცისა — სიზმარი მერცხლის.

ჩემგან რაც დარჩა, ფართე ხელისგულს  
მივანდობ შენსას — ზომე და წონე,  
ნუ მოარიდებ მზერას შენისლულს,  
ჩიტისთვის სამყოფ, გამოცლილ ღონეს.

რაში გარგია, რაც ჩემგან დარჩა? —  
როგორც ზღვა, მკვდარი და უხმაურო,  
როგორც მელნისგან დასვრილი ფარჩა,  
როგორც ალვირი — უბედაურო,

როგორც სიტყვები ძვირფას საფლავთან —  
რაც ცოცხალისთვის არ გაიმეტეს.  
გული, რომელიც ბევრჯერ გადარჩა,  
სული — გვალვისგან დამშრალი ღელე —

დღეს შენთან მომაქვს, როგორც ყვაილი,  
ქარით ნაცემი, წვიმით ნახელი...  
ოღონდაც სადმე მეგულეობდე,  
სულ ნუ ვიქნები შენი მნახველი.

დროის პეშვიდან, ბევრი თუ ცოტა,  
რაც დარჩა, უნდა ბოლომდე შევსვა,  
უნდა დავშრიტო, რომ ველარ მომკლას  
ერთ მდინარეში მეორედ შესვლამ.

**მინიმები**

**ჯანჯალის სიკვდილი**  
სწრაფად მიმავალმა მანქანამ  
პირველი ყვირთელი ფოთოლი  
გაიტანა.

**გაშვილებული ტყუპისცალი**  
მხოლოდ ერთი სხვაობაა მათ შორის:  
იავნანას სხვადასხვა ქალები უმდერინან.

**განქორწინება**  
— ყველაფერი წაიღე! სარდაფიდანაც...  
მარტო ბავშვის ძველი სათამაშოები დამიტოვე.

**სამოთხეში**  
ვერც კი შენიშნეს, როდის დამნიფდა ვაშლი.

**მდინარე**  
ამ მდინარეში ქარიყლაპიები არ სახლობენ,  
აქ არასოდეს ქრის ქარი.

**მარტოობა**  
მზესუმზირას არჩევს.  
ყველაზე საღ და საყვარელ მარცვლებს  
თავის შავ პუდელს უყრის.



**ზურაბ მამულაშვილი**

\*\*\*  
არავინ იცის, რატომ ღამდება,  
არავინ იცის, რატომ თენდება,  
ან, თუნდაც, ბოლოს ღამაში ქალი  
ნებისმიერ კაცს რატომ ნებდება.  
ალბათ ეს არის ბუნების წესი,  
ალბათ ბუნების არის კანონი.  
ვერავინ მეტყვის, თუ რატომ ჰქვია,  
ამ კაცს პეტრე და იმ ქალს მანონი.  
ნეტავ, ვინ მეტყვის რა ხდება მზეზე,  
რა მოვლენები მიმდინარეობს,  
ან, თუნდაც ღამით, ამდენი ხანი  
მთვარე არ ქრება, მთვარე-მთვარეობს.  
თუნდაც ჰაერი ჯერ არ ყოფილა  
ვინმეს დააკლდა, ვინმეს არ ეყო,  
თუნდ ატმოსფერო რარიგად იცავს  
ამ ჩვენ ხილულ და ღამაზ გაგრემოს.  
ფიქრობ, ეს არი ბუნების წესი,  
ფიქრობ, ბუნების არი კანონი,  
რალაც ზეციურ ძალით შექმნილი  
და არა ვინმეს გამოწვანონი.

\*\*\*  
კიდევ კარგი, რომ არა წვიმს, ველარა ვგუობ ნარატივს,  
პატივს ვცემ უკვე მარადის, ჯერ დაუნერულ ფარატინს.  
ვერავის ვერ ვეუბნები, რაც სევდას უცებ გადააყრის  
და უფერული დღეები, წელიდან-წელში გადადის.  
სახეზეც ფერი დამედო, ბებიანჩემის ხალათის,  
ალარც ნერვები არა მაქვს, ვინმესთან დიდი კამათის,  
ისე გამიქრა უეცრად ადრე ნაჩვევი მარაზმი,  
როგორც ეს ლექსი, ლექსებში არანაირად არა ზის.

კიდევ კარგი, რომ არა წვიმს და  
ჩემ ნაფიქრალს არა შლის.

\*\*\*  
რისთვის მოვედით ვინ იცის,  
რად ნავალთ არც ის ვიცითა,  
ვინ გაიხარა პირიმზით,  
ვინ გაინირა ვისითა?

ამ სამყაროზე ბევრი რამ  
ჯერ კიდევ არა ვიცით რა,  
სიცოცხლეს მაინც ვადიდებთ  
უფლის რწმენით და ფიცითა.

\*\*\*  
ის ხომ, ის ხომ, ის ხომ იყო,  
მეც ხომ, მეც ხომ, მეც ხომ ვარ,  
ნეტავ, როგორც ის ცხოვრობდა,  
მეც ისევე მეცხოვრა.  
არ იტყოდა სიტყვას უხამსს,  
დიდი მაღლი ეცხო მას,  
ჩემი წასვლის შემდეგ, უფალს,  
ჩემი სულიც ეცხოვნა.

\*\*\*  
შეტორტმანდა გული ტრფობით,  
მზით განათდა გულის კარი,  
ქალი მიმზერს ღამლაობით,  
ღმერთო, ეს რას შემასწარი.  
თუ მელირსა გულის სწორი,  
მეც მენვია ვნების ქარი,  
ის იქნება ჩემი ცოლი,  
მე ვიქნები მისი ქმარი.

რაც უნდა მოხდეს, ის უნდა დარჩე, ვინც ხარო, თორე თუ შეიცვალე, ესე იგი, არც ის ყოფილხარ, ვინც გეგონა, რომ იყავი და ვერც ის გახდები, ვინც გინდოდა, რომ სულ ყოფილიყავიო. ის ეუბნებოდა, რომ ეგრე არ იყო და რომ სხვანაირი ცხოვრებით ცხოვრება გაუჭირდებოდა; რომ სხვა გზა არ ჰქონდა და რომც ჰქონდა, იმ გზამდე არავინ მიუშვებდა, რადგან ის გზა კი არა, ანგრეული და დროისაგან გამოჭმული, მიუნვდომელი ბილიკი იყო და იმ უსუსურ დროს პიანინო, რომლის კლავიშებსაც კვირაში სამჯერ — ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს — ეხებოდა, იყო ექსტაზი და იყო შველა, გაქცევა და ბედნიერება, რომელიც სხეულში ისე იფლინებოდა, ხშირად ეტირებოდა კიდეც და ეგ ტირილი კარგად ახსოვს; შუა დაკვრის დროს გადმოგორებული თითოეული ცრემლი და მისი მასწავლებლის, იოსებ ახვლედიანის, აცრემლიანი თვალებიც, რომელიც რთულ და გაუსაძლის დროს მყრალი და გაუბედურებული ქალაქის დანგრეული სკოლის მუსიკის კლასის ამოტეხილ და აყრილ პარკეტს მონოტონურად ასველებდა ხოლმე.

თაობა, რომელიც თბილისის სხვადასხვა უბანში იყო მიმოხვეული, სრულიად გაუსაძლის დროს დაბადებულნი სრულიად გასაძლებ რეალობაში იმ ჭაობის ზედაპირზე ლივლივდნენ, რომელიც გვიან ოთხმოცდაათიანელებს და შემდეგ უკვე ორიათასიანელებს ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ფსკერისკენ ექაჩებოდა და თუ გამოჩნდებოდა ვინმე ისეთი, სხვანაირი, ვინც აყროლებულ ჭაობს თავს დააღწევდა, ვინმე, ვინც ნაპირზე აფორთხდებოდა და დიდი ხნის შემხმარ ტალახს ჩამოიფრთხავდა, ვერასდროს ახერხებდა, წარსულისთვის ზურგი ექცია და ასე, მოგონებების ნაგლეჯებით, მძიმე და ტკივილიანი წარსულით უწევდა უფრო მეტად საშინო სამყაროსთან დარჩენა და სწორედ ამიტომ, ბიჭები, რომლებიც დაჭაობებულ ქუჩებს ყოველდღიურად თელავდნენ, აღარც კი ცდილობდნენ ტალახიანი შარვლის ტოტების აკეცვასა თუ ჩამოფრთხავს, რადგან მათთვის უფრო მეტად უსაფრთხო ინერტული მდგომარეობა იყო, სადაც სიძულვილის სუნი მომაბერებლად დასტრიალებდა სკოლის უკანა ეზოებში და ინტერნეტ კაფეებში გაზრდილ თაობას, რომლებიც სკოლის კედლებზე ორიათასიანელების დასაწყისში აღმოჩნდნენ და რომლებმაც ფეხი მაშინ აიდგეს, როცა სადარბაზოებში ლობიო თუხ-თუხებდა და მაშინ დაიწყეს თავქუდმოგლეჯილი სირბილი, როცა ოთახის შუაგულში მდგარი „კერასინკა“ კედლებს ნავთის სუნით ამძიმებდა; ძალიან მალე ახალ რეალობაში ისე აბზურდნენ, ვერც გაიაზრეს და თუ ადრე უშუქოდ და საჭმლის გარეშე დარჩენილებისთვის მთავარი გასართობი „სუპერში“ კუბიკების აწყობა, ტუალეტობანა, ფსტიანი ქალი, ლოტო, ჯეირანები და ცოტა მოგვიანებით — „ბავშვები 402-ე ოთახიდან“ და „შეამბოხე სულები“ იყო, რამდენიმე წელიწადში კომპიუტერების ეკრანს მიჯაჭვულები — სონი ერთიდან დაწყებული, პენტიუმებით დამთავრებული — ახერხებდნენ ბავშვური სურვილების დაკმაყოფილებასა თუ რეალიზებას და, რაც მთავარია, იმ გარემოდან მოწყვეტას, რომელიც ცხოვრობდნენ და იმ ადგილიდან გაცლას და გაქცევას, სადაც არაფერი ხდებოდა სახალისო თუ სასაცილო და პირიქით, ცრემლების, ყვირილებისა და აგრესიის მეტი არც არაფერი ტრიალებდა თუ სუფევდა და წმინდა ტექნოლოგიურმა განვითარებამ თურენესანსმა, ყველა სახლში, უბანში და გონებაში შეაღწია და საძმაკაცოდან თუ სამეგობროდან ერთ-ერთთან მარადიულ შეკრებებს დაუდო საფუძველი, სადაც ქრამიდან, მორტალ კომბატიდან, ტექნიკიდან თუ ფეხბურთიდან დაწყებული, კაზაკებით, ლაინეიჯით, შალოთი და ვაი სითით გაგრძელებული და ბოლოს სან ანდრეასით და ქაუნთერ სტრაიკით დამთავრებული, ყველაფერი ისინჯებოდა თუ ირთებოდა და ყველა უბანში მიმოხვეული ვიდუო-თამაშებით მონამულეული სამეგობრო იმასთან აგრძელებდა შეკრებას, ვის ოთახშიც ბედის წარმართობითა თუ უკულმართობით ახლად ნაყიდი პროცესორი ბზუოდა და სწორედ იმ ჰორმონალური აფეთქების ფაზს, როცა ერთ კონსოლსა თუ პროცესორს შემომსხდარი თინეიჯერები ვირტუალური სამყაროს ნაწილი გახდნენ, მასთან ერთად ცხოვრება ძალიან



გურო დავითიძე

ჩაიკოვსკა

სწრაფად ისწავლეს და დაიხეპირეს კიდეც, დროის მიუხედავად, მომაბერებელი გაჭირვების პარალელურად, მაინც ჩნდებოდა ყველა სახლში ახალი პენტიუმი და, რა თქმა უნდა, ჩნდებოდა ქაუნთერ სტრაიკიც და სწორედ იმ მკაცრმა და ხისტმა ტექნოლოგიურმა ბუმმა და პროგრესმა ბენჯე მოუსნრო ეზოში ერთმანეთის საჯიჯგნად გამოხეტებულ ახალგაზრდებს.

\*\*\*  
 „რა იყო, ბაჩან, პიანინოზე დაკვრა დაიწყე?“  
 „არა, რა პიანინო...“  
 „არ მითხრა ახლა, მამაჩემი უკრავდა ნუხელო...“  
 „არა-მეთქი!“  
 „ბიჭო, შენგელ, ამის ბაითიდან არ ჩითავდა ხმა?“  
 „მე მგონი, პატარა პიანინოში კი გვეზრდება,“ — ჩაეცინა შენგელას.  
 „რა იყო, ბიჭო, კი არ ტყავს, ტო. საკაიო კასტუმი, ნვეტასები, ყელში გალსტუკი და მზადა ხარ...“ — ერთიანად გადაბყირდა ყველა.  
 „დაბოლდით?“  
 „არა, მე მონვევას შევეშვი და კინორეჟისორი უნდა გავხდე.“  
 „მე — მწერალი.“  
 „მე — ბალერინა.“  
 „ისე, წარმოიდგინე — გამოდის ჩვენი ბაჩანა საკაიფო სცენაზე, თმა გადაწყვილი, საკაიფოდ ჩაცმული და უბრაგუნებს კლავიშებს.“  
 „ნადით თქვენი...“ — სიგარეტს მოუკიდა ბაჩანამ.  
 „ბაჩან, ტაიგერებით რო გაიჩითო? — გრძელი შარვალი, კასტუმი და ტაიგერები. იმენა დაეკვდება, შეჩემა.“  
 „და დაილაღებ?“  
 „რა დავილაღე, ახლა ვინყებ,“ — მხარი მიკრა შენგელამ ბაჩანას.  
 „არ დამიკრავს პიანინოზე.“  
 „მტყუანს დაეცა მთელი თბილისი, შენ თუ არ იცი, აბა, ვინ იცის! ნახე, რა გავრითმე?“  
 „მასე!“  
 „ნახე, რა უცბად შეინერა?“  
 „ბიჭო, სკოლაში რო გვასმენინებდა მანანა მუსიკაზე, იმ ტიპს რა ერქვა?“  
 „ვინ ტიპს?“ — ჩაფიქრებულმა გახედა შენგელამ თავას.  
 „იმას რა, ვისაც გვასმენინებდა.“  
 „მე რა ვიცი.“  
 „რა არ იცი, რაც თავი მახსოვს, სუ მას რთავს მაგნიტაფონში.“  
 „არ მახსოვს და თუ გინდა, შემიდე.“  
 „ვახ, ბიჭოო... ბაჩან, არც შენ გახსოვს?“

„ჩაიკოვსკი... ჩაიკოვსკი ერქვა.“  
 „ეგრე რა! ჰოდა, ჩემო ბაჩან, დღეიდან ჩაიკოვსკა ხარ ჩემ თვალში!“  
 „ჩაიკოვსკი მამამენია!“

\*\*\*  
 „ბიჭებო, ამატებთ?“  
 „აუ, გელა, კაცურად, დაგვამთავრებინე რა...“  
 „გელოდებიან...“  
 „ვინ გელოდებ? ისინი?“ — კართან ჩამომდგარ ორ კაპიუშონნამოფარებულ ბიჭს გახედა შენგელამ.  
 „ხო...“  
 „მაგათ არ გავკარი? ეს ხელი და ვდგებით. ამ აზერებმა ხო შეგვიდეს იმენა.“  
 „აზერები არიან?“ — შეატრიალა კისერი თავამაც.  
 „მიდი, მიდი, გაეკიდე, შენი დედას...“ — ჯოისტიკს მთელი ძალით სრესდა შენგელა და გველივით იკლაკნებოდა.  
 „ეგ არი, ეგ არი, მიეცი, მიეცი... გოოო! გოოო! გოოო! გამოიდეეეე!“ — გახარებული წამოხტა თავა და ორივე ხელით დაუსწო ჯაჯგური სახენამული შენგელას.

\*\*\*  
 თაობამ, რომელიც მაშინ ცდილობდა ფეხის ადგმას, როცა ქალაქი უბრალოდ არსებობდა და, შეიძლება ითქვას, გადარჩენისთვისაც კი იბრძოდა, ნელ-ნელა გადაიბარა წარსულის ტრავმები, შიშები და კომპლექსები, ზიზი და სიძულვილი და თვალმომავალი მოუბრუნდა ქალაქს და დაინახა და დასაკეცი დანებით, შარვალში ჩაცმული დრინებით, ჩაჩაჩული შარვლებითა და სკეიფუებით მიმოიხვენ თბილისის უბნებში და არც ისე დიდი ხნის წინ დასრულებული ამბები და ისტორიები ბუმერანგივით მოუბრუნდა ქალაქს და დაინახა ის, რაც, როგორც წესი, არ უნდა დაწყებულიყო და დაინახა ის, რაც იმდროინდელ თბილისელებს, და უფრო მეტად კი ამავე თბილისელი წვერამოუსვლელი თინეიჯერების მამებს, კარგად ახსოვდათ და ალბათ ვერც ვერასდროს დაიფიქრებდნენ იმ ამბებს და მოვლენებს, რომლებიც ოთხმოცდაათიანი წლების მიწურულს თბილისის ქუჩების ზედაპირზე ლივლივდებოდა და ეს ურღვევი ჯაჭვი თუ კინო თუ სპექტაკლი ანტრაქტის გარეშე გრძელდებოდა სხვადასხვა უბნის სცენაზე და საუკუნის მიწურულს დაწყებული კონფლიქტები, თბილისის ანგრეულ ქუჩებში მოგრიალე მხედრობები, იარაღისთვის, ნარკოტიკისთვის და, რაც მთავარია, სახელისთვის და ავტორიტეტისთვის ერთმანეთს დატაკებული საძმოები თუ ბანდები, სხვა ფორმითა და მოცემულობით მოევიდნა ქალაქს და არანაკლებ მძაფრადაც, რადგან ბავშვები, რომელთაც არაფერი ჰქონდათ ნანახი გარდა შიშისა, გაჭირვებისა, სიცივისა და ამას დამატებული, ზიზისა თუ სიძულვილისა, მამების, ბიძების, ან თუნდაც მეზობლების დეპრესიისა თუ სიცივისა, სადარბაზოებში მიმოხვეული შპრიცებისა და ამავე სადარბაზოებში აყუდებული კაცებისა, ჯართის საძებნად თუ ბოთლების ჩასაბარებლად წასული მამებისა, უფრო მეტად საშიშვნი გახდნენ და ასე თვალეზანთებულები მიჰყვებოდნენ უკვე კარგად გათელილ კვალსა და ბილიკს, არც ორიათასიანების დასაწყისი იყო წყნარი და მშვიდი და ეს ბავშვები, რომელთაც შორიდანაც კი არ ჰქონდათ დანახული ბედნიერება და სიმშვიდე, რა გასაკვირია, რომ ახალ გზას არ აირჩევდნენ და ზუსტად იმ კარგად გამოცდილ და გათელილ ტროტუართან ჩაიცუტებოდნენ, სადაც მათი წინა თაობები იცუტებოდნენ და ასე თვალსა და ხელს შუა თბილისი გადაიქცა ბოროტების იმპერიად, სადაც თინეიჯერი ბავშვები ერთმანეთს არათუ ვერ იტანდნენ, ეზიზიებოდნენ კიდეც და სულ რომ შემთხვევით რომელიმეთვის გეკითხა, საიდან მოდიოდა ამხელა ზიზი და სიძულვილი, ბავშვური თვალებით დაბნეულები და გაცივებული შემოგხედებდნენ, რადგან ყველაფერი, რაც მათ სხეულში დულდა, იყო ერთგვარი ინერცია, რომელიც იმდროინდელ თაობას მომაკვდინებლად და გაუაზრებლად დაეტაკა და გადაურა და ამ ყველაფრის ფონზე, როცა ეზოებში, სადარბაზოებში, მიტოვებულ შენობებსა და სკოლებში და ამავე სკოლის უკანა ეზოებში მოსაკლავად დასდევდნენ პატარა ბავშვები ერთმანეთს; როგორც უკვე ითქვა, თავისი სივრცე მონახა იმ დროისათვის ყველაზე პოპულარულმა პროცესორმა, პენტიუმმა და ამავე პროცესორში ჩაწერილმა სან ანდრეასმა და ქაუნთერ სტრაიკმა, სადაც იმ ბავშვებმა, რომლებიც ქუჩაში თავანულები დაძროდნენ და იმათმა, ვინც თავს მალა ვერასდროს ნევენენ, დაიწყეს სხვადასხვა კლანში განევრინება და ამავე კლანების დაარსება დამო, რომელიც ქუჩაში ყოველდღიურად მიმდინარეობდა, ცოტა ხნით, მაგრამ მაინც, ტრანსფორმირდა ვირტუალურ სივრცეში და იმ ბოლმამ თუ აგრესიამ, რომელიც ორიათასიანელ ჰედსეტებთან თაობაში დულდა და ინვოდა, თბილისის უბნებიდან გადაინაცვლა ლოს ანჯელესში, სახ თიერობა და ლას ვენტურაში და, რაც მთავარია, გადაინაცვლა დასტში და სწოში და გადაინაცვლა ინფერნოში და დრინებითა და კასტეტებით მორბენალი თაობა გადაიქცა ავექებებითა და ემ-4-ებით მორტენალ თაობად და იგროკეზად და ჰედმომტერებად და კემპერებად თუ ჩეთერებად და ასე და ამგვარად ონლაინ-სივრცეში ჩამოყალიბებულმა კლანებმა, რომლებიც სხვადასხვა სერვერზე მიმოიხვენ, შეძლეს და საკუთარ სხეულში ჯინივით გამოწყვედული სიხარული, შიში თუ ზიზი გაათავისუფლეს.

\*\*\*  
 „შენგელ...“ — გასძახა კლასის ერთი ბოლოდან მეორეში თავამ შენგელას და როგორც კი მოხედა, დაკუჭული ქალაქი შიგ შეშლში გაარტყა. როცა დაკუჭული ფურცელი შენგელამ ფრთხილად გამაღა და ზედ აბდაუბდა დაწერილი MTYVNELEBI\_TAVA წაკითხა, ზარც დაირეკა და მთელი კლასი ერთიანად წამოიშალა.  
 „დაგვეკვას?“ — გახარებული მივარდა თავა შენგელასთან.  
 „რა გამეხარდა, შეჩემა, რა მომწერე?“  
 „ჩვენი კლანის სახელი. წინ „MTYVNELEBI“ და მერე ჩვენი კლიჩები რა. შენ, შენგელა, ჩაიკოვსკა და ეგრე...“  
 „ნეტა არ ჩუქენობდე, რა...“  
 „რატო, შეჩემა...“  
 „რამე სხვა მოვიფიქროთ, ეგ არა.“  
 „ო, იდი ნახუი, რა, მთელი ღამე ვფიქრობდი.“  
 „შავი სისხლი დავირქვათ,“ — ამოილაპარაკა ბაჩანამ.  
 „შავი სისხლი?“  
 „ხო, შავი სისხლი, ოღონდ ინგლისურად და მერე ჩვენი კლიჩები. მეც ვფიქრობდი გუშინ.“  
 „სისხლი როგორაა ინგლისურად? დანერე, აბა, აქ როგორ გამოვა,“ — მიანოდა თავამ ბაჩანას ბოლო გვერდზე გადაშლილი გაცრეცილი რვეული.  
 ბაჩანამ გაკრული ხელით მიანერა: BLACK\_BLOOD\_CHAIKOVSKA და უკან გა-

უნდა. თავას თავლები სიხარულისგან შუბლზე აენება, როცა დაინახა.  
 „მაგარია, ე! შავი სისხლი საიდან მოგაფიქრდა, ძმობას გაფიცებ?“  
 „რაღი, აბა...“  
 „შენ რას იტყვი, შენგელ?“  
 „ბიჭო, რაღი, საკაიფოა...“ — მხარი მიპკრა თავას შენგელამ.  
 „კაროჩე, მომწონს. მაგარია!“  
 „ახლა შენ იმაზე იჩალიჩე, ვის ვეთამაშოთ.“  
 „რა ჩალიჩი უნდა, შეჩემა, ერთი კამანდა ვიცი და იმათ დაუფუშავთ. ინულებიან და იგროკობენ თურმე ბიჭები.“  
 „მოუფუგებთ?“  
 „ლადაობ? მარტო გლოკით თუ არ ვაპედმოთო, მაგასაც ნახავ, — ცხვირი აბზიკა თავამ.  
 „ვინ არიან?“  
 „აზრზე არ ვარ. სკაიპი მაქ მაგათი და მივწერ.“

\*\*\*

იმ საღამოს, როცა ბაჩანა სკოლის ეზოში ბიჭების მოლოდინში ქაუნთერ სტრეიკის დისკით ხელში მარტო იდგა, თვალი არ მოუცილებია მუსიკის ოთახისთვის. უნდაოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა და პირიქით, თვალის მოშორების ნაცვლად, ახლოსაც კი მიჩოჩდა, შიგნით რამენაირად რომ შეეჭყყილა და შეიჭყილა კიდეც. ოთახი ისევე ისეთი მტვრიანი იყო, როგორც მის ბავშვობაში და ზუსტად ის დროისაგან დაღლილი, დაბერებული პიანინო იდგა, რომელთანაც არც ისე დიდი ხნის წინ იოსებთან ერთად იჯდა ხოლმე და იმეორებდა სხვადასხვა კომპოზიციონის შედეგებს და იმეორებდა ყველაფერს, რაც ისწავლა და სწავლობდა იმას, რაც უნდა ესწავლა და ასე ფიქრებში აბურღულ წარსულთან მწარე და ცრემლნარევი დიალოგით დამძიმებულს ერთადერთი, რაც ახსენებოდა, იოსების სიტყვები იყო, რომელიც დაუღალავად უმეორებდა, სთხოვდა და ეხვეწებოდა კიდეც, მუსიკისთვის თავი არ დაენებებინა და ყველაზე მთავარი, საკუთარი თავი რამენაირად შეენარჩუნებინა, მაგრამ მაშინ იმ ორი არჩევანიდან, რომელიც გააჩნდა, იმ დროისათვის ყველაზე უსამართლო აირჩია და სწორედ ეგ არჩევანი იყო ერთგვარი გარსი და ფარი, რომელიც მისკენ ნასრულ აგრესიასა და დაცინვას, თავში წამოსტუმრებასა და სახელში შემოლანუნებას ააცილებდა და ეგ არჩევანი იყო, რომელმაც კლავიშებსა და პიანინოს საბოლოოდ ჩამოაშორა.

„ბაჩან, ნავედით, შეჩემა!“ — დაუყვირა მოულოდნელად თავამ.  
 „რას შეუბოდი?“ — ჩაეკითხა შენგელა.  
 „არაფერს, პროსტა...“  
 „იშოვე დისკი?“  
 „ხო.“

\*\*\*

„დამიჯერე, არ გვინდა მაზიანი. პროსტა ვეთამაშოთ.“  
 „კაი რა, ჩაი, ნუ ხარ სულ ჩაფუჭული ბავშვივით.“  
 „რამდენზე შეუთანხმდები?“  
 „ხელი ორმოცდაათი.“  
 „ლადაობ?“  
 „გეუბნები, მოუფუგებთ-მეთქი.“  
 „რო ვერ მოუფუგოთ?“  
 „მოუფუგებთ.“  
 „და რო ვერ მოუფუგოთ?“  
 „ოოო, იდი ნახუი.“  
 „მეოთხელებთანაც იგივეს არ იძახდი?“  
 „მეოთხელებთან საერთოდ არ მითამაშია, შეჩემა.“  
 „ქაუნთერზე არ გეუბნები, მინი რო ვეთამაშეთ.“  
 „ის იმიტო ნავაგეთ, რო ბუფონა არ გვეყენა კარში.“  
 „რა ბუფონა, რწყევით დასდევდი იმ გრძელთმიანს...“  
 „უხ, იმის დედას...“  
 „რა გჭირს, ბიჭო, აბაშას ჩერეუ ძმაკაცია.“  
 „ვინ, ის გრძელთმიანი?“  
 „ხო...“  
 „კაროჩე, თოდრია ხო იცით? მესამელი როა. ახლობელია ჩემი. საერთო ძმაკაცი გყავს, გავაშა, თქვენც ხო იცნობთ, ე?“  
 „სოფელ დიდმელებთან რო ვიყავით მაგის თემა არ იყო?“

„კი, კი, ეგაა. კაი ტიპია. ბრატია რა. მაგან მომცა იმათი სკაიპიც. იცით, რას იგროკობს? მაგას დავიმატებთ და ოთხი ოთხ-

ზე დაუფუშავთ. თან მაგას ნათამაშები აქვს იმათთან და მეზაზრა რაღაცები.“  
 „რაო?“  
 „კაროჩე მაგარი ორგანიზებული კლანიო. ერთი ყავთ ნაბოზარი კემპერი, ერთი ავეპეზუა და ორი ისე დარბის, ვაფშე ვერ ვიგებდით, საიდან გვბრიდავდო...“  
 „ხო არ ჩეთერობენ, ე?“  
 „რა ჩეთი, შეჩემა. თავიდან დავიგინებთ და ეგაა. ხო არ შეინერენ?“  
 „მერე?“  
 „რალა მერე, ბიჭო. მართლა იგროკები არიან და სერიოზულად უნდა ვეთამაშოთ. თან ხო იცით, მაყუთზე ვაფშე სხვანაირი ვარ.“  
 „კი, იმ გრძელთმიანთან გეტყობოდა.“  
 „იმათმა რა ქნეს, ე?“ — ჩაეკითხა შენგელა.  
 „ვინ?“  
 „ვისაც ვიმატებთ იმის კლანმა.“  
 „გაასხს.“  
 „აბა, იგროკს ვიმატებთ?“  
 „მარტო ოთხ კაცს ხო ვერ მოუგებდა, ბიჭო?“

\*\*\*

მე რო შემძლებოდა, ყველაფერს ვიზამდი, მარა ახლა კაი დროსია. მამაჩემი რო არ მომკვდარიყო, კიდე შეიძლება, მარა მოკვდა და თან იმ დროს, როცა არ უნდა მომკვდარიყო, იმიტო, რომ მაგ დროს მჭირდებოდა მამა და მაგისი რჩევები და დარჩებებები... მარა მოკვდა და თან ისე, რო ვერც ვაგვივით. უცხად და რაღაცნაირად. სკოლაში ვიყავი მაგ დროს, ჩემი რუსულის მასწავლებელი რო შემოვიდა. მეზიზღებოდა ის ქალი, იმიტო, რო სუ მე მიძახებდა პირველს. უკანა სკამზე ვიჯექით ბიჭები და მთელი ძალით ვურტყამდით მარჯვენა ხელს თავას მერხს. იმ დღეს იმდენი ჯიერანი მოვიგე, ჩანთა გავავსე. სულ ახლები და მე რო მიყვარდა ეგენი — რონალდოები, ზიდანები და რეალეზი. დამიძახა მერე იმან, მოდიო და მივედი. მეთქი, ჯერ რა გინდათ, ზარი არ დარეკილა და შეემშვიტო. იმან კიდე ორი წუთით გამომყვიო და გავყვიო მაინც, რა უნდა მექნა, ხო არ დაეფუჭებდი ხელების ქნევას. მამაშენია ცუდად და უნდა ნახვიდეო, მომახალა სახეში ეგრევე. მამაჩემი, რაც თავი მახსოვს, სულ ცუდად იყო. ხან რა ტკიოდა, ხან — რა. ეგ კი არა, როცა არაფერი ანუხებდა, იჯდა ხოლმე თავისთვის ტელევიზორთან და ჩუმად ბუტბუტებდა, ცუდად ვარო. გარტყმაში არ ვარ, რა ჭირდა, მარა ეგრე იცოდა ხოლმე თქმა. არაფერი ტკიოდა — არც მუცელი, არც თავი, არც გული ანუხებდა და მაინც ცუდად იყო. პირველად რო ვუთხარი დედაჩემს, გადაუვლიხო და სულ ეგრე მეგონა, რო უნდა გადაევილო. უანამ რო მიუთხრა, მამაშენი ცუდადა და გაიქეცი სახლშიო, უკვე მკვდარი იყო, მარა მაგის თქმა ვერ შეძლო. ისე დავემარხეთ, აზრზე ვერ მოვედი, რა ხდებოდა. ვინ იყო ის ხალხი, ყოველდღე რო ჩემ სახლში დაბოდილობდა და მკოცნიდა და მეფერებოდა. არავინ არ მყავდა არც ნანახი და არც დანახული შორიდან, მარა საესე იყო სახლი. პირველი, რაც გააკეთეს, ეცნენ სარკეებს და ჩამოაფარეს ფარდები. მერე ზალა დალაგეს. სკამები მეზობლისგან გამომატანინეს... მამაჩემი იყო, პიანინოზე რო შემეყვანა. თავიდან დავიწყე ბლავილი, მეთქი, რა პიანინო, მარა წამოდიო, დამიჯერეო, და ნაცყევი იოსებთან. იოსები მამაჩემის კლასელი იყო. ერთად უკრავდნენ ხოლმე პადვალში თურმე თუ სადღაც, მამაჩემი რო ამბობდა ხოლმე იქ. მოკლედ, მიმიყვანა მაგასთან. ძმაკაცურ პონტში არ ახდევინებდა იოსები, მარა მამაჩემი ხან ლუდს მატანდა და ხან სიგარეტს... ანდერგარაუნდში!

\*\*\*

„შენგელ, შენთანაც პინგავს?“  
 „არა, საკაიფოდაა.“  
 „ბაჩან, შენთან?“  
 „ჩემთანაც.“  
 „ეა, რა სჭირს ჩემთან... კაი, დაიკიდეთ, გაიშვებს. მოვცხობ?“  
 „დავია, გავხურდეთ, სანამ შევალთ. მე და თოდრო და თქვენ ორნი.“  
 „ლონგზე?“  
 „დავია.“

\*\*\*

„ხო გითხარი, არა?“  
 „კაი რა, შეჩემა.“

„რა კაი რა, ბიჭო, რა კაი რა...“  
 „ბოზიშვილი ვიყო, პინგი მქონდა.“  
 „მერე, ბიჭო, თუ პინგი გაქ, რაღას თამაშობ?“  
 „კაი, დანყნარდით...“ — შუაში ჩადგა შენგელა.  
 „ვიშოვით, ხო იცი, არა?“  
 „თავა, სამი ხელიდან ერთიც ვერ მოვიგეთ. ერთიც ვერ მოვიგეთ, ბიჭო. როდისაა ჩასაბარებელი?“  
 „შაბათამდე.“  
 „შაბათამდე თუ შაბათის ჩათვლით?“  
 „რა ვიცი, შაბათამდეო, მგონი.“  
 „რა მგონი, ბიჭო, შენ შიგ ხო არ გაქვს?“  
 „რა გინდა, ე?“  
 „რა რა მინდა, მაზიანზე თამაშობ და როდის აბარებ ეგ არ იცი?“ — გაინია თავასკენ ბაჩანამ.  
 „ეეეე, ეეე, რა გჭირთ... ნავაგეთ, ნავაგეთ. მაგის გამო ხელი არ აწიოთ ერთმანეთზე.“

\*\*\*

კლასიდან კლასში, პირველიდან მეორე სართულზე, მეორიდან მესამეზე, მესამიდან მეოთხეზე, უბანში და ამავე უბნის ყველა კორპუსში, ყველა ძმაკაცის, მეგობრის და უბრალო ნაცნობის მისამართზე სირბილს რომ მორჩნენ და გაანალიზეს, ასე კაპიკ-კაპიკ შეკონინებულ ქალაქის ხუთლარიანები საკმარისი არ იყო, როცა ენაგადმოგდებულები ჩამოვლილი და გაოფილილი სახეებით უბნის ყველაზე ელიტარულ ბესეტკაში ჩამოსხდნენ და უსიტყვოდ, თავდახრილები, მზესუმზირას ნაფცქვენებით გავსებულ ასფალტს მიაშტერდნენ, ბაჩანა ატირდა. თან ჩუმად და თან ხმამაღლა; თან თავისთვის და თან ყველას გასაგონად; თან უნდაოდა, რომ არავის გაეგო და თან ერთი სული ჰქონდა, ვინმეს მოესმინა და მარტო მოესმინა კი არა, ვინმეს, თუნდაც სრულიად უცხოთა და უბრალო გამვლელს, გულში ჩაეკრა.  
 „რა გჭირს, შეჩემა, რა გატირებს?“  
 „ადი სახლში და მიწერე, რო აქ მოვიდნენ.“  
 „მერე?“  
 „ადი სახლში და მიწერე, რო აქ მოვიდნენ.“  
 „ბაჩან, ატრაკებ, შენ ძმობას ვფიცავარ.“  
 „ადი სახლში და მიწერე, რო აქ მოვიდნენ.“  
 „გაჭედე, ბიჭო?“  
 „შენ კიდე ადი და უთხარი, — ხელი კრა შენგელამ.  
 „ფული ჩვენ არ გვაქ და რაზე მოვიყვანო? პადლეცები რო მირტყან?“  
 „ვეტყვი ერთ-ორ სიტყვას და იქნება რამენაირად მოგვარდეთ. რაც გვაქ, იმას მივცემთ.“  
 „თავა, ადი სახლში და მიწერე, რო აქ მოვიდნენ, თორე მამის სულს ვფიცავარ, დაგლენავ.“

\*\*\*

21:46  
 „Baro.“  
 „zd.“  
 „chamoxvalt meeqvses besetkastan?“

„sadaa eg?“  
 „skolastan :)“  
 „axla?“  
 „xo axla.“  
 „ra xdeba?“  
 „tavanze :)“  
 „acharaze an imanize ver damisvam?“  
 „vera.“  
 „kai. mogwer male.“

22:03

„bichebs ar caliat da marto moval.“  
 „ramden xanshi?“  
 „naxevar saatshi.“  
 „ok :)“

\*\*\*

„ვინ არიან, იცი, ვაფშე?“  
 „მე რა ვიცი.“  
 „ჩაი, რა უნდა უთხრა?“  
 „ერთი-ორი დღე რო გვაცადონ.“  
 „გაქ რაზე პრასვეტი?“  
 „შენ, ბიჭო, შიგ ხო არ გაქ?“  
 „რა გინდა?“  
 „პრასვეტი რო მქონდეს, მათხოვრობას კი არ დავიწყებდი?“  
 „წამო მამინ და გავიტანოთ ის ჩინელები მალაზია.“  
 „რისი გამტანი ხარ, ბიჭო, რისი გამტანი...“  
 „აბა, გავფუფლოვდეთ, შეჩემა?“  
 „მოდის ეგე, — თავით ანიშნა შენგელამ.  
 „პონჩიკაა, ბიჭო?“  
 „ვინ?“  
 „პონჩიკა. ჩვენი სკოლელი.“  
 „პონჩიკ, მოდი აქ, — ხელი აუქნია თავამ.  
 „ზდაროვათ.“  
 „რაო, პონჩიკ, ჭამე კარაქიანი პური?“  
 „თქვენ ხართ შავ სისხლელები?“  
 „ახლა არ მითხრა, რო შენთან ნავაგეთ, თორე თავს მოვიკლავ, ბოზიშვილი ვიყო, — ნაავლო ქურთუკში ხელი თავამ.  
 „ხო, ჩემი კლანია.“  
 „მერე შე ნაბოზარო ბავშვო, არ იცი, ვის უნდა მოუგო და ვის — არა?“ — კეფამი წამოარტყა ხელი.  
 „მართლა თქვენ ხართ?“ — ჩაეკითხა ბაჩანა და თავა გვერდზე განია.  
 „ხო. თუ არ გაქვთ, არაუშავს.“  
 „რომც მქონდეს, შენ ფული როგორ უნდა მოგცე, შე ნაბიჭვარო?“  
 „თავა, მამის სულს ვფიცავარ, თუ არ გაჩუმდები, დაგლენავ-მეთქი. მაცადე.“  
 „კაი რა, ბაჩან, მთელ სკოლას ამაზე აქ შენმნდელი ფეხები, ვისთან მალაპარაკებ თავანზე.“  
 „სულ ვერ შევკარით. ორი დღე მოგვეცი და დანარჩენს მერე მოგცემთ.“  
 „იყოს რაც გაქვთ. არ მინდა მეტი.“  
 „ხო იცი, ხვეწნას არ დაგინყებ, — ჩაელიმა შენგელას. პონჩიკამ ფული გამოართვა და როცა ბიჭებს მოშორდა, ბაჩანამ გასძახა:  
 „ბიჭო, პონჩიკ...“  
 პონჩიკა შემობრუნდა. შიში და სიხარული ერთიანად ჰქონდა აზელილი სახეზე.  
 „ავეპეთი შენ დარბოდი, არა?“  
 „კი, მე ვიყავი, — უპასუხა და ქუჩას მალევე მოეფარა.



გაბრძობა

...მომრეკი მეგობარი ნამოდგა, ალუმი-
ის ჭიქა აიღო და გარეთ გავიდა. პირველი
მიმქრალ ბუხართან იჯდა და წინ იყურე-
ბოდა. ფანჯრიდან დღის შუქი ბუჭავდა.
ოთახის ნაწილიდან სამზარეულოს ჭურ-
ჭელი, ძველი გაზეთები, რამდენიმე წიგნი,
ბუხრის თავზე კი უნესრიგოდ მინყობილი,
დიდი ხნის დავინწყებული ნივთები ჩანდა.
გარეთ გასულმა კაცმა მიმოიხედა და პირ-
იდან ჰაერის ცივი ორთქლი გამოუშვა. ნა-
მის წვეთებს ბალახი დაესველებინა, მოჭ-
რილი ხის მორს შავ, დაბერებულ კანზე
ცვარი მოსდებოდა, რომელიც სიმწვანეს
ირეკლავდა, მაგრამ ხის სვედას ვერაფერს
შეელოდა. პატარა, მოუნესრიგებელი ეზო-
ს ჭიჭიკის იქით, რომელსაც ჟანგი მოს-
დებოდა და თეთრი საღებავი დაჰფარეო-
და, ქვევით მოწყობილი ბილიკი იკვეთებო-
და. ბილიკი სახლს ქვევით მიუყვებოდა და
სხვა სახლებს უერთდებოდა, საიდანაც
ხმაური და ურთიერთობების, ქუჩის სურ-
ნელი იგრძნობოდა. მეგობარს დილის ნა-
მზე ფეხშიშველი შეხებისგან ტანში დაუ-
არა, სქელი სვიტერი მკლავებთან მოქაჩა,
მიმოიხედა და ცივი წყლით სავსე ჭიქით
უკან მიბრუნდა. ჭიქა ბუხართან მჯდომს
გაუწოდა.

ორივემ იცოდა, ალექსი, ბუხართან მჯ-
დარი, დამნაშავე იყო და ხვალ გასამართ-
ლდებოდა. თავის თავს მაინც არ უტყდებ-
ოდა და თითქოს ამ დანაშაულის ჩადენი-
სას, მასზე რაღაც სხვა მოქმედებდა, თვი-
თონ არაფერ შუაში იყო. სალაპარაკოც
არაფერი იყო, ძნელად წარმოედგინა ორ
მეგობარს ამ ამბის განხილვა. წყლის მიმ-
ნოდებელი დამნაშავე მეგობრისთვის ერთ
ლამეს ათევედა. მისი მოვალეობა იყო, გვერ-
დით მისჯდომოდა, არაფერი ეთქვა და გა-
თენებამდე წუთები დაეთვალა. აქ ჯდ-
ომით, თითქოს, დანაშაულს უმსუბუქებდა
და გულს უმაგრებდა.

მზის ძლიერმა სხივებმა ყველაფერი გა-
ანათა, რეალური გახდა სასამართლო, ნა-
ფიცი მსაჯულები და ბრალმდებლები —
ორი ბრალმდებელი შვილი. ალექსი უნდა
მომზადებულიყო, ბევრი არაფერი, თავისი
ძველი სპორტულის მოსაცმელი აიღო და
თხელ ჯინსებზე შავი ფეხსაცმელები ჩაი-
ცვა. გზაში არ ცხრებოდა, სიბრაზესა და
ზიზზს ხეებს, ქვის ბილიკს, პატარა სოფ-
ლის ჭრელ სახლებს ესროდა. უნდოდა, ბო-
ლო წუთამდე გამოეხატა ის, რისთვისაც
მაღე გაასამართლებდნენ. მის თვალს მის-
ვდა მწვანედ შეღებილი გაჩერება, წვიმისგ-
ან ჩამოტანილი ქვიშა, ალაგ-ალაგ შემო-
რჩენილი ნამის წვეთები და სახლებიდან
აქა-იქ წყლის ასავსებად გამოსული ქაღ-
ები.

დიდი არბიტრაჟი საჭირო არ იყო, მა-
გრამ დარბაზი ხალხისთვის კი უფრო ფარ-
თო უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, შვილ-
ების მიერ მამის გასამართლება ბევრს აინ-
ტერესებდა. დიახ, ალექსს შვილები უჩი-
ოდნენ. მესამე ადამიანიც აქ უნდა ყოფილი-
ყო, დედა, მაგრამ მის მაგივრადაც შვილე-
ბი ილაპარაკებდნენ.

ალექსმა დაუდევრად შეაბიჯა სასამარ-
თლო დარბაზში. ძველი ხის სკამების და
ობის სუნი ერთმანეთში ირეოდა. ტუჩები
მაგრად მოკუმბა და ზიზზით გადაავლო
თვალის ჯერ კიდევ ცარიელ დარბაზს. ად-
ვოკატი არ ჰყავდა, გადამწყვიტა, თავად
დაეცვა საკუთარი თავი.

სკამები ნელ-ნელა და ხმაურით შეივსო.
ალექსი ხალხში ნაცნობ სახეებს არჩევდა.
ეხამუშებოდა მასისგან გამორჩეულად დგ-
ომა. ყველა ისე ათვალისწინებდა, როგორც
იშვიათ ჩიტს, ოღონდ შავს და შემზარავს.
პატარა სოფლებში ამბები სარკმლებიდან
ფერფლივით ცვივა, ყველაფერს ედება და
სწრაფად ჩურჩულებენ. ყველას ყველაფ-
რის ცოდნა ეხება სახეზე.

და აი, მოსამართლეები, ბრალმდებელი
მხარის ადვოკატი და ბოლოს, ორი ბრალმ-
დებელი, ზრდასრული გოგონა. მათი გა-
მორჩენისას დარბაზს ქარივით გადაუარა
ჩურჩულმა. ორ გოგონას დამსწრეებმა მო-
რიდებით შეხედეს. თუმცა, ამის უფლება
არ ჰქონდათ, როგორც ამბის მცოდნეებს
და არაფრის მოქმედთ. ბრალმდებლები
ბრალდებულის წინ დადგნენ. ორივეს კარ-
გად ეცნო 21 წლის განმავლობაში მიღებუ-
ლი ბრაზი, სიცვი, ძველ კლდეებს რომ გა-
დაურბენს ხოლმე და კიდევ რაღაც, რაც
არავისთვის იყო ცნობილი და ახლობელი.
როგორც მოელოდნენ, სევდით არ ივსებო-

დნენ, ბრალდებულის გაცრეცილ სახეს,
რომელიც უტიფრად უყურებდა, ვერ შე-
იცოდებდნენ, არ იქნებოდა სიმართლე,
დღეს კი ამ კედლებს მხოლოდ სიმართლე
უნდა ესმინა. გამოვიდნენ მოსამართლეე-
ბი და ჩაქუჩის ხმამ ყველას ნერვები ცენ-
ტრისკენ მიმართა.

ყურადღებამდეც უღალატა დარბაზმა მო-
კლე და შემზარავი სასამართლო იხილა. ბრ-
ალდებუ, რომელიც გოგონების ადვოკატ-
მა წარმოადგინა, სამსიტყვიანი იყო — 21
წლის განმავლობაში უსიყვარულობა, ფსი-
ქოპათიური და სოციალური ქცევა შე-
იღებისა და ცოლის მიმართ.

სასამართლომ დამადასტურებელ მტ-
კიცებულებად სამი ადამიანის 21 წლიანი
ცხოვრების შედეგი მოისმინა. დარბაზში



მარიამ ტაკაშვილი

მყოფნი დასტურად თავს აქენდნენ, ხელე-
ბი პირთან მიეტანათ და თვალბინი ნამი ჩა-
სდგომოდან. სინანულის შეგრძნება სხეუ-
ლის გარხვევის საშუალებასაც არ აძლევ-
დათ. ისღა დარჩენოდათ, სულგანაბლებს
მოესმინათ მრავალჯერ ნანახი და გოგონ-
ებისთვის პატივისცემით ემზიართ. ერთ-
ერთი თავს მოერიდა და გვერდით მჯდომ
ზორბა კაცს გადაუჩურჩულა, განა ამისთ-
ვის იშრომეს ცარიელი ადგილიდან, აქ რომ
მოსულიყვნენ? რამეში გამოადგებათ? სა-
შუალო ხნის წვერებიანმა კაცმა მხრები აი-
ჩეჩა და პასუხად, რომ მეზობელი ყურადღ-
ებას უფანტავდა, მთელი ტანით წინ გადა-
ინია.

განაჩენი გამოტანილია: სამუდამო პა-
ტიმრობა და არანაირი შეწყობა! გოგონ-
ებიდან ერთ-ერთმა თვალბინიდან ცრემლ-
ები ვერ დამალა, მეორემ კი სიტყვა მოითხ-
ოვა.

„მე მოგიყვებით ამბავს, რომელმაც ბე-
დნიერებას რაღაც მოაკლო“. დარბაზი ისე
გაიჩინდა, თითქოს ქრისტეს ბოლო სიტ-
ყვისთვის უნდა მოესმინათ.

„წარმოიდგინეთ, ათი ნაბიჯის ამბავი,
რომელიც პატარა გოგოს მამის მონატრე-
ბისგან ანულის სიტყვებიდან გამქრალ მშ-
ობლამდეა. გამქრალი მშობელი მკვდარზე
უარესი და იმედგაცრუებაზე ოდნავ მარ-
ტივია. მკვდარი მშობელი ენატრებათ, გამ-
ქრალი კი იმ მცირედი რჩება, სადაც ერ-
თადერთი შემსენებელი ბედნიერებას მო-
კლებული ნაწილია. რას ვუსურვებ ჩემ წინ
მდგარ დამნაშავეს? ყველაფერ ცუდს, მარ-
ტივად. ვუსურვებ, როდესაც თავის მარტო
ყოფნას, ცივი კედლების შემზარავ მდუ-
მარებას გაიგებს, მაშინ მიხვდეს, ადამიან-
ური გახდეს და გაახსენდეს ყველაფერი,

თან იცოდეს, რომ არ არსებობს შეწყალე-
ბა, პატიება. ინანოს და არ შეეძლოს ამ ამბ-
ის ახლიდან მოყოლა.“

ბრალმდებელმა სიტყვა დაამთავრა. ამ
დროის განმავლობაში წინ იყურებოდა,
თვალბინ უსწორებდა ყველაფერი ცუდის
შემოქმედ ადამიანს, რომლისთვისაც არ
უნდა ეარსებოდა შეწყალებას ქვეყნის ყველა-
ზე მივიწყებულ კუთხეშიც კი.

ბრალდებულს სახე არ შესცვლია. კვლ-
ავ ბრაზი და გაუგონარი ზიზზი გადმოჰქ-
ონდა. უსამართლოდ მიიჩნევდა მის მიმ-
ართ ნათქვამ ყველა სიტყვას და თან იცოდა,
რომ დამნაშავე იყო. საკუთარი თავისთვის
ვინ იყო? ჰქონდა კი საკუთარი თავი, ყველ-
აფრისგან დაცლილი, თავისუფალი, ლალი
ნაწილი? ამაზე არც ოთხ კედელში იფიქრ-

ვერც შეუფერებდა. ამის გაფიქრებაზე ნა-
რბები შეიჭმუნა, უღვაშებზე ხელი გადა-
ისვა და თავი მოიქეცა.

თავის უფროსს დანამდვილებით მის-
წერდა! მერედა, როგორი ლალი და მხია-
რული წერილი გამოუვიდოდა პასუხისმგე-
ბლობებისგან თავისუფალს! კარგია, კარ-
გია, კმაყოფილმა შეარჩია შესამკობი სიტ-
ყვები, ცალკე კომპანიისთვის თუ ცალკე
უფროსისთვის, ისე დაეხარჯა ვითომ ან
სიტყვებით ან ფიქრით გადასაკეცი კონვერ-
ტი? პირველი წერილის მიწერა ზემდგომი-
სთვის დაენანა და ფიქრი გააგრძელა. იქ-
ნებ ფსიქოლოგისთვის მიწერა, რომელიც
ბოლო თქველები მის შემსუბუქებულ დამ-
ძიმებულ თავში აქტიურად იქეძებოდა და
წესრიგისთვის ჰიგის ბოზონის დაჭერას
ცდილობდა?! ოჰო, იცოცხლე, აქაც არ მო-
იკლებდა გულის ფხანას და ნიშანსაც მო-
უგებდა ბოლოს, მაინც ჩემი გავიტანე, ხომ
მიყურებ ზემოდან ქვემოთ.

ერთი-ორი-სამი-ოთხი, ხუთი-ექვსი-შე-
იდი-რვა, ვიხილები და მოვდივარ, თუ ისევე
აქ ვარ, ჩემი ბრალი არ არის!

წერილი დედას:
დედა, მწვანე თვალბინი სევდა ჩამოგა-
წვა. ჰაერი დამძიმდა და ყველა სათქმელი
სიტყვა დაგავიწყდა. გულში მხოლოდ ბრ-
აზი გაქვს, როგორც მიტოვებულს და ნაღ-
ალატებს უნდა ჰქონდეს, მაგრამ დღის წეს-
რიგი მოითხოვს, დარდით და სიყვარულით
გამიხსენო, დაიხოკო სახე და ხმა ვერ ამ-
ოილო. არადა, გინდა, იყვირო, როგორ გი-
ლალატა შვილმა და ეგონებოდა გაუღვინთი-
ლმა უდაბნოს ქარივით გაიბრინა. იდარდე,
ბევრი იდარდე რადგან ახალგაზრდა შე-
ილმა, სავარაუდოდ, გარდაცვალება გამ-
ოიგონა. არ იყო მხიარული, არ ჩაიცვა ფე-
რადი კაბა და ნავიდა მიყრუებულ სოფელ-
ში.

წერილი ჩემს ფსიქოლოგს:
გავიმარჯვე! ბოდიში, ჩვენი პირობა
დავარღვიე, მაგრამ წასვლის გადადება
ალარ მინდოდა და ამიტომაც გავიპარე.
მაგრამ გავიმარჯვე, ზემოდან ქვევით
თქვენ მიყურებთ! მაინც დამისხლტა ფეხი
იმ შუშაზე, ეტყოდა, ნონასნორობისთვის
რაიმე უფრო მყარი იყო საჭირო, მაგრამ
მოძებნა სულაც არ მიცდია.

წერილი უბრალოდ მკითხველს:
ამ ფურცლებზე წერა ყველაზე მეტად
მიჭირს. იმიტომ კი არა, სიტყვებს ვერ ვა-
რჩევდე და ემოციურობისგან გონება მე-
ბინდებოდა, არა, არა! ერთი სული მაქვს,
ხელებს ვიფშენებ და უბრალოდ არ ვიცი,
საიდან დავიწყო!

დავინყებ დასაწყისიდან! კრიტიკის კრ-
იტიკა ყველაზე მარტივი და, ბოლო დროს,
წარმატებული სფეროა, მე ორიგინალობა
მაქვს გადაწყვეტილი, ამიტომ, სხვა გზით
წავალ. ერთად წარმოვიდგინოთ თვალე-
ბახელილი პირველადვე ყვითელ ქოთან-
ში აყვავებულ ლურჯ იას როგორ ვხედავ,
მელიმბა, თვალბინი ის ნაპერკალი მიწ-
დება და თან იდეა, ყოფნის იდეა. მერე დღ-
ეები სწრაფად ილევს, საწყისი წერტილი,
იდეა სადაც გახსოვს, მაგრამ მხოლოდ
არსებობა, თითქოს, ყოველ ჯერზე ახლიდ-
ან უნდა აღმოაჩინო, განვითარდე და გამ-
ოიგონო ახალი. სინამდვილეში, მარტივად
და მოსაწყენად, მავინყდება.

გარდაცვალების წინა ფიქრებით ამ იდ-
ეასთან ბრუნდები. ბევრს უტირიალებ გარ-
შემო, მაგრამ ვერაფერს უგებ, ვერ შედის-
არ შიგნით. შენში გამოსული არტეფა-
ქტებიც სადაც მიყუწულა, ამიტომ, დგახ-
არ მარტო, რაღაც უცხო, მაღალი, ოთ-
ხკუთხედის წინ და ვერ შედისარ. შესასვ-
ლელი კარი კი არის, მაგრამ ჯიბებში ხე-
ლებჩანსობილი შეჰყურებ. კი, ამოცანის
გადასაჭრელად ბ.მ-ს სჭირდება, რომ საკ-
უთარი თავიდან გამოვიდეს და ერთი კარ-
გად შეათვალისწინოს, მაგრამ ამის გაფიქ-
რებაზეც კი ტანში ყრუანტილი უფლის,
კალამს დებს და ვითომ იმ წამის გადამ-
წყვეტილებით, ლიტერატურულ საქმიან-
ობას ამთავრებს. თან, მთავარი წერილები
უკვე დაწერილია, ბევრი საჭირო არც არის,
თუ ვინმეს დააკლდება, ყოველთვის შეე-
ძლება ბ.მ-ს მცირე ნაწილის აღება...

ახლა მნიშვნელოვანი საკითხების მოგ-
ვარების ჯერი იყო! უნდა ეჩქარა, არაფ-
რის გადადება არ შეიძლებოდა, დიახ, ორი
უარყოფა, რადგან საკითხი სერიოზული
იყო და გამაფრებლად საჭიროებდა.

პირველი — აუცილებლად უნდა წასუ-
ლიყო „საპოქნიკთან“, აღმაშენებელზე,
თავის ხის, მაზით გამავებულ სკამზე რომ

დასაწყისი

მთხის დღის შუქი ანათებდა. ბ.მ-ს სუ-
ფთა ფურცელი და კალამი აიღო, ხის მაგ-
იდასთან მივიდა და დასაჯდომად მოემზა-
და. ოთახში სანალი, სკამი, სკამზე მივდებ-
ული შავი შარვალი და მაღალი ლამაზა მო-
ჩანდა.

წარმოიდგინა, გარდაცვალების დეპე-
შები როგორ მიქროდნენ სხვადასხვა ადრ-
ესატებთან და სიამოვნებისგან გაელიმა.
ხელეთი ექავებოდა საწერად, თან იხსენებ-
და, ვისთვის უნდა გაეგზავნა ბოლო სიტყ-
ვები. ბავშვობის მეგობრისთვის? შეიძლე-
ბა. დედისთვის, რომელიც შორს, სანატო-
რიუმში ცხოვრობდა. მხოლოდ თბილი სიტ-
ყვები ახსენებოდა, თუმცა, ეს სიტყვები
ამ ტიპის დეპეშისთვის არ ემეტებოდა და

ეხდა, რადგან სახეზე არასდროს გადაჰ-
ფენია სინანული ან თავისუფლება, რომელ-
იც დაგრეხილი სპირალის ბოლოდან —
„მე“—დან მოვიდოდა.

ორი გოგონა სახლში დაბრუნდა. უკვე
ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. ხვალ უმცრო-
სი ლიბონებთან მაგიდის გადასაფარებე-
ლზე სარჩელებსა და კოდექსებს გადაშლ-
იდა, საქმე რომ მოემზადებინა. უფროსი სა-
დმე გზაში მოასწრებდა ყავის ალუბას, თბ-
ილისის ვინრო ქუჩებს შორის რომ ჩაიბრე-
ნდა.

სად მთავრდება ამბავი? არსად, ასეთი
ამბები არ მთავრდება, ჭრილობა შეუმჩნე-
ვლად ღია რჩება, რომლის პატრონი დაძაბ-
ული ელოდება ნაცნობ ტკივლს, რომელ-
საც ზრდასრულის ვალდებულებით, ცივი
გონებითა და განსჯით გაუმკლავდება...

დასაწყისი
მთხის დღის შუქი ანათებდა. ბ.მ-ს სუ-
ფთა ფურცელი და კალამი აიღო, ხის მაგ-
იდასთან მივიდა და დასაჯდომად მოემზა-
და. ოთახში სანალი, სკამი, სკამზე მივდებ-
ული შავი შარვალი და მაღალი ლამაზა მო-
ჩანდა.

წარმოიდგინა, გარდაცვალების დეპე-
შები როგორ მიქროდნენ სხვადასხვა ადრ-
ესატებთან და სიამოვნებისგან გაელიმა.
ხელეთი ექავებოდა საწერად, თან იხსენებ-
და, ვისთვის უნდა გაეგზავნა ბოლო სიტყ-
ვები. ბავშვობის მეგობრისთვის? შეიძლე-
ბა. დედისთვის, რომელიც შორს, სანატო-
რიუმში ცხოვრობდა. მხოლოდ თბილი სიტ-
ყვები ახსენებოდა, თუმცა, ეს სიტყვები
ამ ტიპის დეპეშისთვის არ ემეტებოდა და

ეხდა, რადგან სახეზე არასდროს გადაჰ-
ფენია სინანული ან თავისუფლება, რომელ-
იც დაგრეხილი სპირალის ბოლოდან —
„მე“—დან მოვიდოდა.

ივდა და ფეხსაცმელები გაეპრიალებინა. ეს ნომერ პირველ საქმედ ჩაინიშნა. ოთახში მიმოიხედა, პრინციპში, აქ ბევრი საქმე არაფერი იყო და ბოლოსკენ გადაიტანა. ყვავილების ბაზრობაზე გაგულა არ უნდა დაეინწყებოდა, საჭირო იყო ფერადი ვარდები — 10 მაინც მოეტანა და ქოთანში ჩაენყო.

წარამარა ოთახში ბოლოსაც სცემდა, მონოტონურად კი არა, აქტიურად და საქმიანად, რადგან ფრიად საჭირო საკითხებზე უნებდა მსჯელობა. საქმეს პედანტიური სიზუსტით და დაკვირვებით მიუდგა. ჯერ თავის თავი შეათვალა. ხელის შევლები უკვე ჩამოწერილი ჰქონდა, ახლა შეეძლო, ჟილეტი შემოეცვა, მომწვანო, დიდი ლილებით და ქუჩას კმაყოფილი ჩაჰყოლოდა. წერილებს დღეს არ წაიღებდა, ხვალამდე მოიცდიდა, ან შეიძლება, გაგზავნა სულ არ იყო საჭირო და ხის მაგიდაზე, რომელსაც დღის შუა კარგად ადებოდა, უფრო რომანტიკულად და მნიშვნელოვნად ეწყო.

შავი კედები

შპს კედებს თბილისის ქუჩებში ნაგელის ყვითელი პიჯაკივით დაატარებდა. მათხოვრის ყოფას, რომელსაც სახლიდან გამოსული ყოველ დღით დაღმართზე ხვდებოდა, იმდენად განიცდიდა, ვერც იმჩნევდა.

ჯინსის შარვალში იწყობდა გამხდარ ხელებს. სივარტის ქუჩაში გასვლამდე არ უკიდებდა, ქუჩაში რომ არ გადაეგდო ან დილით სულ მარტო ყოფილიყო. ერთი წუთით, სანამ ბილიკს ჩაივლიდა, რამდენიმე ადამიანს დაინახავდა, მარტოს უნდა ეტარებინა მათხოვრის სევდა, რომელსაც ხვალაც ნახავდა.

მსუბუქად მიაბიჯებდა, ეტყობოდა, ცხელი დღე თენდებოდა. დილიდანვე ჩახუთული, თბილი ნიავი ხელის თითებზე ისე ეთამაშებოდა, თითქოს საყვარელ ქალს ხელს ჰკიდებდა. იცოდა, რამდენიმე ნაბიჯში ყოველდღიურ ხმაურს შეერეოდა. ამის გამო შავ ნევროს ძლივს შესამჩნევად ეღიმებოდა. კიდევ იმის გამოც, საყვარელ ქალს, ზაფხულის წყნელი კაბით, სუსტ ზურგზე დაყრილი შავი თმით, ხელს ვერ ჰკიდებდა.

რამდენიმე წუთში შავი კედებით, სამუშაო განწყობით, ლაღად გაიღიმებდა. სამსახურში მისვლა უფრო სწრაფადაც შეეძლო, მანქანით ან მეტროთი, ყოველ დღით ბჭობდა ხოლმე, თუმცა, იმ რამდენიმე წუთს ვერასდროს თმობდა.

სამსახურში გაღვნილი საათები ერთფეროვნად ქმნიდნენ დღეებს და შემდეგ წლებს. ვალდებულებებიდან სახლამდე არ სჭირდებოდა საკუთარი თავის გაზიარება. მარტივად რჩებოდა ჯინსებიან კოლეგად, შუალედებში აივანზე სივარტის რომ აბოლებს ხოლმე ყავის გარეშე.

კვირაში ერთხელ ან როცა ხასიათზე იყო და ხეზე ყვითელი ფოთოლიც ძლივს ეკიდა, პლენხანოვზე, კათოლიკურ ეკლესიაში არღნის მოსასმენად მიდიოდა. იქ რაზე ფიქრობდა, არავინ იცის, შეიძლება, არც არაფერზე. მოწონდა არღნის ხმა კედლებს როგორ ავსებდა. თითქოს გაყინული ფრესკები მზით კი არა, მუსიკით თბებოდა. მოსაწყენად ერთი ადგილი არ ჰქონდა ამორჩეული, მართლა არღნის მოსასმენად დადიოდა. ერთხელ მკლავზე შეეხნენ და რწმენაზე დაუწყეს ლაპარაკი. ლიმილით მოუსმინა გაფთხობებულ და წყნარ სახეს. მეტჯერ აღარ მისულა...

ახლა სახლის აივანზე ვარდებს ფოთლებს აცლის და ფიქრობს მათხოვარზე, რომელსაც მალე შეხვდება. თავს არ აარიდებს, მაგრამ რაღაც აძლევს უფლებას, ისევე ჩაუაროს გვერდი და სამსახურში მისვლამდე შავი კედები მარტომ ატაროს.

ალუბლის ხე

თითორი ჟაკეტის მკლავები გადაიკეცა, ყვავილებს ჩაიდინიდან წყალი დაუსხა, ისაუბრა და ცოტა ხანში სამსახურში იყო.

შოკოლადების ქარხანაში მუშაობდა, მშობლებისგან მოშორებით, ქალაქის გარეუბანში ცხოვრობდა, რომლის ფანჯარას ალუბლის ხის ტოტები ეფარებოდა. გაზაფხულის დილა ჰელიოსის ნოტივით მშვიდი ხდებოდა, როდესაც ალუბლის ყვავილების სურნელი თბილ ამინდს შეერეოდა.

ეს ყველაფერი დამლული და მოსაწყენია. თუმცა, შესაძლოა იქამდე, სანამ სამსახურიდან სახლში მისული ჩანთის მოუხსნელად ალუბლის ხის ქვეშ დაჯდება და გულისწყრომითა და უსამართლობის განცდით სავსე, თავისი ამბის მოყოლას დაუწყებს ქვემოთ შეტყვევებულ და არც ისე რომანტიკულ ელფერზე მყოფ ხეს. უკვე ჩვეულებად ჰქცეოდა და ამის გამოც ველარ შევლოდა. საკუთარ თავთან საუბარი საშველია თუ სატანჯი? იქნებ შენზე მსუბუქ კრიტიკოსს თუ დაიხმარ, აზრები ისე ატრიალო, ბოლოს შენთვის სასურველიც გამოაქცხო.

სამსახურში ჩვენს პერსონაჟზე ბევრს ლაპარაკობდნენ. ძირითადად, მის ხასიათს აკრიტიკებდნენ, ფეთქებადსა და უხეშს. თუმცა, ჰქონდა ნათელი წერტილი, რომლის ჩაქრობაც ერთ დღეს გულახდილი საუბრით გადაწყვიტა და სწორედ ასე დასთანხმდა გიორგის ჭიქა ყავის დასალევად წასვლაზე.

სასაუბრო თემა, დიდი ხანია, მომზადებული ჰქონდა, იმასაც შეჰგუებოდა, რომ ბოლოს იმედგაცრუებული დარჩებოდა და ისევე თან ნაიღებდა სიცარიელეს.

— აკვირებული აზრების გადმოცემა რთულია, — პირდაპირ დაიწყო, — სიტყვები ხელიდან როგორც ქვიშა ისე მიქრება. დიდწილად, ბევრჯერ ნაფიქრი გადმოცემად უინტერესოდ მეჩვენება, მთავარი ამბის, ტკივილის და შემდეგ ცვლილების აღმოჩენის ამბის მოყოლა კი ყველაზე მეტად მიჭირს, ამიტომ, ნუ გაეკვირდებათ, თუ მარტივად და უხალისოდ დაწყობილ სიტყვებს გაიგონებთ.

— ყველაზე მძაფრი განცდა ტკივილია, — გიორგი საუბრის დაწყებას ეცადა, თან უნდოდა, თანამოსაუბრისთვის ეჩვენებინა, გაეგებინებინა, რომ თვითონაც ატარებდა ჭრილობას, თუმცა, ტკივილი უკვე გაჰყურებოდა, — აქედან გამომდინარე, მარტივი და ლოგიკური, ტკივილი და უარყოფითი გამოცდილება გვაავითარებს. ძნელად წარმომიდგენია ადამიანი, მძაფრი გამოცდილების მიღების შემდეგ ვერაფერი ისწავლოს და არ შეიცვალოს. ეს ბოლო, საჭირო და ყველაფრის განმსაზღვრელია. ცვლილების გარეშე ტბასავით მწვანე ხავსი მოგვედება და ისე ავყროლებით, თითქოს ქვეყნის ყველა ბაყაყს და მკედარ თევზს ჩვენში მოეყაროს თავი. მაგრამ ერთი დიდი ამბავი გვაგინებდა — გამოცდილებას როგორც მთავრეს მხოლოდ ერთი მხრიდან, წინიდან ვუყურებთ. ვერც ბნელი მხარისკენ ვიხედებით და ვერც შიგნი.

— უსამართლად გავინყებდა ან უბრალოდ, არ აღნიშნავ, ყოველ ჯერზე, სწრაფი და დიდი ნაბიჯით გაზრდისას, რაც მხოლოდ ტრავმას, ტკივილს შეუძლია, რაღაცას ვიხდით, რაღაც ნაწილს ვკარგავთ და ვთმობთ. ეს ნაწილი არაფრით იცვლება, ვერც მიღწეული წარმატების სიხარული ავსებს და ვერც ანალიზით მონელდება. ყოველ ჯერზე ცვლილებისთვის რაღაცას ტოვებ და ეს შენი სურვილით არ ხდება, იძულებული ხარ, ვერც წინააღმდეგობას გაუნევი და ვერც დანებდები. აუცილებლად იგრძნობ, როგორ გტოვებს რაღაც ისეთი, სახელსაც რომ ვერ არქმევ, ქრება, სწრაფად და შეუმჩნევლად.

— ყველაზე მტკივნეული მაინც მაშინა ყველაფერი, როდესაც შენგან დამოუკიდებლად შეგცვალეს. ამას ოჯახი, მშობლები, მეგობრები და ახლობლები აკეთებდნენ. ეს ადამიანები რაღაც ნაწილებს ან გპარავენ ან გგლეჯენ. დაუკითხავად თმობ ისეთს, რაც ინდივიდალ გაქცევდა და ეს რაღაც, სამწუხაროდ, დადებითია.

— თუ გამოცდილების დიდი ლუკებით მიღება გინევს, როგორც ზღვაში, ტალღებში მოყოლილი წამოდგომისას ცხვირპირიდან წყლით რომ ივსები, თვალში გეზინდება და ყურები გიგუბდება, მაშინ რამხელა შენს თავს კარგავ? ნაპირზე გასულს გონს მოსასვლელად მზეზე ნოლა გჭირდება. რომ გაშრები, ყველაფერი შეცვლილია, ტალღები ჩამდგარი, შენც თითქოს კარგად ხარ, მაგრამ არ გავინყებდა წამი, როდესაც წყლის მეტი არაფერი იყო. დილ-

ით დღები, ხელ-პირს იბან, სარკეში იყურები და ვერ ცნობ სახეს, რომელიც გიყურებს. დაუმალავი შემფოთება ნაბეჭდი ირეკლება და უფრო გაბნევეს. თითქოს თამაშია — გამოიცანი, ვინ არის. იწყებ დაფიქრებას, როდის შეიცვალე, ნაკვებები და თვალები როდის შეგცვალა, ცდილობ, გაიხსენო ძველ ფოტოებში როგორ გამოიყურებოდი და აქაც ვერ პოულობ შენს თავს. შემფოთება და შიში გაიძულეს, ყურადღება გადაიტანო. გადიხარ სამზარეულოში, რთავ ჩაიდანს და წყლის ადუღებამდე ისევე სარკეში არეკლილი სახე გახსენდება. თითქოს გიკვირს, როგორ დადიხარ გარეთ ამ სახით, ამ გამომეტყველებით და როგორ გცნობენ ახლობლები. აქედან იწყებ გახსენებას, როგორი იყავი წლების წინ და როგორი გეგონა, რომ იყავი. იბნევი და ვერ ხვდები, სად არის შენი მე, დღევანდელი და წარსულის, სანამ შეცვლას დაიწყებდი. მოასწარი საკუთარის შექმნა, როდესაც დედას გამოეყავი იქამდე, სანამ დაწანვერებას დაიწყებდი? დღეს მრავალწილად ქცეული „მე“ გაქვს, რომელიც უფუნქციოდ დგას და უყურებს, როგორ თამაშობს ქვეცნობიერი ცნობიერში ასახვით ან დამალვით.

გიორგისთვის ყველაფერი მარტივად გასაგები იყო, თუმცა თავისი გამოცდილების გამო, იმის ხათრით, რომ თვითონ უკვე ამოუცვინია, მაინც არ ეთანხმებოდა მოსაუბრის პირიდან ამოსულ მონოლოგს...

ერთი დღე თერაპიაზე

რომლოც წესი, გზაში გონება მიცარიელდებოდა. ქუჩის აღმართს მივუყვებოდი და ვცდილობდი, სპონტანურად მოსული აზრები დამეჭირა. მიტოვებული ხალხი მახსენდებოდა, მარტოკაცების ნახევრები, ბოლომდე რომ ვერ გაქრნენ და მაძიებლობაც სადაღაც მიატოვეს. ალბათ მიატოვეს, მე ხომ არ ვიცი, ვისი გზა უფრო ბუდისტური, კრიშნაიდური, გნებავთ — ქრისტიანული იყო, იქნებ იმ საგიჟეთის პაციენტის, ერთ ღერ სივარტის და საყვარელ ფსიქიატრს რომ ელოდებოდა, სივარტის მიზნობრიობა და სიდიადე რომ დაანახოს ჯერ მას და შემდეგ უკან მიიღოს იგივე, უფრო ხმამაღლა ქადაგებული — თუ ამავე კლინიკის დარაჯის, სულ რომ არ მოსწონს არც იუნგის შევყიანი ქართული გამოცემა და არც შტაინერის ნაშრომები, მამარდაშვილს კიდევ ხათრით არ უბღვერს ხოლმე. რომელი მიდის ჯერ ქვემოთ, ჭამი, და მერე ისევე უკან ბობლდება?!

დღევანდელ თერაპიამდე მეგონა, ჭამი ბოლომდე თუ ჩახვიდოდი, ქვემოთ, მყარ ნიადაგს ფეხს დაჰკარავდი (გნებავთ, ნაზად შეახებდი) და მთელ სამულზე შარავანდედმემორტყმული ამაღლდებოდი. არ ყოფილა ასე — ზემოთ ასვლისას მთელი წამოკრეფილი ტანჯვა ზურგზე გკიდია და უკან უნდა ათრიო.

იქნებ ზემოთ-ქვემოთ ასვლა-ჩასვლა არ არის და ბევრმოსახვევიანი ქუჩებია, ზოგჯერ ყვითელი ფოთლებით ზოგჯერ კი მარადმწვანე მოზერებული ნაძვნარებით დაფარული? დღევანდელმა დღემ ყველაფერი თავდაყირა დააყენა, უფრო გაართულა და ამ ჭამი ჩაკარგვის იმედიც დამიკარგა. როგორ ჩავიკარგები, თუკი არც ძირი აქვს და არც თავი?!

მიტოვებული, ნახევარკაცა ადამიანები

ჰპირ ბავშვობის მეზობელი გამახსენდა, 60 წლის იქნებოდა — მოხუცი, სულ გაჭალარავებული, გამხდარ ხელებზე ლუწო დამარღვული კაპილარები ეტყობოდა. მიჩვეული ვიყავი, ალბათ, ფეხი ავიდგი თუ არა, ეზოდან ვხედავდი ხოლმე, სულ ერთსა და იმავეს — ეზოს პატარა საქმეებს აკეთებდა. მეც სოფლის სხვა ბავშვებით მემიწოდა და ვერიდებოდი, თან ზაფხულში ჩასულს, სულ ცხელ-ცხელ ამბებს მახვედრებდნენ ხოლმე თანატოლები — როგორ დადიოდა სადაღაც, ხვდებოდა ვიღაცებს, ელაპარაკებოდა არავის და ჭამდა არაფერს ან ძალიან ცოტას.

დაკრეფილ ხილს თეთრ, ყვავილებიან ჯამში მიწყობდა და ლობიდან მანოდებდა ხოლმე. ახლა ვხვდები, როგორ მილიმოდა იმის მიუხედავად, დამფრთხალ სახეს რომ

ვმალავდი და მთელი მონდომებით, გულწრფელ სალაშს ვუცვლიდი. ერთი სული მქონდა, ეს წყეული, გემრიელი ჯამი მოეწონებინა! ერთ დღესაც ორი გამომძიებელი გვესტუმრა, მეზობელი სასტიკი ნამებით მოუკლავთ. მახსოვს, როგორ მივაყურადე ოთახის თეთრ, საღებავგადაცლილ კარს და სულ წერილად დავიმხსოვრე ცხედრის პოვნიდან მკვლელობის სავარაუდო სცენარამდე ყველა წერილობანი. ხმა არ ამომილია, არავისთვის მითქვამს იქამდე, სანამ რამდენიმე კვირის თავზე, ოთახში შემოპარულმა კატამ გული არ გამიხეთქა და მეც ყველაფერი არ დავეფქვი. გამიკვირდა, როცა სამი ლამაზი გოგო აღმოაჩინდა მოკლულ მოხუცს. ერთმანეთზე მალღებები და ლამაზები იყვნენ. ხელებს ვაბანინებდი და თვალზე ვაკვირდებოდი, იტირეს თუ ამათაც ემინოდათ აქამდე რატომ არ მინახავს არც ერთი, რატომ არ მოჰქონდათ მამისთვის საქმელი, ულაგებდნენ სახლს და უყვებოდნენ თავიანთ ახალ ამბებს?! დღეს ყველაფერი მესმის.

მეორე დაკარგული პირველია, რომლის რეალურ ამბავზე მოთხრობის დაწერა გამოვიცადა, რომლის დაბეჭდიდან მალევე გადამაფრინდა სამხედრო, რომელსაც გერმანიაში მსახურობისას რაღაც შეემთხვა და გამოცდილებისთვის შეწირულმა „მე“-ს ნაწილებმა უცხო სოფლის ხის მჭრელ ბინადრობამდე მიიყვანა. დამავინყდა, მეფიქრა, როგორ იყო, ისევე ისე სტიკოდა თუ ტკივილისგან გათანგული ზღვაში დამდგარ კლდეებს დამსგავსებოდა, სახეს წლიდან-წლამდე ჩუმად იცვლიდა, ჯერ დარტყმების შემდეგ კი დღეების თვლისთვის მიენებებინა თავი?!

ერთხელ დილაადრიან გადავეჩეხე მოხუც ბებოს, პირბადე ეკეთა, არადა, პანდემია დიდი ხნის მორჩენილი იყო.

— რა ლამაზი ხარ, ბებო, თავს გაუფრთხილდი და ნერვებს, ეგეთი რომ დიდხანს დარჩე.

— მაღლობა, თქვენც კარგად გამოიყურებით.

„მე აღარ ბებო, ჩემი თავისგან რომ დავმალე ნაოჭები, სულ პირბადე მიკეთია. დამეხაზა სახე, მაგიტომ გეუბნები, უნდა გაფრთხილდე. კარგი ფეხი მაქვს და კარგი ბედი გექნება. ექონად ვმუშაობდი სატელელოში, 280 კაცი მეპარა და მთხოვდა, სასამართლომდე შენ მიგვაკიცლე, კარში შენ შეიკრები, კარგი ფეხი გაქვს და კარგი ამბით გამოვალთ. ყოჩაღი ვიყავი, სხვებს მარტო ერთი სართული თუ ებარათ, მე 280 კაცი უნდა შემემონებინა, მივლინებამაც სულ მე მზავნიდნენ და მეც მზად ვიყავი ხოლმე გაყინულ რუსეთში წასასვლელად.

მევე ჯანსი იყო. ისეთი ამბავი გადაამხდა, ტყვიების წიმაში მოვეყვი. პატირები აბუნტდნენ და მეც არსად მიშვებდნენ. მახსოვს, კაბინეტისკენ წავედი, კაბა და ჩანთა რომ ამელო, ცოტა ნაგროვებ ფულსაც იქ ვინახავდი. კაბა კიდევ საკიდზე ზოლზე გასწორებული მკიდა ხოლმე. სამსახურში უბრალოდ კაბას გადავიცვამდი თეთრი ხალათის ქვეშ და გემრიელად დავქროდი, გარეთ ლამაზად ჩაცმა მიყვარდა და სხვა კაბა მქონდა, თავის პიჯაკით. სხვა ექთანს ნაულია, ჩემს ნაგროვებ ფულთან და შავ ჩანთასთან ერთად.

აღარ ვდარდობდი, როცა ტყვიებით განათებულ ცას ვხედავდი. დავრბოდით, უმიზნოდ და სიცოცხლის წყურვილით, კიდევ ერთი წუთით გადარჩენის წყურვილით.

გამიყვანეს და ცივ ამინდში რომელიც გზაზე მიმავალ მანქანას გამაყოლეს, კარგი ფეხის სამაღლობელი იყოსო, ალბათ ამას ფიქრობდნენ. თბილისს დავეუბრუნდი.

არ ვავთხოვდი, მარტო დავრჩი. აქვე, ლეონიძეზე ვცხოვრობ. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და თბილისიდან სოფელში დავქროდი. მევე სარკეში ხაზები შევამჩნიე და მივხვდი, დრო გამაპარვია. ეს ხაზები ისე მუქად დამაჩნდა, თვალების ფერსაც მიცვლის.“

რატომ ვაგივივებ ჩემს თავს ამ დაკარგულ ნახევარკაცებთან? რატომ?! ტანჯვის აქეთ-იქეთ ტრავმა მიწევს და დღეს უკვე ვიცი, ბოლოში მისულს არაფერი დამხვდება. მიზანი ეგოისტურად, ე.ი. ადამიანურად — მარტივი და უმტკივნეულო მქონდა, რადგან ჩემგან უკითხავად დავინყე გზაზე სიარული, წმინდა გრაალამდე მივსულიყავი, ახლა კი თვითონ გზა აღმოჩნდა წმინდა გრაალიც და დეკამერონის უძირო განსაწმენდელიც.

ლიტერატურათმცოდნე

თეიმურაზ დოიაშვილი

„შეჯამების, ქვათა შეკრების ხანა მატებს“ — ასე განმარტავს ცნობილი ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი თეიმურაზ დოიაშვილი ბოლო პერიოდში მის მიერ გამოცემულ წიგნთა სიუხვის მიზეზს.

„გალაკტიონი უცნაურად“, „ვარდი ნანვიმარ სილაში“, „სულის კვეთება“, „თხზულებათა ხუთტომეული...“ — ეს წიგნები ავტორის ინტერესთა სფეროს მრავალფეროვნებასაც ცხადყოფს და იმის სახიერ ნიმუშადაც გვევლინება, თუ როგორ უნდა ინერგებოდეს მწერლობაზე, ლიტერატურაზე.

როგორც კრიტიკოსი — ათწლეულების მანძილზე ლიტერატურული პროცესის აქტიური მონაწილე იყო. მის თითოეულ სტატიას საკუთარი ისტორია აქვს, ისტორია, რომელიც, თავის მხრივ, ცალკე მსჯელობისა და განსჯის თემად შეიძლება იქცეს...

და მაინც — თეიმურაზ დოიაშვილის ნაშრომთა ძირითადი ნაწილი გალაკტიონის ეძღვნება. ესეც ლოგიკურია: უკვე ოც წელზე მეტია, რაც მის მიერვე დაარსებულ „გალაკტიონის კვლევის ცენტრს“ ხელმძღვანელობს, რედაქტორობს სამეცნიერო-ლიტერატურულ კრებულს „გალაკტიონოლოგია“, რომლის მეათე წიგნსაც მალე მიიღებს საზოგადოება.

სწორედ გალაკტიონისა და გალაკტიონოლოგიაზე სასაუბროდ ვენიჭეთ, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, სხვა არაერთ მნიშვნელოვან საკითხსაც შევეხეთ.


— ბატონო თეიმურაზ, როგორც შევთანხმდით, ჩვენი ინტერვიუს მთავარი თემა გალაკტიონი და გალაკტიონოლოგია იქნება, მაგრამ მანამდე გვინდა, თქვენს თხზულებათა ხუთტომეულზე გკითხოთ: რა განცდა გქონდათ, როგორც მკვლევარს, კრიტიკოსს, როცა ამ გამოცემისთვის ხელახლა მოგიხდათ ათწლეულების მანძილზე დაწერილი საკუთარი ნაშრომების, სტატიების, ესეების, რეცენზიების ხელახლა წაკითხვა? რას იტყვოდით დროის ამ დისტანციიდან საკუთარ სამეცნიერო თუ ლიტერატურულ საქმიანობაზე?

— უნდა გითხრათ, რომ ილიას ფონდის შემოთავაზებამ, პრემია „საგურამოს“ ბიბლიოთეკის სერით ნაწილების სრული კრებული გამოცემა, ძალიან მოულოდნელი იყო ჩემთვის. ამგვარი კადნიერი ნაწილი არასდროს გამჩენია, სოლიდური შემადგამებელი „რჩეულის“ მომზადებაზე კი ნამდვილად მიფიქრია.

მძიმე გადაწყვეტილების პირისპირ აღმოვჩნდი. ცდუნება დიდი იყო. ჯერ ის მამბრკოლებდა, რამდენად შეეძლებოდა მოცულობითი მასალის თავმოყრას, ნაკითხვა-რედაქტირებას; მეორე და უფრო მთავარი ის იყო, როგორ წარმოჩინებოდა ტექსტები, რომცდაათზე მეტი წლის განმავლობაში რომ ინერგებოდა, დროის უწყვეტად ცვალებადი კრიტერიუმებისა და გამოვლენების ფონზე.

მასალის ორგანიზებაში ჩემი ახალგაზრდა კოლეგები ანუ თქვენ დამეხმარეთ უანგაროდ, რისთვისაც მადლობას გიხდით. რაც შეეხება მასალების ხელახლა წაკითხვას, არ დაგიმალავთ, რთული ფსიქოლოგიური განცდები მქონდა: არცთუ იშვიათად უკმარობას ვგრძნობდი, ზოგჯერ — უკმაყოფილებას, ხანაც უსიამოვნო მოგონება შემახსენებდა თავს წარსულიდან. ჰოდა, სამოქმედო ძალა იმ აზრმა მომცა, რომ ყველაფერი ეს ისტორიული-ლიტერატურული პროცესის ნაწილია, ქართული მწერლობის გარკვეულ ეტაპს ასახავს და, ამდენად, არსებობის უფლება აქვს.

ჩემი თვითშეფასება გაინტერესებთ. მიმაჩნია, რომ ათამდე რიგიანი ნაშრომის ავ-



ტორი ვარ, წერილების დიდი ნაწილი კი თავისი დროის დონეს და სტანდარტებს შეესაბამება...

— თქვენი ხუთტომეულიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მეორე — გალაკტიონოლოგიური ტომი. იგი მოცულობით ბევრად აღემატება დანარჩენებს და, რაც არსებითია, გალაკტიონოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გვიქმნის წარმოდგენას. ყველაფერი 2001 წელს თქვენ მიერ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ დაარსებით დაიწყო. მომდევნო, 2002 წელს, სამეცნიერო-ლიტერატურული კრებულის — „გალაკტიონოლოგიის“ პირველი ნიგბი გამოიცა. დღეს, როცა ყოველივე ეს უკვე რეალობაა, როცა აღარავის უკვირს სიტყვა გალაკტიონოლოგია და ეს ახალი ქართველოლოგიური დისციპლინა სამეცნიერო თუ სასწავლო სივრცის განუყოფელი ნაწილი გახდა, საინტერესოა, რა ხდებოდა გზის დასაწყისში? როგორ გადაწყდა „ცენტრის“ ჩამოყალიბება? ან რა წინააღმდეგობების დაძლევა მოგიხდათ დარგის დამკვიდრების პროცესში?

— გალაკტიონოლოგიის ისტორიის ათვლა გასული საუკუნის ათიანი წლებიდან იწყება, გალაკტიონის შემოქმედების შემსწავლელი სპეციალური სამეცნიერო ცენტრის დაარსების იდეა კი დიდი პოეტის გარდაცვალებიდან მალევე გაჩნდა. ამ მხრივ ბევრს ეცადა ცნობილი ლექსმცოდნე და გალაკტიონის მკვლევარი აკაკი ხინთიბიძე, მაგრამ მისი მონდომება და მცდელობანი გულგრილობის ყრუ კედელს აწყდებოდა... გალაკტიონის თაყვანისმცემლები, ბატონი აკაკის თაოსნობით, მხოლოდ იმას ვახერხებდით, რომ ყოველწლიურად ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, მარტის თვეში, აღინიშნებოდა „გალაკტიონის დღე“, რის შემდეგაც, ტრადიციულად, მთაწმინდას ვენვეოდით ხოლმე ყვავილებით.

ყველა იდეა აღსრულებისთვის, ეტყობა, თავის დროს ელის. 2001 წელს, როდესაც გალაკტიონი კვლევის ცენტრის შექმნის წინადადებით მივმართე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, ჩემმა იდეამ ერთსულოვანი, სრული მხარდაჭერა ჰპოვა. მოკლე დროში ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის თანხმობაც მივიღეთ და „გალაკტიონის კვლევის ცენტრი“ ოფიციალურად დაფუძნდა.

მაგრამ ყველაფერი ეს ქალაქში მოხდა, ოცნების, ჩანაფიქრის საქმედ ქცევას კი თავისი დრო და ენერჯია შეაღია ყველა თაობის არაერთმა მკვლევარმა — ცნობილმა მეცნიერებმაც და ახალგაზრდებმაც. მადლობა მათ ამისათვის.

„გალაკტიონის კვლევის ცენტრმა“ გეგმაზომიერი, აკადემიური ხასიათი მისცა პოეტის შემოქმედების შესწავლას. ინტელექტუალური ძალების შეკავშირების ფუნქცია იტვირთა ჩემი ინიციატივით დაარსებული სამეცნიერო-ლიტერატურულმა კრებულმა — „გალაკტიონოლოგიამ“, რომელიც ორი ათეული წელია სისტემატურად გამოდის და თავიდანვე საზოგადოების ინტერესი და კეთილგანწყობა დაიმსახურა.

ხმამალა და გულწრფელად ვიტყვი: გალაკტიონის „პატრიოტებს“ გვეამაყება, რომ გენიალური პოეტის საწუკვარი ოცნება ჩვენი მონაწილეობით რეალობად იქცა: არსებობს მისი პოეზიის შემსწავლელი



ჩვენი განსაკუთრებული თავმონონების საგანი მაინც გალაკტიონის ახალი აკადემიური თხუთმეტომეულია, რომლის პირველი ხუთი ტომი უკვე გამოცემით და ინტენსიურად ვმუშაობთ შემდეგ ხუთ ტომზე. აღნიშნული გამოცემა მომზადდა ახალ კონცეპტუალურ საფუძველზე, თავისუფალია საბჭოური კლიშეებისგან და მეცნიერული კეთილსინდისიერებით აღადგენს იმ ურთულეს გზას, რაც გენიალურმა პოეტმა რეალურად გაიარა.

ვაპირებთ, დავინყოთ მუშაობა ფუნდამენტურ პროექტზე, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების სისტემურ შესწავლას უკავშირდება...


ის, რაც „ცენტრმა“ გააკეთა და რის გაკეთებასაც სამომავლოდ აპირებს, სწორედ იქით არის მიმართული, რომ, შეძლებისდაგვარად, მყარი საფუძველი ჰქონდეს გალაკტიონოლოგიას, როგორც თქვენ უწოდებთ, ქართველოლოგიის დამოუკიდებელ და სრულფასოვან დისციპლინას.

ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ „ცენტრის“ წვლილიცაა, საქართველოს არაერთ უნივერსიტეტში გალაკტიონოლოგიის კურსი რომ იკითხება, რომელსაც დიდი სიამოვნებით ირჩევენ სტუდენტები.

გულმოდგინედ, მუხლჩაუხრელად ვმუშაობთ და... დროსაც „ახალი მოქვეს მოსინათლობა“.

— გალაკტიონის შემოქმედებით ბიოგრაფიასთან მიმართებით, შეიძლება ითქვას, არსებობს პრობლემათა ჯგუფი, რომლებსაც საზოგადოება განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამს და, არცთუ იშვიათად, სუბიექტურადაც გაიზარებს. ვგულისხმობთ პოეტის დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებასთან, მის მიერ 1930-50-იან წლებში შექმნილ კონიუნქტურულ ლექსებს. სწორედ ამ ტექსტებმა მისცა საფუძველი არაერთ ავტორს, გამოეთქვათ აზრი, რომ 20-იანი წლების შემდეგ გალაკტიონ ტაბიძე, ფაქტობრივად, აღარც არსებობს... მასხოვს, გალაკტიონის საბჭოთა პერიოდში შექმნილ ლექსებს თქვენ დროისადმი გაღებული ხარკი უწოდებთ. თუ შეიძლება, რომ ეს თემა განვავრცოთ და, ამასთანავე, გვითხრათ, რამდენად დააზარალა პოეტი ამ ხარკის გაღებამ?

— რეგულაციის გამარჯვებას გალაკტიონი, სხვა იმედებთან ერთად, პიროვნული და შემოქმედებითი თავისუფლების პრობლემათა გადაწყვეტასაც უკავშირებდა და გასაბჭოების პირველ წლებში, სანამ ეს შესაძლებელი იყო, უშიშრად იცავდა თავის შეხედულებებს. ოციანი წლების მეორე ნახევრიდან ვითარება მკვეთრად შეიცვალა — ბოლშევიკებმა გამქრალი წარსულიდან მოსულ მწერლებს მოურიდებლად და უხეშად მოსთხოვეს ძველ იდეალებთან განშორება და სრული იდეოლოგიური „გადააიარაღება“. შექმნილი სიტუაციაში გადასაწყვეტი გახდა უკვე არა მწინდა შემოქმედებითი ამოცანა („განახლება ან სიკვდილი“), არამედ — ყოფნა-არყოფნის საკითხი („სიცოცხლე თუ სიკვდილი“). თუ ემიგრაციაში არ გადახვეწებოდით, სიცოცხლის გზა მხოლოდ და მხოლოდ კომპრომისზე გადიოდა...





რას მოვითხოვთ გალაკტიონისგან?! იმედგაცრუებულთა — ესენინისა და მაიაკოვსკის — ხვედრის გაზიარებას, თუ უბრალო „ჰეროიკულ“ თავგანწირვას?! მაინც რისთვის?! ძალიან იოლად ხომ არ განკარგავთ სხვის, თანაც გენიოსის, სიცოცხლეს?!  
 გალაკტიონმა კომპრომისების ოცდაათწლიანი ჯოჯოხეთი გაიარა — შიშის, ნერვების ნყვეტის, სულიერი ტანჯვის ფასად ყველაფერი გაიღო, რომ თავისი ნიჭი და პოეზია გადაერჩინა ქვეყნისა და ხალხისათვის...

იქნებ გამახსენოთ საბჭოთა ეპოქის რომელიმე დიდი პოეტი, კომპრომისზე რომ არ წასულა და ეგრეთ წოდებული კონიუნქტურული ლექსები არ უწერია?! ან ბევრი ვინმე იცით პირად ცხოვრებაში გალაკტიონზე უფრო უანგარო და ხელისუფლებისგან დისტანცირებული?  
 მითქვამს და აქაც გავიმეორებ: გალაკტიონის „კონიუნქტურული ლექსები“ უპრეცედენტო ძალმომრეობით გამოირჩეული ეპოქის მიმართ იძულებითი გაღებული ხარკია, რომელიც დროს — იდეოლოგიური საღებავის ხანას უფრო ახასიათებს, ვიდრე მუდმივი ხიფათის მოლოდინით დათრგუნულ ამ ლექსების დამწერს.

ჩემთვის მთლიანად მიუღებელია და მცდარი მგონია აზრი, რომ გალაკტიონი 20-იან წლებში დამთავრდა, გაქრა, აღარ არსებობს.  
 გემოვნებაზე დავას არ ვაპირებ. ზოგი, ეტყობა, გალაკტიონის მოდერნისტულმა პოეზიამ მოაჯადოვა და დღემდე თავის ხიბლში ამყოფებს. ბუნებრივია, შედეგების ეს ფეიერვერკი არც მე მაინცნებდა, მაგრამ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი გალაკტიონიც რომ არსებობს...

გალაკტიონის „კეთილმოსურნეებს“ საქმე ისე სურთ, წარმოადგინონ, თითქოს ოცდაათი წლის განმავლობაში პოეტი მხოლოდ კონიუნქტურულ ლექსებს წერდა. ნუთუ მართლა „არ არსებობს, გაქრა“ ის არაკონიუნქტურული, ახალი ტიპის ლირიკა, თავის დროის პოეზიას ტონს რომ აძლევდა და ამინდს ქმნიდა...  
 სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ის ტენდენციები, რომელთაც არსებითად განსაზღვრეს შემდგომი პერიოდის ქართული პოეზიის განვითარება, უპირატესად გალაკტიონის „დანუნებულ“, არამოდერნისტულ, ბოლო პერიოდის ლირიკაში იღებს სათავეს!

ერთ ცნობილ ლექსში გალაკტიონმა, როგორც უბრალო მოკვდავმა, დანდობა და თანაგრძნობა ითხოვა — რწმენით და იჭყით შეპყრობილი ცოცხალი ადამიანი ვარ და არა ქვა და ქანდაკებაო.  
 კარგი იქნება, ჩვენში მომრავლებული „მორალისტები“ გალაკტიონის ამ სიტყვებმა ჩააფიქროს.  
 ნურც გენიოსებს განვსჯით ჩვენი მიკერძოებული, მინიერი „სამართლით“...

— **თქვენს სტატიებში არაერთი ახალი, ორიგინალური იდეაა, რომლებიც შემდეგ სხვა ავტორთა კვლევებს დაედო საფუძვლად. გავიხსენოთ თუნდაც ნიგინი-მთლიანობის კონცეფცია. რა განხდა მისი გაჩენის წინაპირობა? ან — თუ განვსჯო-**

**ვადებთ: ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევა მხოლოდ ლოგიკურ-ანალიტიკური პროცესია, თუ ინტუიციასაც უდევს წილი იდეის დაბადებასა და ფორმირებაში?**

— ნიგინი-მთლიანობის იდეა გალაკტიონის პირველ და მეორე კრებულებზე უშუალო დაკვირვების შედეგად გაჩნდა. ამ ორ ნიგინი იყო გაურკვეველი, ბუნდოვანი მონაკვეთები და სახეები, რომელთა გააზრება სირთულეს ქმნიდა, ან საერთოდ არ ხერხდებოდა. ნიგინებთან „გაშინაურების“, ლექსებზე მუდმივი დაკვირვებისა და ფიქრის შემდეგ შევამჩნიე, რომ ეგრეთ წოდებული ბუნდოვანებანი ან რომელიმე წინმავალ, ან მომდევნო ტექსტში იყო მინიშნებული თუ უფრო მეტად „განათებული“. აი, ამ დროს დამებადა აზრი, რომ საქმე მაქვს არა უბრალოდ ცალკეულ ლექსებთან, არამედ რაღაც ერთიან ტექსტთან, ხოლო ლექსები პოეტური მთლიანობის შემადგენელი ნაწილებია. შემდგომმა დაკვირვებამ იმაშიც დამარწმუნა, რომ ამ ნიგინებს თავისი ნარატივი და სიუჟეტიც აქვთ, თანაც ორპლანიანი — ეპიპორული და მითოპოეტური. როცა უფრო დეტალურად გავცანი ევროპულ ისტორიულ კონტექსტს და პოეტურ პრაქტიკას, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ იდეა ნიგინი-მთლიანობისა გალაკტიონთან მიმართებით მისი ეპოქის მაძიებელ სულისკვეთებას გამოხატავდა და რეალობას შეესაბამებოდა.  
 არ ვიცი, რამდენად საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს ჩემი აზრი რაციონალურ-ლოგიკურისა და ინტუიციის მიმართებაზე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის პროცესში, მაგრამ რადგან მეკითხებით, მხოლოდ პირად გამოცდილებაზე დამყარებულ დაკვირვებას ვაგვიზიარებთ.

ყველაფერი ლიტერატურული მასალის გაცნობით იწყება — პირველი შთაბეჭდილებებიდან და ჰიპოთეტური, სათუო მოსაზრებებიდან, რის საფუძველზეც გამოიკვეთება მთავარი საკვლევი პრობლემა. ამის შემდეგ იწყება სრულიად მიზანმიმართული, რაციონალური ეტაპი კვლევა-ძიებისა სხვადასხვა ასპექტით და მიმართულებით. თუ პრობლემა ახალია და რთული, მისი გადაწყვეტა წინააღმდეგობას აწყდება, ფერხდება, ზოგჯერ ჩიხშიც შედის. აი, ამ კრიზისულ სიტუაციაში მოულოდნელად ჩაერთვება ინტუიციის, რომელიც სიბუნელს კვეთს და გზას ანათებს. ამის შემდეგ სხვა ყველაფერი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა: ინტუიციური ინსპირაციის ლოგიკური გაანალიზება და დასაბუთება ხდება.

საე დაინერა ჩემი რამდენიმე წერილი, რომელთა ავტორობა არ მეთაკილება.  
 — **თქვენ ხშირად მოგიხსენიებენ ლიტერატურათმცოდნეობაში დეტექტიური ფანტის ერთ-ერთ შემოქმედად და დამაკვიდრებლად. რას გვეტყვი ამის შესახებ? და კიდევ: რა მნიშვნელობა ენიჭება დღეს ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომის ფორმას?**

— ლიტერატურათმცოდნეობითი დეტექტივის ერთ-ერთი დამაკვიდრებლის პატივი ჩემი მეგობრის — როსტომ ჩხეიძის, ქართული მწერლობის ამ დაუღალავი მოჭირნაბულის, მონადინებით მხვდა, თუმცა ამის არავითარი პრეტენზია არ მაქვს.  
 ჩემი აზრით, ყოველი ლიტერატურული გამოკვლევა, რომელიც ამ სახელს იმსახურებს, თავისთავად ძიებაა და თუ იგი მიგნებას, სიახლესაც შეიცავს, რაღაცით დეტექტიურს ჰგავს. ავანტიურა აქ ინტელექტუალურ ზიგზაგებს უკავშირდება და, შესაბამისად, მკითხველის გაზრდილი ემოციური ინტერესიც თან ახლავს.  
 რამდენიმე ჩემი წერილს, თუ ყურადღებას მიაქცევთ, თავისებური კომპოზიტიური ნწყობა აქვს — გათვალისწინებულია არამარტო ლოგიკური განვითარების ხაზი, არამედ გამოყენებულია მხატვრული ტექსტის კომპოზიციური ორგანიზაციის ზოგიერთი ხერხი. ეს ხელს უწყობს საკუთრივ ძიების პროცესის აქცენტირებას და მკითხველის აღქმის ვაჟქიურებას.  
 თუ ამ კუთხით შევხედავთ, შეგიძლიათ, სამი-ოთხი „ლიტერატურათმცოდნეობითი დეტექტივის“ ავტორად ჩამთვალოთ.  
 — **თქვენ სტატიებს შორის თუ გამოარჩევდით რომელიმეს და რატომ, რა ნიშნით?**

— ზოგადად, ძალიან კრიტიკული ვარ ჩემი წერილების მიმართ და იშვიათად მწვე-

ვია კმაყოფილების განცდა. ვთვლი, რომ უკეთეს შემთხვევაში, ჩანაფიქრის დაახლოებით ოცი პროცენტის რეალიზებას ვახერხებ. მთელი ძალა იდეის გაშლას და არგუმენტირებას მიაქვს, სტილის მხრივ კი მხოლოდ აზრობრივად საჭირო, აუცილებელი სიტყვების მოძიებას თუ ვახერხებ.  
 ჩემს წერილებს შორის რამდენიმე გალაკტიონოლოგიურ ნაშრომს გამოვარჩევდი, სუბიექტურად კი, გამოკვლევას — „ბენდინიერი ერი“: სტრუქტურა და საზრისი“. ცხადია, არა იმიტომ, რომ უნაკლო მგონია. ამ წერილში, ჩემი აზრით, მოვახერხე ილიას ჩანაფიქრისა და პოეტური ტექსტის ისეთ შრეებში გაღწევა, რაც ჩვენს საქმეში ხშირად არ ხდება ხოლმე. ძალიან გამიხარდა, როდესაც ბატონმა თამაზ ჩხენკელმა, უზადო გემოვნების ესთეტიკა და ქართული კრიტიკის ერთ-ერთმა მეტრმა, მოულოდნელად გამაჩერა და მისთვის ჩვეული გულწრფელობითა და ემოციურობით გამოსხატა თავისი გაცნობიერებული თითქმის შეუღწევადი, მოუხელთებელი სიღრმეების წვდომის გამო. იმანაც გამახარა, რომ ჩემმა კოლეგებმა ამ წერილს ერთსულენად მიანიჭეს წლის საუკეთესო ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომისათვის განკუთვნილი პრემია, რომელიც დიდი გრიგოლ კიკნაძის სახელს ატარებს.

— **როგორც კრიტიკოსი, ათწლეულების განმავლობაში, მიმდინარე ლიტერატურული პროცესის აქტიური მონაწილე იყავით. დაგვეთანხმებით, ქართული კრიტიკის ისტორიის თითქმის ყველა ეტაპზე არსებობდა სერიოზული პრეტენზიები ლიტერატურის ამ დარგის მიმართ. მუდმივად ისმოდა საყვედურები, რომ ჩვენში კრიტიკა არ არსებობს, ანდა ღრმა კრიზისს განიცდის. ამ კონტექსტში რას იტყვით თანამედროვე ქართული კრიტიკული აზროვნების შესახებ? შეიცვალა თუ არა უკანასკნელ ათწლეულებში კრიტიკის ფუნქცია და, საზოგადოდ, როგორ გესახებათ მისი როლი მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში?**

— კრიტიკის სარბიულზე ჩემი აქტიური საქმიანობა 70-80-იან წლებს უკავშირდება, ანუ საბჭოური, პარტიულ-ბიუროკრატიული მმართველობის ბოლო პერიოდს. კრიტიკა, ერთი მხრივ, ოფიციალური იდეოლოგიის გამტარებლად ითვლებოდა და ზემოდან ნამოსული დირექტივებით იმართებოდა, მეორე მხრივ კი — ლიტერატურული ფუნქციონირებისა და „ბოზოლა მწერლების“ გავლენის ქსელში იყო გახვეული. როდესაც აღმანახ „კრიტიკის“ რედაქტორობისას რამდენჯერმე თავისუფალი და დამოუკიდებელი მოქმედება ვცადე და ოფიციალურისათვის მიუღებელ პრობლემასზე თუ ეგრეთ წოდებულ ხელშეუხებელ მწერლებზე წერილების ბეჭდვა დავინიყე, უმალ შეიკრა პარტიულ-იდეოლოგიური და სამწერლო ელიტების აღიანსი და კარისაკენ მიმითითეს, არსებითად, მწერლობიდან გამაძევეს. იგივე განმეორდა ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ ჩემი ხანმოკლე ყოფნისას... სხვაგანაც...  
 უნდა გითხრათ, რომ ყველაფერი ეს ხდებოდა ეგრეთ წოდებული „პერესტროიკის“, გარდაქმნის ხანაში, ცხოვრების განახლებას და სასიკეთო ცვლილებებს რომ გვპირდებოდა.  
 ჩვენი საუკუნის დასაწყისში, დამოუკიდებელ საქართველოში, ათიოდე წლით ისევ დავბრუნდი კრიტიკას უკეთესი იმედებით. რამდენიმე წიგნიც გამოაქვეყნე მწვავე კრიტიკული გზავნილებით, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ საზოგადოებას, კვლავინდებურად, სიმართლე და ღირებულებები არ აინტერესებდა, უბრალოდ, „სეირის“ ყურებით ერთობოდა, მწერლები კი „კლანური კოდექსის“ სამზეროდან აფასებდნენ მოვლენებს. ამან განაპირობა, რომ თანდათან საბოლოოდ ჩამოვშორდი კრიტიკას.  
 ისე ნუ გამიგებთ, თითქოს საკუთარი წარსულის გახსენებამ გამიტაცა. მე მარტო ის მინდა, რომ კონკრეტული ფაქტების ფონზე გამოვთქვა ჩემი აზრი.  
 საზოგადოებაში, სადაც ღირებულებები აღრუელა, სიმართლე არ ფასობს, პატიოსნება ირონიულ ღიმილს იწვევს და პროფესიონალიზმი სავალდებულოდ არ ითვლება, კრიტიკა, როგორც ლიტერატურული პროცესის წარმმართველი, ვერ იარსებებს. აქ მაცდუნებელი ასპარეზი ეს-სნებათ ოქროპორ მლიქვნელებს, უპასუხისმგებლო „მოაზროვნეებს“ და სოცქსე-

ლის სხვადასხვა ჯურის „ლომებს“. კულტურულ სოდომ-გომორაში კრიტიკას ნუ მოვთხოვთ შეუძლებელს. ჯერ საზოგადოების ცნობიერების ფუნდამენტური ცვლილებაა საჭირო...

ასეთ ვითარებაში უშინაარსოა და ამაო კრიტიკის კრიზისზე დაუსრულებელი საუბარი და ჩვენი ლიტერატურის ნაკლოვანებათა მთლიანად კრიტიკისთვის გადაბრალება. პირიქით, მაღლიერება უნდა გამოვხატოთ კრიტიკოსთა იმ მცირე ჯგუფისადმი, ვინც წარსულშიც და დღესაც, პროფესიონალის პატიოსნებით უანგაროდ ემსახურებოდა და ემსახურება ლიტერატურის ინტერესებს, ქმნიდა და ქმნის არცთუ გასაკიცხ ქართული კრიტიკის ისტორიას.


— **2022-2023 წლები განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო თქვენთვის. ზედიზედ გამოაქვეყნეთ ნიგინები: „გალაკტიონი უცენზურად“, „ვარდი ნანვიმარ სილაში“, „სულის კვეთაბა“, ინტერვიუს დასაწყისში ნახსენები თხზულებათა ტომები... აღარაფერს ვამბობთ ცალკეულ პუბლიკაციებზე. თუ შეგიძლიათ, სამომავლო გეგმებზეც რომ გვითხროთ. რა სიახლეებს უნდა ელოდოს სამეცნიერო საზოგადოება და მკითხველი თქვენგან?**

— შეჯამების, ქვათა შეკრების ხანა მაქვს.

„გალაკტიონი უცენზურად“ ნათია სიხარულიძის თანაავტორობით პანდემიის დროს დაწერილი სახალისო ამბების კრებულია, რომელიც მკითხველს ბევრ რამეზე დააფიქრებს.  
 „ვარდი ნანვიმარ სილაში“... ისეთი ნიგინი, რომელიც ასახავდა გალაკტიონოლოგიაში ჩემი კვლევის შედეგებს, აქამდე არ მქონია. აქ ვცადე ერთიან კომპოზიციურ ჩარჩოში მომექცია სხვადასხვა დროს დაწერილი წერილები და ესეები, რაც მთლიანობაში შექმნიდა წარმოდგენას ჩემს დამოკიდებულებაზე გალაკტიონის პიროვნებასთან და პოეზიასთან.

რაც შეეხება „სულის კვეთაბას“, რომელიც ახლახან გამოიცა, იგი ერთგვარი რჩეულია, რომელიც თავმოყრილია ჩემი გამოკვლევები და ესეები ლიტერატურის ისტორიაში, ლექსმცოდნეობაში, გალაკტიონოლოგიასა და კრიტიკაში.  
 ყველაფრის დამაგვირგვინებელი კი თხზულებათა ხუთტომეული აღმოჩნდა, რომლის გამოცემა ითავა ილიას ფონდმა და ახორციელებს გამოცემლობა „სააარი“. დიდი მადლობა მათ მესვეურებს.  
 თუ ღმერთმა ინება, მინდა, ბოლომდე მივიყვანო რამდენიმე, ჩემი აზრით, საინტერესო ჩანაფიქრი გალაკტიონოლოგიაში, აგრეთვე, დაგამთავრო და გამოსაცემად მოვამზადო ნიგინი „ქართული პოეზიის შვიდი საიდუმლო“, რომელშიც ქართული კლასიკური პოეზიის შედევრებზე და მათ ახლებურ ინტერპრეტაციაზე იქნება საუბარი.

ესაუბრნენ  
 ლევან ჰაპურიშვილი,  
 ნათია სიხარულიძე



რამდენიმე წელია, ქართულ ლიტერატურას ემიგრანტი მწერლების ნაწარმოებები საგრძობად დოზით შეემატა, რომლებიც უცხო ენაზე იწერება, და რომლებსაც საქართველო და მისი უახლესი ისტორია აღწერილი. ლიტერატურა საუკეთესო საშუალებაა საზოგადოების გასაცნობად: მისი ხასიათის, პრობლემებისა და რაობის შესაფასებლად. გერმანელმა მკითხველმა ნინო ხარატიშვილის რომანით „მერვე სიცოცხლე“ საქართველოს გასაბჭოების ნამდვილი ამბავი შეიტყო, თანმდევი ადამიანური ტრაგედია და დრამა. გერმანულენოვანი მკითხველთა რაოდენობას და მასშტაბს გაცილებით აღემატება ინგლისურენოვანი მკითხველი და ალბათ გიორგი პაპაშვილის (George Papashvily) „Nothing can happen“ („ყველაფერი შეიძლება მოხდეს“) შემდეგ, პირველი ინგლისურენოვანი წიგნი გვაქვს, რომელიც საქართველოს ეხება და რომელსაც ქართველი პერსონაჟების, ქართული სახეების მთელი პალიტრა ჰყავს.

გიორგი პაპაშვილის წიგნი, რომელიც XX საუკუნის შუაში დაიწერა აშშ-ში, საკმაოდ პოპულარული იყო და მის მიხედვით ფილმიც გადაიღეს ჰოლივუდში, არ გასცდენია ამერიკულ მასშტაბს და არ გამხდარა მსოფლიო ჰესტსელერი.

ასეთი ტიპის ლიტერატურას ის ნიშანთვისება აქვს, რომ საქართველოს და მის საზოგადოებას გარედან აკვირდება, შიდა დინამიკის ცოდნით, მაგრამ მაინც გვერდიდან აფასებს მოვლენებს, რაც ცალსახად საინტერესოა.

ინგლისში მცხოვრები ლეო ვარდიასვილის, რომელიც რადიო „თავისუფლებასთან“ ინტერვიუში თავს ქართული წარმოშობის ინგლისელ მწერალს უწოდებს, რომანი „Hard by a great Forest“ დიდ ბრიტანეთში გამოქვეყნდა Bloomsbury-მ დაბეჭდა, ხოლო აშშ-ში Penguin-მა. წინამძღვრად კი თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მწერლის: ჰალიდ ჰოსეინის შეფასება ახლავს, რომელიც რომანით მოგვრილ შთაბეჭდილებას შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: „სუნთქვა მეკვროდა, ვიცინოდი და ვტიროდი“. ტრადიციული გამოცემლობები და ჰალიდ ჰოსეინის სიტყვების ის საშეიარაო, რაც რომანს მსოფლიო ასპარეზს მისცემს და ბევრგან ნაიკითხავენ.

რომანის წყობაში რამდენიმე ლიტერატურული ხერხია ერთად გამოყენებული: აქ გვხვდება დეტექტიური სიუჟეტიც, მისტიკაც, ცნობიერის ნაკადიც და ადამიანის აღქმაში შემოსული ლიტერატურის პირველი ფორმა: ზღაპარიც. პროტაგონისტს ძმები გრიმების ზღაპარი მუდამ ახსოვს, ზღაპარი, რომელსაც დედა უკითხავდა. დედა, რომელიც დარჩა იმისთვის, რომ ის წასულიყო. სახლში ტყეები შემოცვივდა ფანჯრიდან, საბას მეგობარი მოკლა და საბას შეუცვალა ცნობიერი. ეს ფაქტი უწვრილმანესი დეტალებით დაილექა მის მეხსიერებაში. ხელისკვრა: სავარაუდოდ დანა-

იკო ხეცურიანი

# მოგზაურობა ცნობიერში სამუოხლოს გავლით

შაულის მუდმივი ეჭვი. თითქოს ნინო მისმა მოქმედებამ მოკლა. ასეთი ტრავმა მიადგა მის ცნობიერს.

გაქცევა გადარჩენის გზა იყო, რომელსაც ფული სჭირდებოდა და მამა და ორი შვილი დედის გარეშე წავიდნენ ლონდონში. დედის, რომელიც გრძნობდა, რომ უკანასკნელად ხედავდა შვილებს.

ზემოთ ჰალიდ ჰოსეინი ვახსენე და მის ყველაზე გახმაურებულ რომანთან, „ფრანთი მორბენალი“ ბევრი აქვს საერთო ლეო ვარდიასვილის ტექსტსაც. ორივე ამ ნაწარმოების პროტაგონისტი თითქოს დაგინყებულ, მაგრამ მუდამ მასთან და მასში მყოფ სამშობლოში ბრუნდება. ორივე გმირისთვის მამა უმთავრესი მორალური ავტორიტეტია და ორივე რომანის პროტაგონისტი იაზრებს, რომ მისთვის გადამრთებული მამაც ადამიანია: ადამიანური შეცდომებით და სინდისთან დადებული კომპრომისებით: ბაბას უკანონო შვილი ჰყავს, ირაკლიმ კი ადამიანის მოკვლა სცადა და პოლიცია დაექმდა.

სინდისთან გარიგება ხომ საერთოდ ცალკე და ძალიან მნიშვნელოვანი თემაა მსოფლიო ლიტერატურაში და ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მხოლოდ „ფაუსტი“, „შაგრენის ტყავი“, „დორიან გრეის პორტრეტი“ და „ოსტატი და მარგარიტა“ ვახსენოთ, სადაც პირდაპირ პერსონაჟადაა მოცემული ბოროტება და სიუჟეტის მთავარი ხაზი — ადამიანის მასთან დადებული გარიგება, თანმდევი გარემოებებით და დამდგარი მოცემულობებით.

თან დაგინყებული და თან მუდამ ცნობიერში მცხოვრები სამშობლო სინდისთან კომპრომისის ახსენებს როგორც ჰოსეინის ამირს, ისე ვარდიასვილის საბასაც. თბილისი მის ყველაზე საშინელ საიდუმლოებს და მოგონებებს ინახავს: მოკლულ მეგობარს, რომელსაც საბედისწერო წამამდე ხელი ჰკრა და ვერასდროს გაიგებს, ეს გახდა თუ არა ტრაგედიის მიზეზი. ვერც ვერავის გაუხსილა ეს საშინელი საიდუმლო და მასთან ერთად განაგრძობს ცხოვრებას. ჰოსეინის გმირის უმთავრესი საიდუმლოც სამშობლოშია დამარხებული მოგონება: მისთვის თავდადებული და შეურაცხყოფილი მეგობრის, ჰასანის სახე.

ბოროტ ძალასთან გარიგება უკვე ვახსენეთ და უნდა ვთქვათ მსოფლიო ლიტერატურის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ტრადიციასაც, რაც ამ რომანში გვხვდება: გზა. მოგზაურობა ჯერ კიდევ ბიბლიიდან თუ ჰომეროსიდან არის ლიტერატურული თხრობის უმთავრესი ინსტრუმენტი და პერსონაჟის სახის ჩამოყალიბების პროცესიც ამ გზის სვლასთან ერთად ვითარდება. მოგზაურია ოდისევსიც, ენეასიც, ლამანჩელი რაინდიც, ჰეკ ფინიც, ჰოლდენ კოლფილდიც და კიდევ უამრავი პერსონაჟი მსოფლიო ლიტერატურაში, რომელთა სახე სწორედ გზამ განსაზღვრა.

საბაც მოგზაურია და მას ორი გზა აქვს: ფიზიკური და სულიერი. ერთით სამშობლოში გადაადგილდება, მეორით — საკუთარ ქვეცნობიერში. საქართველო, მისი დავინყებული სამშობლო ზღაპრებითა და სურათებით ახსოვს. სიურრეალიზმს ამძაფრებს ჩასვლის შთაბეჭდილება: შუა ქუჩაში მდგომი ბეჭემოთი და მის გარშემო მობილიზებული სახელმწიფო სამსახურების ბრიგადები კიდევ უფრო სიურრეალისტურ სურათს უხატავს მკითხველს, კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს, ამკვეთრებს მას. საბას ტრავმა, სამოქალაქო ომი უკვე ჩავლილია ქვეყანაში და მას სულ ახალი წერი-

ლობა აქვს: 2008 წლის ომი რუსეთთან, რომლის შემდეგ კიდევ მეტი ტერიტორია დაკარგა და კიდევ მეტი ადამიანი ექცა დევნილად.

მისი გზა დანტესაც მოგვაგონებს: ჯოჯოხეთის არ იყოს, საქართველოც სასევა დანაშაულით, სიცრუით და ზოგადად ბოროტებით გარშემო.

დეტექტიური ხაზი მკითხველს წინთან აჯაჭვებს: მამის საძებნელად საბამდე წამოსული სანდროს მიერ კედლებზე დახატული გამოცანები გმირს გზას უკვალავს. ეს მხოლოდ მათთვის ცნობილი ენაა და მასში დაშიფრული ინფორმაცია მხოლოდ ძმებს შორის არის გასაგები და სხვა ვერავინ გაშიფრავს ამ გზავნილებს.

უნდა ვახსენოთ თხრობაში გამოყენებული მაგიური რეალიზმის ელემენტებიც: საბა ხშირად ელაპარაკება მის მახსოვრობაში, გონებაში მყოფ პერსონაჟებს. ადამიანებს, რომლებიც მის მეხსიერებაში ცხოვრობენ და მისთვის რთულ მომენტში განსხეულებიან ხოლმე, რჩევის მისაცემად თუ გზის გასაკვალად. აქედან ყველაზე მძლავრი ხმა ნინოსია: საბას გაბრაზებული სინდისის მეტაფორა, რომლის გაჩუმება ყველაზე რთულია და რომელთან წინააღმდეგობის განწევა შეუძლებელი.

რომანი სულ მალე დაიბეჭდება ქართულ ენაზე და სავარაუდოდ დიდ პოპულარობას და ვენებათაღელვასაც გამოიწვევს მკითხველში. რომანის ერთ-ერთი უმთავრესი პერსონაჟი, ნოდარის ფრაზა, რომ ბომბსა და ტყვიას ეროვნება არ აქვს და ქართველის და რუსის გასროლილი ერთნაირად კლავს, ბევრს არ მოეწონება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ავტორი დამკვირვებელია და არა მხარე და ამ წრილიდან ადვილად შევამჩნევთ ამ სიტყვების სიამართლესაც. ნიგნის აუტორიტორიაც მსოფლიო მკითხველია და არა — ქართველი.

მწერლის სადებიუტო რომანში უჩვეულო ოსტატობით იხატება პერსონაჟების მხატვრული სახეები. ნოდარი და მისი მუდამ ცოცხალი იმედი ნიგნის უმთავრესი მამორჩაველებია. უსამართლობის მორევში მფეთქებელი ნაპერკალი, რომლის გაღვივება აუცილებლად დიდ მსხვერპლს მოითხოვს. სინდისთან დადებული მის გარიგე-



ლიტერატურული გაზეთი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ყურული

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო  
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

9 1 7 7 2 3 4 6 1 7 9 4 0 0 4